ზაირა დავარაშვილი

# ფერხულ დადაშვილი –
# ქართული
# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 საუკუნე מאות

2014 תביליסי თბილისი

# ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის იუბილე
# יובל הידידות בין הגאורגים לבין היהודים

ზაირა დავარაშვილი

თბილისი, 2014

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაირა დავარაშვილი

# გერცელ ჩაჩაშვილი — ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარი

F107,171
3

რედაქტორი: თამილა ცაგარეიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: იულია მიქაძე

გამოიცა შპს „არადანი ინფოს“ მიერ

ISBN 978-99928-72-03-1

2014

საქართველოს ლამენტის
ეროვნული იოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროფესორი

# გერცელ ჩაჩაშვილი

1913 - 1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

რედაქტორისაგან ....................................................9
პროფესორი გერცელ ჩაჩაშვილი ..................................13

თავი I

*ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის საკითხისათვის*

ქართული ხალხური ფეიქრობა ..........................................33

*ა/ ხალხური ფეიქრობის ტექნოლოგია* ..............................44

*ბ/ ხალხური საქსოვი იარაღების ტიპოლოგია* ....................49

*გ/ ხალხური ფეიქრობის ეთნოკულტურული ასპექტები* ..........54

*დ/ ფეიქრობასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა–წარმოდგენები* ..........62

ქართული ხალხური ტანსაცმელი ........................................69

თავი II

*ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობის საკითხისათვის. ხევსურული საფეჴნო* ........................84

თავი III

*პროფ. გ.ჩაჩაშვილი და სამუზეუმო საქმიანობა* ..................111

საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა .......116

ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციებში..........126

სამუზეუმო კატალოგები ..................................................136

შემოკლებანი ..................................................166

შენიშვნები ..................................................167

ბიბლიოგრაფია ..................................................178

# რედაქტორისაგან

ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი საქართველოში აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ხშირად გულდაწყვეტით აღნიშნავდა, რომ ქართული ეთნოგრაფია ვალშია პროფ. გერცელ ჩაჩაშვილის წინაშე, რადგან მისი ღვაწლი საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიაში სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული. ამ დანაკლისის შევსება თავის თავზე აიღო ქართულ-ებრაულ საზოგადოებაში ცნობილმა, ნიჭიერმა ქალბატონმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ზაირა დავარაშვილმა, რომელმაც შეუძლებელი შესძლო. მან არა მარტო თავი მოუყარა მეცნიერის უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ნაშრომებს, არამედ მიაკვლია დაკარგულად მიჩნეულ მის ფუნდამენტალურ ნაშრომსაც "ხალხური ფეიქრობა საქართველოში" და ერთიანობაში წარმოაჩინა და გააცოცხლა გერცელ ჩაჩაშვილის სახელი და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

ამიტომ, ასე ძვირფასია ჩვენთვის, ბატონ გერცელის მოწაფეებისა და კოლეგებისათვის, დღეს თქვენს წინაშე წარმოდგენილი ზაირა დავარაშვილის ნაშრომი. მას არა მარტო მეცნიერული, არამედ ზნეობრივი ღირებულებაც აქვს. გერცელ ჩაჩაშვილს, ეროვნებით ებრაელს, რომელმაც ცხოვრების ძირითადი პერიოდი ქართული კულტურის ფესვების ძიებას შეალია, ერთნაირად აღიარებენ და თანაბრად მიაგებენ პატივს ქართველი და ებრაელი მეცნიერები, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ქართულ-ებრაული მეგობრობის უნიკალურ ფენომენზე. გერცელ ჩაჩაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა ადასტურებს, რომ ქართველი ებრაელის გულში ოდითგანვე დაუნჯებული ქართული ხასიათი, ენა და ზნეობრივი ნორმები(მხარდაჭერის, თანადგომის, ურთიერთდახმარების), საქართველოს სისხლხორცეულ, ორგანულ ნაწილად აქცევს მას.

გერცელ ჩაჩაშვილი XX საუკუნის ქართველი ეთნოგრაფების იმ პლეადას მიეკუთვნება, რომელმაც გიორგი ჩიტაიას მოთავეობით, დაიწყო მოღვაწეობა და ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხავ ყამირს ღრმა კვალი გაავლო. იგი ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრია – ფართო განათლებისა და ერუდიციის, ბუნებით შემოქმედი მკვლევარი. ბატონ გერცელის შემოქმედება გამოირჩეოდა სამეცნიერო ინტერესების მრავალმხრივი დიაპაზონით, სკრუპულოზური სიზუსტითა და ანალიტიკური აზროვნების უნარით. მისი კვლევა სცილდებოდა ვიწრო ეთნოგრაფიულ ინტერესებს და მოიცავდა როგორც ეთნოგენეზის, ისე საზოგადოების განვითარების რთული პერიოდიზაციის პრობლემებს.

გერცელ ჩაჩაშვილს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველო. მისი, როგორც ბრწყინვალე დამკვირვებლის, არეალში ექცეოდა ხალხის ყოფითი კულტურის ყველა მხარე: მატერიალური, სოციალური თუ სულიერი კულტურის სფეროდან. ამიტომ იყო მისი კალამი ასე ხელხვავი.
იგი ყველგან გამოირჩეოდა მაღალი ადამიანური თვისებებითა და საოცარი ინტელექტით. სწორედ ამით დაიმსახურა მან საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. ბრწყინვალე მეცნიერი, ერთგული მეგობარი, ყურადღებიანი პედაგოგი, უფროსი თაობის პატივისმცემელი და უმცროსის გზისგამკვლევი – აი, ასეთი გვახსოვს ბატონი გერცელი.

გერცელ ჩაჩაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ახალი მიმართულების გაშლა ქართულ ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში. ზაირა დავარაშვილის დამსახურებაა, რომ მან შესძლო ნათლად წარმოეჩინა ბატონ გერცელ ჩაჩაშვილის როლი და ღვაწლი ამ მიმართებით. კერძოდ, მრავალსაუკუნოვანი ხალხური ფეიქრობის წარმოშობის ფესვები, მისი კულტურულ-ისტორიული ღირებულებები

და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის არეალში. კვლევის ამ მიმართულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადი ეთნოგრაფიის ისტორიაში.

ზაირა დავარაშვილმა წინ წამოსწია შრომის იარაღების – კერძოდ, საქსოვი დაზგების კვლევისას მიღებული ჩაჩაშვილისეული დასკვნები, რომელსაც ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ფეიქრობის განვითარების ისტორიისათვის საქართველოში. სპეციალური კვლევით დადგენილია საქსოვი დაზგების ტიპები, კონსტრუქცია, ქსოვის ხალხური ხერხები და გავრცელების არეალი. დადგინდა დაზგის ორი ტიპი და მათი ფუნქციები. პირველმა, ქართულ ეთნოგრაფიაში, დაადგინა ამ ორი ტიპის თანაარსებობა შუა საუკუნეების საქართველოში და ფუნქციები: ჰორიზონტალურ დაზგაზე იქსოვებოდა ქსოვილი, ვერტიკალურზე – ხალიჩა-ფარდაგები.
მკვლევარის ყურადღების ქვეშ მოექცა ფეიქრობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი: ქსოვილთა მრავალსახეობა, შემკულობის ხერხები და სახეები, ქართული საჩითავები და ქსოვილების დამზადება, სამღებრო ხელოვნება და ქართველი ხალხის გემოვნება. ასევე ქართული ნაციონალური ტანსაცმლის შინაგანი განვითარების კანონზომიერებები და წარმოშობის ფესვები, მისი მომდინარეობა კოლხურ-იბერიული გარემოდან. Dდა კიდევ რამდენი...
ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მადლიერების გრძნობით მოგვაგონებს გერცელ ჩაჩაშვილის უდიდეს ღვაწლს, რომლის წყალობით ქართული ხალხური კულტურის მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარი დავიწყებას გადაურჩა. მისი მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც ფასდაუდებელია.
ზაირა დავარაშვილის ნაშრომი “გერცელ ჩაჩაშვილი ქართული ეთნოგრაფიის მკვლევარი” წარმოადგენს

მკაფიოდ და შინაარსიანად დაწერილ მონოგრაფიას. ავტორმა შესძლო აღედგინა დამაშვრალი მოღვაწის ნათელი სახე და მისი მეცნიერული დანატოვარი. მეორე მხრივ, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის ისტორიაში გერცელ ჩაჩაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება მარად დარჩება ქართველი და ებრაელი ხალხების თვალსაჩინო მეგობრობის მაგალითად.

მეტად სიმბოლურია, რომ ზაირა დავარაშვილის ეს მრავალმნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ-ებრაული ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის იუბილეს ეძღვნება.

**თამილა ცაგარეიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გ. ჩიტაიას სახელობითი პრემიების ლაურეატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფესორი გერცელ ჩაჩაშვილი

პროფესორ გერცელ ჩაჩაშვილის სახელი და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიასთან.

პროფ. გ.ჩაჩაშვილის პიროვნების ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ეთნოგრაფიის მეცნიერების ცნობილმა მოღვაწეებმა – აკად. გ.ჩიტაიამ, პროფ. ვ.ბარდაველიძემ და მათი თაობის სხვა ცნობილმა ეთნოგრაფებმა. მის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწეობამ, სადაც ამ პერიოდში მიმდინარეობდა ძლიერი მეცნიერული უჯრედის ჩამოყალიბება–განვითარება, რასაც მოჰყვა ეთნოგრაფიის ფართოდ აღიარება.

ეთნოგრაფიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა მეცნიერთა იმ წრემ, რომელიც აკად. გ.ჩიტაიას გარშემო შემოიკრიბა და გადამწყვეტი როლი ითამაშა მის მიერ შემუშავებული დარგის განვითარების პროგრამის განხორციელებაში. ამან, ფაქტიურად, ეთნოგრაფიულ ცოდნას, რომლის განვითარება და დაგროვება საქართველოში ასეული წლების მანძილზე ხდებოდა, სამეცნიერო დისციპლინის ხასიათი მისცა. თეორიულად დასაბუთებულ პროგრამას პრაქტიკული განხორციელება სჭირდებოდა, და სწორედ აქ იჩინა თავი გ. ჩაჩაშვილის მეცნიერულმა შესაძლებლობებმა, განათლებამ, ერუდიციამ და ნიჭმა.[1]

გერცელ აბრამის ძე ჩაჩაშვილი დაიბადა ქ.ონში, 1913 წლის 15 აგვისტოს, გლეხის ოჯახში. 1918 წ. ჩაჩაშვილების ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის ქ.თბილისში. 1930 წ. იგი ამთავრებს საშუალო სასწავლებელს და სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1937 წელს.

1937 წ. გ.ჩაჩაშვილი გ.ჩიტაიას ხელდებით სწავლას აგრძელებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის „ენიმკის" ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. პარალელურად 1938–48 წწ. იგი მუშაობს საქართველოს ებრაელთა ახლადგახსნილ ისტორიულ–ეთნოგრაფიულ მუზეუმში,[2] 1944–50 წწ. იგი მუშაობს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სწავლული მდივნის თანამდებობაზე. 1949 წ. წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

1950 წლიდან გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1954 წ. განყოფილების გამგეა, 1958–62 წლებში უფროსი მეცნ. თანამშრომელია.

სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის პერიოდში ჩამოყალიბდა გ.ჩაჩაშვილის მეცნიერული მრწამსი, მან თავისი ცხოვრების მიზნად ქართული ეთნოგრაფიული კულტურის კვლევა და მისი სათანადოდ წარმოჩენა დაისახა, და თავისი მრავალწლიანი მუშაობით შეასრულა კიდეც თავისი მოვალეობა მეცნიერებისა და ხალხის წინაშე. გ.ჩაჩაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფო მუზეუმში ეთნოგრაფიის განყოფილების ორგანიზების, სამუზეუმო ეთნოგრაფიული კოლექციების მოვლა–დაცვის, მეცნიერული შესწავლისა და ექსპოზიციური თუ ბეჭდური პუბლიკაციის საქმეში.

1962 წლიდან გ.ჩაჩაშვილი მოღვაწეობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეთნოგრაფიის კათედრაზე, დოცენტის თანამდებობაზე.

ქართული ეთნოგრაფიის სამეცნიერო პროფილის ფორმირების პირველსავე ათწლეულს დაემთხვა დარგის

სასწავლო–აღმზრდელობითი პროფილის ფორმირებაც. ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების ფართო სამუზეუმო საქმიანობა, რომელიც თანდათან მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დგებოდა, მთლიანად ვერ პასუხობდა დარგის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, კერძოდ, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში, მატერიალური თუ სულიერი კულტურის, სოციალური ურთიერთობის სფეროში დაუნჯებული უმდიდრესი და ზოგჯერ უნიკალური მასალის ფართო პროგრამით კვლევა–ძიებას, და შესაბამის განზოგადებას ზოგადკავკასიური, წინააზიური და ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურულ–ისტორიული პრობლემების შუქზე, რაც თავისთავად კვლევის არეალის გაფართოებას, ახალგაზრდა კადრების მომზადებას მოითხოვდა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის სათანადო ნიადაგს ქართული უნივერსიტეტი ქმნიდა; საჭირო იყო მომზადებული კადრები, ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორ–მასწავლებელთა ახალი ძალებით გაძლიერება, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ დისციპლინათა რიცხვის გაფართოება.

გ.ჩაჩაშვილი ერთგულად ამოუდგა მხარში დარგის მეთაურს გ.ჩიტაიას და მასთან ერთად იბრძოდა ეთნოგრაფიის მაღალი პრესტიჟის დაცვისთვის, კათედრის, მისი სასწავლო–აღმზრდელობითი და მეცნიერული პროფილის დამოუკიდებელ ერთეულად შენარჩუნებისათვის.

გ.ჩაჩაშვილი ჯერ კიდევ 50–იანი წლებიდან, როდესაც სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი იყო, დაეხმარა გ.ჩიტაიას ეთნოგრაფიის კათედრასთან შექმნილ კაბინეტ–მუზეუმისათვის ექსპონატების მოპოვებასა და ექსპოზიციის მოწყობაში.

ეთნოგრაფიის კაბინეტ–მუზეუმში თავმოყრილ იქნა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი იშვიათი სამუზეუმო კოლექციები, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისა და რასების ანთროპოლოგიური

ტიპები, კულტურის უნიკალური ელემენტებისა და ყოფითი რეალიების მაკეტები, ფოტოსურათები,ჩანახატები, დიაგრამები, სქემები და ა.შ.

კათედრის მაღალკვალიფიციური კოლექტივით დაკომპლექტება იმთავითვე ითვალისწინებდა სასწავლო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას, ზოგადი და რეგიონალური ეთნოგრაფიის და სპეცკურსების დაზუსტებული და დახვეწილი პროგრამების მომზადებას, სასწავლო–მეთოდური ლიტერატურის და სალექციო კურსების შექმნას. გ.ჩაჩაშვილი 60–იანი წლებიდან აქტიურად ჩაება უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის სასწავლო მუშაობის გაუმჯობესებისა და ახალი თაობების მომზადების საქმეში. იგი კითხულობდა მსოფლიოს ხალხების, ზოგადი ეთნოგრაფიის, საქართველოსა და კავკასიის, წინა აზიის ხალხთა ეთნოგრაფიის კურსებს; სპეცკურსებს – ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის, სულიერი კულტურის ისტორიიდან, არაბეთისა და თურქეთის ეთნოგრაფიიდან.

იგი აქტიურად ჩაება სასწავლო–მეთოდური ლიტერატურისა და კათედრის მიერ სალექციო კურსების შესადგენად დაწყებულ მუშაობაში.[3] ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ნაშრომი „სალექციო კურსი საზღვარგარეთის ხალხების ეთნოგრაფიაში“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტებსა და პროფესორ–მასწავლებლებში. მანვე შეადგინა პროგრამა „საქართველოს ეთნოგრაფიაში“. იგი კითხულობდა ლექციებს ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, უძღვებოდა სპეცკურსებს და ატარებდა სპეცსემინარებს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო მოხსენებების, საკურსო და სადიპლომო ნაშრომების მომზადებას.

1971 წელს გ. ჩაჩაშვილმა სტუდენტებისათვის თარგმნა და დასტამბა ცნობილი მეცნიერის მ.კოსვენის ნაშრომი „პირველყოფილი კულტურის ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკად. გიორგი ჩიტაია (ცენტრში) ქართველ ეთნოგრაფებთან ერთად. საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენის გახსნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, 1956 წ. გერცელ ჩაჩაშვილი - მარჯვნიდან მეექვსე.

ნარკვევები“, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ისტორიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებასაც. მაღალ პროფესიულ დონეზე ნათარგმნმა ნაშრომმა თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ნაშრომში პოპულარულადაა დახასიათებული პირველყოფილი საზოგადოება და განსაზღვრულია გარკვეულ ისტორიულ ჩარჩოებში. მოცემულია ცნობები პირველყოფილი წარმოების, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების შესახებ. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეთნოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში. „ჩემი წიგნის ქართულად გამოცემა დიდად სასიხარულო და საპატიოა, — წერდა მ. კოსვენი წინასიტყვაობაში, — გულითად მადლობას მოვახსენებ ყურადღებისა და გაწეული შრომისათვის მთარგმნელს გ.ჩაჩაშვილს. მეცნიერულ—პოპულარული ნაწარმოების ერთ—ერთი მიზანი ისაა, რომ ინტერესი აღუძრას მკითხველს თვითონვე გააფართოვოს მოწოდებული ცნობები, გააკეთოს დამოუკიდებელი განზოგადოებანი და დასკვნები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ აქტიურ ცნობისმოყვარეობას გამოიჩენს ჩვენი ქართველი მკითხველი“.[4] გ.ჩაჩაშვილს ეკუთვნის აგრეთვე კ.კოზლოვას „მეთოდური მითითებანის“ თარგმანი ეთნოგრაფ—სტუდენტებისათვის.[5]

სასწავლო—მეთოდური ლიტერატურისა და სალექციო კურსის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს გ.ჩაჩაშვილის მიერ თავის დროზე შედგენილი პროგრამა „საქართველოს ეთნოგრაფიაში“, რომელშიც თეორიული და ზოგადთეორიული ხასიათის პრობლემების წინ წამოწევით იგი ნათლად აჩენს ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალობას. სალექციო კურსში, რიგი ზოგად—თეორიული საკითხების ცოცხალი ეთნოგრაფიული სინამდვილიდან მოტანილი მაგალითებით განმტკიცება, კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების შუქზე განხილვა, მაქსიმალურად უადვილებდა სტუდენტებს

სალექციო კურსის ათვისებას.

60–იანი წლებიდან კათედრაზე გარკვეული მუშაობა ტარდებოდა საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოსა და ქრესტომათიის მომზადების მხრივაც, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა გ.ჩაჩაშვილი. მისი ხელი ატყვია ამ დროის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას, საკურსო და სადიპლომო თემატიკას, კათედრის სამეცნიერო გეგმებს, პროგრამებს. მაგრამ მაინც სრული არ იქნებოდა მისი მოღვაწეობის დახასიათება თუ განსაკუთრებით არ აღვნიშნავდით მის ღვაწლს სტუდენტთა საველე–საწარმოო პრაქტიკასა და საექსპედიციო მუშაობაში, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალისტების მომზადების საქმეში.

კათედრის სასწავლოო მუშაობის პროცესში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თვალსაჩინოების გამოყენებას. ამისათვის, ძირითადად, იყენებდნენ თსუ ეთნოგრაფიის კაბინეტ–მუზეუმს, მეორე მხრივ – საველე ლექციების ჩატარებას თბილისის გარეუბნებში. გ.ჩაჩაშვილი, როგორც მუზეუმის საუკეთესო სპეციალისტი და საველე ეთნოგრაფი, აქტიურად იყენებდა სწავლების ორივე მხარეს. საველე ლექციების კონკრეტული თემა იყო მატერიალური კულტურის სფეროდან: „საცხოვრებელი ნაგებობანი“, ხოლო სამუზეუმო ლექციები – „ქართული ტანსაცმელი“.

პროფ. გ. ჩაჩაშვილმა სამუზეუმო საქმიანობის გამოცდილება შესანიშნავად გამოიყენა სტუდენტთა სწავლების პროცესში. ეწეოდა მის აქტიურ პოპულარიზაციას და თვალსაჩინოების გამოყენებით ახერხებდა ხალხის ემპირიული კულტურის მიღწევებისა და შრომითი ჩვევების ახსნას და აუდიტორიამდე დაყვანას. მუზეუმში სტუდენტები თვალნათლივ ეცნობოდნენ ქსოვილების დამზადებასთან დაკავშირებული ქართული ხალხური საქსოვი დაზგების და სხვა შრომის იარაღების მდიდარ კოლექციებს. საქართველოში გავრცელებული საყოფაცხოვრებო

დანიშნულების სახიანი ქსოვილების, მათ შორის ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების და სხვათა დამზადებას, ქართული ნაქარგობის, ქართული ტანსაცმლის რეგიონალურ სახესხვაობებს, ქართულ იარაღს და სხვა.[6]

სტუდენტთა სასწავლო პროცესში ფართოდ იყო გამოყენებული საველე– საწარმოო პრაქტიკები, რომელთაც წინ უსწრებდა მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოები: საველე მეთოდების გაცნობა, ცალკეულ თემებზე ლიტერატურის დამუშავება და კითხვარების შედგენა, ექსპედიციის ორგანიზაცია, სადიპლომო ნაშრომებისათვის მასალების შეკრება და სხვა. სტუდენტ–ეთნოგრაფთა საველე–საწარმოო მუშაობის გამოცდილება გ.ჩაჩაშვილმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თეზისებში:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოგრაფიის სპეციალობის სწავლება პირველი კურსიდან იწყება. მესამე კურსზე ხდება სტუდენტთა სპეციალიზაცია ეთნოგრაფიაში. ამავე კურსიდან ტარდება სპეცკურსები და სპეცსემინარები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, მეურნეობის, სოციალური ურთიერთობის და სულიერი კულტურის სპეციალობებში. ეწყობა გასვლითი ლექციები თბილისის მახლობელ ხეობებში და პრაქტიკული მეცადინეობები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

2. ეთნოგრაფ–სტუდენტთა მომზადებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას, საველე–ეთნოგრაფიული მასალის /მათ შორის სამუზეუმო კოლექციების/ შეგროვებასა და სამეცნიერო–კვლევით მუშაობას, რაც ხორციელდება როგორც საზაფხულო საწარმოო პრაქტიკის, ისე კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობის გზით.

ეთნოგრაფ–სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის მუდმივი ბაზის შექმნის მიზნით განზრახულია უახლოეს ხანებში ჩამოყალიბდეს ეთნოგრაფიული სტაციონარი საქართველოს ერთ–ერთ კუთხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სტუდენტთა საველე ეთნოგრაფიული მუშაობა ხორციელდება ქართულ ეთნოგრაფიაში მიღებული ეთნოგრაფიული კვლევის კომპლექსურ–ინტენსიური მეთოდის საფუძველზე.

ამ მეთოდის შესახებ უნივერსიტეტში თეორიულად მიღებულ ცოდნას სტუდენტი პრაქტიკულად იყენებს ველზე. ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა წარმოადგენს ძირითად წყაროს საკურსო და სადიპლომო შრომებისათვის. ზოგიერთი სადიპლომო მასალა გამოქვეყნებულია სამეცნიერო ორგანოში.

4. სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა ძირითადად ხორციელდება სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სადაც სისტემატურად იკითხება მოხსენებები როგორც ზოგადი ეთნოგრაფიის, ისე საქართველოს ეთნოგრაფიის თემატიკაზე. წრეს კავშირი აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორთან, უნივერსიტეტში არსებულ სხვა მონათესავე დარგების სტუდენტთა სამეცნიერო წრეებთან, ტარდება გაერთიანებული სხდომები.[7]

გ. ჩაჩაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა თსუ ეთნოგრაფიის კათედრის საწარმოო ექსპედიციები რაჭაში, სვანეთში, ქართლში და სხვა 1964–1968 წწ. ამ პერიოდში სტუდენტთა ძალებით მომზადდა ეთნოგრაფიული მოხსენებები 1962 წ. სტუდენტ–ეთნოგრაფთა პირველი და 1963 წ. მეორე საკავშირო კონფერენციებისათვის, რომელთაც სათანადო ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს. ამის გამოძახილი იყო, რომ სტუდენტთა მესამე საკავშირო კონფერენციის ჩატარების ადგილად შერჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.[8]

გ. ჩაჩაშვილის ხელმძღვანელობით აღიზარდა ოთხი თაობა. იგი ხელმძღვანელობდა ასპირანტებს, ხარისხის მაძიებლებს, რომლებიც დღეს წარმატებით მუშაობენ არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა რესპუბლიკების

უმაღლეს სასწავლებლებშიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა იყო გ. ჩაჩაშვილის სამეცნიერო–შემოქმედებითი მუშაობის ყველაზე ნაყოფიერი წლები. სწორედ აქ, 1971 წელს, მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და 1972 წელს არჩეულ იქნა ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

„გერცელ ჩაჩაშვილი, – წერდა გ. ჩიტაია მის დახასიათებაში, – არის ეთნოგრაფიის კათედრის ერთ–ერთი ყველაზე აქტიური წევრი და საქმის ცოდნით, სიყვარულით უძღვება სამეცნიერო, პედაგოგიურ და სამეცნიერო–ორგანიზაციის პასუხსაგებ დატვირთვას – ცალკე აღნიშვნის ღირსია გ.ჩაჩაშვილის სასწავლო–შემოქმედებითი მუშაობა სტუდენტებთან, ასპირანტებთან, ხარისხის მაძიებლებთან, რომელთაც საგნის ღრმა ცოდნით უნერგავს საგნისადმი სიყვარულს და პატივისცემას, სისტემატურად მონაწილეობს და ხელმძღვანელობს კათედრის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს, ერთგული შრომით ხელს უწყობს ეთნოგრაფიის წინსვლას და განვითარებას. გ.ჩაჩაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კათედრის მეცნიერულ და საველე–საწარმოო მუშაობას. მის მიერ ეთნოგრაფიის კათედრაზე გაშლილი მუშაობა იყო ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და ძირეული უბანი კადრების აღზრდის და კვალიფიციურად მომზადების საქმეში.

1970 წლიდან გ. ჩაჩაშვილი აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სადაც მიწვეულ იქნა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის ეთნოგრაფიის სექციაში. მან აქაც საქმის ერთგულებით და მონდომებით შეძლო საერთო პატივისცემის მოპოვება. მის მიერ შესრულებული თითოეული საენციკლოპედიო წერილი გამოირჩევა საგნის ღრმა ანალიზითა და თვითმყოფადობით“.[9]

პროფ. გ. ჩაჩაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა მრავალმხრივია და მრავალფეროვანი. ქართული და კავკასიური ეთნოგრაფიის საუკეთესო მცოდნე, ხანგრძლივი დროის მანძილზე ნაყოფიერად იკვლევდა ქართველი ხალხის სამეურნეო–მატერიალური და საზოგადოებრივი ყოფის საკვანძო საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის 80–ზე მეტი გამოკვლევა, სადაც სისტემური კვლევით, ახალ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გამოავლინა ქართველი ხალხის ემპირიული კულტურის მაღალი დონე და ფართო განზოგადების საფუძველზე – საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოკულტურული კავშირები, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით – საქართველოს, კავკასიისა და წინა აზიის ცალკეული ელემენტების პარალელები.

გ. ჩაჩაშვილის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული ეთნოგრაფიის ისტორიასთან, მის წარმატებებთან. ქართული ეთნოგრაფიის დაწინაურების პირველი დღიდანვე ცხადი გახდა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება და განზოგადება რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. საზღვარგარეთის ეთნოგრაფიაში გამოყენებული საველე მეთოდები საქართველოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან აქ მაღალი კულტურული მიღწევების გვერდით წარმოდგენილი იყო განვითარების უძველესი ფორმების მხოლოდ რელიქტური მოვლენები, მის გვერდით ეთნოკულტურული თეორიების სიმრავლე და სარწმუნო საველე ფაქტების ნაკლებობა, უპირველეს ამოცანად სახავდა სწორი მეთოდით ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას.[10]

ამ ამოცანის გადაჭრა წილად ხვდა აკად. გ. ჩიტაიას, რომელმაც არა მარტო კრიტიკულად შეაფასა ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, არამედ მან პირველმა მოგვცა ქართული ეთნოგრაფიის მეცნიერული განსაზღვრება /პრიმიტივიზმის კრიტიკა/, გამოიმუშავა საველე და

მეცნიერული მუშაობის მეთოდი და ძირითადი პრინციპები.[11]

ახლად ფუძეჩაყრილი მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალი ქართული მეთოდის სისწორეს, რაც უპირველესად მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივის შემგროვებლობით საველე–ეთნოგრაფიულ მუშაობას და მის საფუძველზე შექმნილ მონოგრაფიებს უნდა დაედასტურებინა. საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მეურნეობისა და ნივთიერი კულტურის, სოციალური მოვლენების, ტრადიციებისა და იდეოლოგიური ურთიერთობის გადმონაშთების შედარებით – ისტორიული შესწავლა, ამ ელემენტების და მოვლენების სწორი ანალიზი, მათი კულტურულ–ისტორიული ღირებულების შეფასება იქცა ეთნოგრაფთა სამეცნიერო მუშაობის ქვაკუთხედად. მათი გამოკვლევათა თემატიკა მოიცავს ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის ფართო წრეს, დაყენებულია გადასაწყვეტად კულტურულ–ისტორიული და ეთნოგენეტიკური საკითხები.

ამ ამოცანის გადაჭრას მიეძღვნა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლების: გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძის, ალ.რობაქიძის, ლ. ბოჭორიშვილის, გ. ჩაჩაშვილის და სხვათა მიერ შექმნილი ნაშრომები და მონოგრაფიები, რომლებიც ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების საეტაპო მიღწევებს წარმოადგენენ. მათ გზა გადაუღობეს მეცნიერებისათვის უსარგებლო თეორიებსა და მეთოდებს, პირველებმა აღიმაღლეს ხმა ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციების დასაცავად, დაამტკიცეს „კულტურული მიგრაციებისა“ და „იძულებითი სესხების“ ყველა თეორიის მცდარობა და თავის ნაშრომებში ფართოდ ასახეს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა თვითმყოფადი კულტურის სიძველე და ადგილობრივი წარმომავლობა.[12]

პროფ. გ. ჩაჩაშვილის შემოქმედება ვრცლად ეხება ეთნოგრაფიის ტრადიციულ კარდინალურ საკითხებს: სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის საკვანძო პრობლემებს. მის გამოკვლევებში, ახალი ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, კულტურის ისტორიის არაერთი პრობლემაა დასმული და გადაჭრილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ქსოვის ხალხური ხერხებისა და ტექნოლოგიის საკითხების შესწავლაში, ქართველი ხალხის შრომის იარაღების ერთ–ერთი უძველესი სახეობის – საქსოვი დაზგების შესწავლასა და ტიპოლოგიზაციაში, ქსოვილების დამზადებაში, ღებვის ემპირიულ ცოდნა–გამოცდილებაში და ა.შ.[13]

ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, არქეოლოგიური, ენობრივი და საბუნებისმეტყველო მონაცემების საფუძველზე და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, დადგენილია ქართული ხალხური ფეიქრობის სახეები, საფეიქრო ნედლეულისა და ქსოვილების დამზადების ხალხური ტექნიკის თავისებურებანი

ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, არქეოლოგიური, ენობრივი და საბუნებისმეტყველო მონაცემების საფუძველზე და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, დადგენილია ქართული ხალხური ფეიქრობის სახეები, საფეიქრო ნედლეულისა და ქსოვილების დამზადების ხალხური ტექნიკის თავისებურებანი, შრომის ორგანიზაციის ფორმები, ფეიქრობასთან დაკავშირებული სოციალ–ეკონომიკური და კულტურულ–ისტორიული საკითხები გ.ჩაჩაშვილის ფუნდამენტალურ მონოგრაფიულ გამოკვლევაში: „ხალხური ფეიქრობა საქართველოში".[14]

ნაშრომში ავტორმა მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა ქართული ხალხური ფეიქრობის გენეზისის და განვითარების საკითხების კვლევაში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან მოცემულ გარემოში წარმოებისა და შრომითი საქმიანობის

თავისებურებებს, სამეურნეო–საწარმოო, სოციალური და სულიერი კულტურის ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროებს. მან გამოავლინა როგორც ზოგადქართული, ისე რეგიონალური სპეციფიკა, ფეიქრობის ადგილი და როლი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის სფეროში, მისი უწყვეტი და მიმღეობითი განვითარება.

ქართველი ხალხის სოციალურ ურთიერთობათა საკითხების კვლევას ეხება პროფ. გ. ჩაჩაშვილის საკანდიდატო დისერტაცია „ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში" /ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით/. სადაც განხილულია საქართველოს ისტორიის სოციალური ვითარების ისეთი პრობლემური საკითხი, როგორიცაა მთის პირობებში ძველი ხალხური მმართველობის სისტემა, მისი ფუნქცია და ადგილი ყოფაში. ავტორი კრიტიკულად განიხილავს ძველ საისტორიო მწერლობაში დამკვიდრებულ მოსაზრებას საქართველოს მთიანეთში გვაროვნული წყობილების ბატონობის შესახებ და ახალი ეთნოგრაფიული მასალებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, ხალხური მმართველობის ამ სისტემას განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევს.[15]

ქართული ხალხური ჩაცმულობის კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პროფ. გ. ჩაჩაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში. ქართული ტანსაცმლის ისტორიის შესწავლისას მკვლევარი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს ეთნოგრაფიულ წყაროს, რის საფუძველზეც აყენებს პრინციპული მნიშვნელობის საკითხს, რომ ქართული ტანსაცმელი საჭიროა განხილულ იქნეს ისტორიულ ასპექტში, უპირველესად, როგორც ნაციონალური კულტურის სპეციფიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ქართული ყოფისა და მატერიალური კულტურის თავისებურებას, მხატვრულ–ესთეტიკურ გემოვნებას, ქართველი ხალხის კულტურულ–ეთნიკურ კავშირს კავკასიისა და ახლო

აღმოსავლეთის ხალხებთან.

ავტორისეული დასკვნით, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ტანსაცმლის მრავალფეროვნება შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მის შემადგენელ ელემენტებს ერთმანეთთან აახლოვებენ და მათ ზოგადქართულ ხასიათს ანიჭებენ. ქართული ჩაცმულობის ძირითადი ტიპი საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა შინაგანი განვითარების კანონზომიერებით, ხოლო გ.ჩაჩაშვილი მას თავისი საწყისი ფორმით კოლხურ–იბერიული გარემოდან მიმდინარედ თვლის და ამ გზით, მცირე აზიის ძველ კოლხ ხალხთა სამოსელს უკავშირებს. გ. ჩაჩაშვილი წლების განმავლობაში მონაწილეობდა ქართული ეთნოგრაფიული ატლასის საკოორდინაციო სამუშაოებში თემაზე: ქართული ტანსაცმელი და ამ საკითხის დამუშავებას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. ქართულმა ეთნოგრაფიულმა ატლასმა, რომლის შექმნას ქართველმა ეთნოგრაფებმა ოცწლიანი შრომა მოანდომეს, გამოავლინა ეთნოგრაფიული მოვლენების შესაბამისი კანონზომიერებანი სათანადო ტექსტების, სამეცნიერო კარტოგრამების, ილუსტრაციების მეშვეობით.

ქართველი ხალხის ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლას პროფ. გ.ჩაჩაშვილმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. ამ საკითხების კვლევას ქართველმა ეთნოგრაფებმა 1930 წლებში მოჰკიდეს ხელი, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ეთნოგრაფიული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ხევსურეთისა და სვანეთის მოსახლეობის ახალი ყოფისა და კულტურის დინამიკა ძველი და ახალი ყოფის შედარებითი წარმოდგენით.

შემდგომ, 50–იან წლებში დაიწყო საკითხის ინტენსიური შესწავლა და თითქმის ყველა ეთნოგრაფმა შეიტანა თავისი წვლილი ამ საკითხის გაშუქებაში.

ქართველი ეთნოგრაფები ახალი ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევისას ამოდიოდნენ იმ დებულებიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს კვლევა–ძიება გულისხმობდა ხალხის შრომითი ჩვევების, საწარმოო გამოცდილების, ხალხური კულტურის თვითმყოფადი ხასიათის იმ დამახასიათებელი ნიშნების შესწავლას, რომლებიც არსებობენ თანამედროვე ყოფაში, თანმიმდევრული ისტორიზმის პრინციპის დაცვით.

შესწავლის სფეროში მოექცა სამგორის ტერიტორიაზე მიგრირებული მოსახლეობაც. სამგორის ყოფისა და კულტურის შესწავლა ჯერ კიდევ სამგორის არხის მშენებლობაზე დაიწყო.[16] აქ მუშაობდა ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ექსპედიცია გ.ჩიტაიას ხელმძღვანელობით 1960 წ., თსუ ეთნოგრაფიის კათედრა – 1949 წ., და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია – 1955 წ., რომელიც სწავლობდა სამგორის მოსახლეობის თანამედროვე ყოფასა და კულტურას.

გ. ჩაჩაშვილის მიერ შესწავლილ იქნა სამგორის მოსახლეობის ახალი ყოფისა და კულტურის საკითხები, ქუთაისის სავტომობილო ქარხნის მუშების ახალი ყოფა და კულტურა, ტყიბულის მაღაროელთა ყოფა. გ.ჩაჩაშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული სამეურნეო ყოფისა და ნივთიერი მასალის გამომზეურების საქმეში. მან შესანიშნავად წარმოაჩინა მუზეუმში დაუნჯებული ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული დამუშავებისა და საგამოფენო ექსპოზიციაში მისი ჩართვის მნიშვნელობა.

დიდია პროფ. გ. ჩაჩაშვილის როლი ქართული ეთნოგრაფიის განვითარების საქმეში. მის გამოკვლევებში საბოლოოდ დაძლეულ იქნა XIX ს.მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისში გავრცელებული მოსაზრება აგრარული ცივილიზაციის მონაპოვრებში კავკასიელი, მათ შორის ქართველი ხალხის პასიური წვლილის შესახებ, რომლის მიხედვით მათ კულტურულ ღირებულებათა არა შემქმნელების, არამედ მექანიკური გადამცემის როლი ეკისრებათ. სპეციალური კვლევით მან გამოავლინა



იმერეთის ექსპედიცია, 1937 წელი. გერცელ ჩაჩაშვილი მარცხნიდან მეორე

აღნიშნულ ცრუმეცნიერთა უსუსურობა და ხაზგასმით მიუთითა ამ მონაპოვართა შემოქმედებით, ორიგინალურ ფესვებზე, რომელთა მიხედვითაც მათ სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი აგრარული ცივილიზაციის ზოგადსაკაცობრიო საგანძურში.[17]

გ. ჩაჩაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეთნოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაციის საქმეშიც. ცალკე ნარკვევებში, წერილებსა თუ რეცენზიებში იგი მკითხველთა ფართო წრეებს აცნობდა როგორც ზოგადი ეთნოგრაფიის, ისე საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებს.[18] იგი იყო თანაავტორი ქართველი ხალხის შესახებ შექმნილი შემაჯამებელი ნაშრომისა „ქართველები", რომელიც კვალიფიციურ ქართველ ეთნოგრაფთა ძალისხმევით შევიდა მრავალტომეულში „ქართველები". აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონგრესებზე. 1964 წ. მოსკოვის მე–7 საერთაშორისო კონგრესზე მოსმენილი მოხსენება „ქართული კოსტიუმის ხალხური საწყისები" გამოქვეყნდა რუსულ და ინგლისურ ენებზე. იგი ქართული ეთნოგრაფიის მიღწევებს სათანადო მოხსენებებით უწევდა პოპულარიზაციას.

გ. ჩაჩაშვილის მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა ექსპოზიციები: „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა", 1955წ., „XIX ს. კავკასიის ხალხთა კოსტიუმი", 1958 წ. და ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესისადმი მიძღვნილი ქართული კულტურის მიღწევების ამსახველი გამოფენა ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახ. უნივერსიტეტში, 1960 წელს.

1936 წლიდან ის სისტემატურად მონაწილეობს მრავალრიცხოვან ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, ეხმარება რეგიონებს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების მოწყობაში, აქვეყნებს ბროშურებს მხარეთმცოდნეობის მუშაკთა დასახმარებლად, თანაავტორობს ეთნოგრაფიული

ფონდების მეცნიერული აღწერილობის სამ წიგნს /ქართული საჩითავები, ქართული კოსტიუმის და ქართული კერამიკის დასურათებული კატალოგები/.

გ. ჩაჩაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართველ ეთნოგრაფთა რამდენიმე თაობის აღზრდას და მეცნიერულ დაკვალიანებას. იგი იყო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების პრინციპული შემფასებელ–ოპონენტი და ამასთან საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების უბადლო ოსტატი. [19]

გ. ჩაჩაშვილის მოღვაწეობა ქართულ ეთნოგრაფიაში ერთ–ერთი ბრწყინვალე ფურცელია ამ დარგის ისტორიაში. მისი ფართო მეცნიერული დიაპაზონი და ერუდიცია დიდი მეცნიერული ღირებულებისაა კულტურის ისტორიის რიგი პრობლემების ზოგადთეორიულ და ისტორიულ პლანში კვლევისას. ღრმა განსწავლულობა და ამასთან დიდი პროფესიონალიზმი საშუალებას აძლევდა მკვლევარს ზოგად ჭრილში დაესვა და გადაეწყვიტა საქართველოსა და კავკასიის არაერთი საინტერესო პრობლემა. საველე ეთნოგრაფიული მუშაობისადმი დიდი მეცნიერული პასუხისმგებლობით მიდგომამ საშუალება მისცა მკვლევარს გამოევლინა ქართველი ხალხის მეურნეობის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა, რომელსაც, როგორც პირველწყაროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მეცნიერული მემკვიდრეობის გარდა, იგი მაღალი ინტელექტუალური თვისებების გამოც დღემდე ცოცხლობს თავისი კოლეგების მეხსიერებაში. რა იყო მისი სულიერი ცხოვრების არსი: ქართველი ხალხის სიყვარული, ქართული ეროვნული კულტურის თაყვანისცემა, მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა–შეფასება, ისტორიის ქარტეხილებისაგან სამუზეუმო ექსპონატების დაცვა – პოპულარიზაცია, დარგისათვის ღირსეული კადრების აღზრდა, კოლეგების სიყვარული, თავისი

მასწავლებლების ამაგის დაფასება [20] და მათი პატივისცემა.

სიცოცხლის ბოლო წლები გ. ჩაჩაშვილმა საქართველოსაგან და მეგობარ-კოლეგებისაგან შორს – ამერიკის მიწაზე – გაატარა. იგი გარდაიცვალა 1987 წ., დაკრძალულია ნიუ-იორკში.

პროფ. გ. ჩაჩაშვილის მოღვაწეობა და ღვაწლი ქართველოლოგიურ მეცნიერებაში, კიდევ ერთი დადასტურებაა ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებული იმ შესანიშნავი ურთიერთობისა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. და ბუნებრივია, გ. ჩაჩაშვილს, ეროვნებით ებრაელს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქართული ეთნოგრაფიის განვითარებას მიუძღვნა, თანაბრად მიაგებენ პატივს ქართველებიცა და ებრაელებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი I

## *ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის საკითხისათვის*

## ქართული ხალხური ფეიქრობა

იმ მრავალმხრივ საკვლევაძიებო მუშაობაში, რომელსაც პროფ. გ.ჩაჩაშვილი აწარმოებდა ქართველი ხალხის ეთნიკური ყოფისა და კულტურის საკითხების შესასწავლად, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დარგობრივ პრობლემური ხასიათის საკითხების მონოგრაფიულ, კომპლექსურ კვლევას. ამის შედეგად ქართულ ეთნოგრაფიას სადღეისოდ მოეპოვება თვალსაჩინო გამოკვლევა ქართული ფეიქრობის შესახებ, სადაც საკვლევი პრობლემა დამუშავებულია ფართო მასშტაბით, კულტურულ–ისტორიული თვალთახედვით. ქართველი ხალხის საწარმოო ყოფის ერთი სფეროს–ფეიქრობის–სრული აღწერილობის მაგალითზე ავტორმა სამეურნეო–მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ურთიერთდაკავშირების ფონზე გვიჩვენა შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების ხანგრძლივი პროცესი. [21]

ნაშრომში „ხალხური ფეიქრობა საქართველოში“ /საოჯახო წარმოების კულტურა/[22], გამოვლენილია ქართული ხალხური ფეიქრობის როგორც ზოგად ქართული ხასიათი, კუთხური თავისებურებები; დადგენილია მისი განვითარების უწყვეტი და ხალხური ტრადიციული წესები, მასთან დაკავშირებული მიმღეობითი ხასიათი. შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება, გარკვეულია ამ საოჯახო წარმოების როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის სამეურნეო და ეკონომიკური ცხოვრების წარმოებაში; პარალელურად ნაჩვენებია ფეიქრობის ეთნოკულტურული, ესთეტიკური

გემოვნება და ადგილი ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში.

საკვლევი თემის შესწავლის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც წლების მანძილზე /1950–1967/ იკრიბებოდა ავტორის მიერ საქართველოსა და კავკასიის რაიონებში. /კერძოდ: ქართლში, კახეთში, ხევსურეთში, ფშავში, ხევში, მთიულეთ–გუდამაყარში, ბორჯომის ხეობაში, იმერეთში, რაჭაში, სამეგრელოში, გურია–აჭარაში, ზემო და ქვემო სვანეთში, აგრეთვე აფხაზეთის, ადიღეს, ჩრდილოეთ ოსეთის, დაღესტნის რიგ რაიონებში/ სახელმწიფო მუზეუმის, ისტორიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის მიერ მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს.

ნაშრომში ახალ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში არსებული მასალები, საარქივო მონაცემები, კერძოდ ივ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1935–38 წწ. შეკრებილი მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, გ.ბოჭორიძის არქივი და ყოფილ საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმის კავკასიის განყოფილების, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის, ლენინგრადის ერმიტაჟის, აზერბაიჯანის, ადიღეს, დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის მუზეუმების კოლექციები.

სისტემური კვლევის საფუძველზე მკვლევარი ადგენს, რომ ფეიქრობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი საწყისები ადრეული ხანიდან მოდის. ძველი აღმოსავლეთის საფეიქრო წარმოების იმ უძველეს ცენტრებს შორის, რომელიც მაშინდელ მსოფლიოში სელისა და მატყლის დამუშავების მაღალი ხელოსნებით იყო ცნობილი, ბერძნული კლასიკური საისტორიო მწერლობა /ჰეროდოტე, სტრაბონი/ საქართველოსაც /კოლხეთი, იბერია/ ასახელებს. ამ უძველესმა ისტორიულმა ტრადიციამ თავისი მეცნიერული

დადასტურება არა მარტო ქართულ განათხარ ძეგლებში ჰპოვა, არამედ წერილობით წყაროებში და ეთნოგრაფიულ მონაცემებშიც. ეს მონაცემები დოკუმენტურად მოწმობენ, რომ ქართველ ხალხს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ჯერ კიდევ ანტიკური ხანის საფეიქრო წარმოების კულტურის დაწინაურებაში: ამის შესანიშნავი დადასტურებაა კოლხური ნაზმატყლიანი ცხვრის და საუკეთესო საბოჭკოე თვისების მქონე კოლხური სელის გამომუშავება. ცნობილია ისიც, რომ შუასაუკუნეებიდან მოიპოვა საყოველთაო აღიარება ქართულმა აბრეშუმმა, რომელიც თავისი მაღალი ღირსებით ფართოდ იყო აღიარებული როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, ისე ევროპის ქვეყნებში.

ნედლეულის მრავალფეროვნება და სიუხვე, ხალხური ფეიქრობის ხანგრძლივ ტრადიციებთან ერთად, გარკვეულ წანამძღვრებს ჰქმნიდა ტექსტილური მრეწველობის განვითარებისათვის. ამიტომ ოჯახური წარმოების ამ ფორმამ ადრეული ხანიდან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. არქეოლოგიური მონაცემებით დგინდება ფეიქრობის საწყისები /ნეოლითისა, ენეოლითის და ბრინჯაოს ხანის კვირისტავები, თითისტარი, მტკვარ–არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ქსოვილიანი კერამიკის ფრაგმენტები, სელის, მატყლის, ბამბის, აბრეშუმის ნართის და ქსოვილების ნაშთები, საქსოვი დაზგის უძველესი ტიპის ნაწილები და სხვა.

პრობლემის ისტორიულ–ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით, კვლევაში გამოყენებულია არქეოლოგიური მასალები, სხვადასხვა ქართული წერილობითი ძეგლები, საისტორიო მწერლობა, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, ისტორიული საბუთები, ლექსიკონები, უცხოელ მოგზაურთა ცნობები, მასალები XIX საუკუნის პერიოდულ გამოცემებში. „გუთნის დედა“, „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მეურნე“, „საქართველოს კალენდარი“, „სასოფლო გაზეთი“; რუსულ პერიოდიკაში დაცული მასალები [23], სპეციალურ

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული მოსაზრებები.

გ. ჩაჩაშვილის კვლევის მიზანს შეადგენდა ფეიქრობის ცალკეული დარგების ეთნოგრაფიული შესწავლა; მასთან დაკავშირებული ხალხური ტექნოლოგიისა და ტექნიკის, მრავალსაუკუნოვანი ემპირიული ცოდნის, ტრადიციების, შრომითი ჩვევების და საწარმოო გამოცდილების გამოვლენა, წარმოების ამ დარგის სოციალურ–ეკონომიკური ბუნებისა და სამეურნეო მნიშვნელობის გარკვევა ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში; ხალხურ ფეიქრობასთან დაკავშირებული ეთნო–კულტურული ტრადიციების გათვალისწინება კულტურული მიმოცვლის თვალსაზრისით; ქართულ–კავკასიური მონაცემების საფუძველზე ფეიქრობის როლის და წარმოშობის განსაზღვრა ქართული ხალხის და ზოგადად კულტურის ისტორიაში.

მონოგრაფიაში დასმული საკითხები შესწავლილია კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთ მთლიანობაში გააზრებით, თანმიმდევრული ისტორიზმის პრინციპის შესაბამისად, რამაც შესაძლებლობა მისცა მკვლევარს არა მარტო აეხსნა ეთნოგრაფიული მოვლენის ბუნება, არამედ ისტორიული წყაროს დონეზე აყვანილი ეთნოგრაფიული ფაქტები, მეცნიერების სხვა დარგების მონაცემებთან ერთად გამოეყენებინა კულტურის ელემენტების გენეზისისა და ევოლუციის საკითხების გასაშუქებლად ისტორიული განვითარების პროცესში.

ისტორიულ და ეკონომიკურ გამოკვლევებზე დაყრდნობით ავტორი ადგენს, რომ ფეიქრობა საქართველოში წარმოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარგია, რომელიც ისტორიულად მრეწველობის მარტივ ფორმებთან/ ოჯახური მრეწველობა, ხელოსნობა/ იყო დაკავშირებული. XIXს. II ნახევარში საქართველოს საფეიქრო წარმოებაში ოჯახური წარმოება ერთხანს თანაარსებობდა მრეწველობის კაპიტალისტურ ფორმებთან /წვრილი სასაქონლო

წარმოება, მანუფაქტურა, ფაბრიკული წარმოება/, მაგრამ არსებითად განსხვავდებოდა ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ძველებური ოჯახური მრეწველობიდან, რომელიც პროდუქციას ამზადებდა „უშუალო საჭიროებისათვის“ და არა ბაზრისათვის.

XIX ს. საქართველოში, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების შედეგად, საოჯახო წარმოებას ეკონომიკური საფუძველი ეცლება და თანდათან ქრება ან წვრილ გლეხურ მეურნეობაში გადაიზრდება ჯერ ბარში, შემდეგ მთაში. თუმცა იგი საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ყოფაში XX საუკუნის დამდეგამდეც შემოინახა, რასაც წვრილი გლეხური მეურნეობის პირობებში ეკონომიურად ასაზრდოებდა მიწათმოქმედება–მესაქონლეობის პროდუქტების საკუთარი ძალებით გადამუშავების პრაქტიკა გლეხის ოჯახში.

მონოგრაფიაში ძირითადად განხილულია მატყლის, ბამბის, სელისა და კანაფის ტექსტილური დამუშავების, რთვასა და ქსოვასთან დაკავშირებული მრავალსაუკუნოვანი ხალხური შრომითი ჩვევები, საწარმოო გამოცდილება, ქსოვის ტექნიკა და საერთოდ, საფეიქრო ოჯახური კულტურის წარმოების ისტორიული განვითარება.

როგორც ცნობილია, რთვა და ქსოვა ისტორიულად შორეულ ეპოქაში ჩაისახა და განვითარდა. სპეციალისტები ქსოვის ტექნიკას წვნის ტექნიკიდან გამომდინარედ მიიჩნევენ. კერძოდ, ქსოვას დაეუფლა ჯერ კიდევ ნეოლითური ეპოქის ადამიანი, რასაც მოწმობს იმ ეპოქის განათხარ მასალებში აღმოჩენილი ძაფის დასამზადებელი ხელსაწყო–იარაღები /კვირისტავი/, საქსოვი იარაღი და ქსოვილის ნაშთები.[24]

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ქსოვის ადრეული ფორმებია მარყუჟული წესით წვნა, საიდანაც ვითარდება სპირალურ–ჩალიჩური წესით წვნა და ქსოვა. სპირალურ–ჩალიჩური წვნა, როგორც არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, პირველყოფილ ხალხთა კულტურის მონაპოვრად ითვლება. საქართველოში წვნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნების სიძველეზე მიუთითებს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ჩალიჩური ქსოვის წესი ყაისნაღით და არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი სპირალურ-ჩალიჩური წნულის უძველესი ნაშთები/ ერთი–ადრებრინჯაოს ხანის ბედენის აკლდამაში, მეორე – გვიანნეოლითური ხანის ნამოსახლარზე – იმირის გორაზე/.

ისტორიულ–ეთნოგრაფიული მასალებით, ჩხირებით „წინდურად ქსოვა" ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს, კავკასიის, ევროპისა და აზიის ხალხთა ყოფაში, მაგრამ ჩხირებით ნაქსოვის ყველაზე ადრეული ნიმუში ანტიკურ ხანას არ სცილდება /ძვ. III–I/I სს/. იგი მოპოვებულ იქნა საქართველოში და ცნობილია „ყაზბეგის განძის" სახელწოდებით.

ფეიქრობის და მასთან დაკავშირებული ცალკეული კულტურულ–ისტორიული საკითხების დასმა და გადაწყვეტა მნიშვნელოვანია, როგორც მატერიალური კულტურის, ისე ტექნიკის ისტორიის თვალსაზრისით. ეს დარგი საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებდა ცხოველმყოფელობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასიის ხალხთა ისტორიულ–ეთნოგრაფიული კოსტუმის ატლასის შესწავლასთან დაკავშირებით აღნიშნულმა პრობლემამ აქტუალობა მიიღო და ეთნოგრაფთა კვლევის არეალში მოექცა ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ამ ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დარგის ეთნიკური ჯგუფის სპეციფიკის, სამეურნეო–კულტურული ტიპის და ზოგადად, წარმოების აღნიშნული წესის კვლევა.

პროფ. გ. ჩაჩაშვილის მონოგრაფია წარმოადგენს ფეიქრობის ხალხური ტრადიციების მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას საქართველოში, რომლის სათავეები სადღაც „ბრინჯაოს ხანის ბურუსში იკარგება".[25] ზოგადი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემები ფეიქრობის პირველ ნაბიჯებს მიწათმოქმედება–მესაქონლეობის განვითარებას უკავშირებს. ფეიქრობის

წარმოშობამდე ადამიანის თავდაპირველ სამოსად ტყავის ტანსაცმელს ვარაუდობენ. ვ. მასონი ჯეითუნის გათხრებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილ ტყავის დასამუშავებელ ქვის საფხეკებისა და სახვრეტების საფუძველზე ასკვნის, რომ ამ თავისებურ სახელოსნოში ტანსაცმლის დასამზადებლად ძირითადად ტყავს ამუშავებდნენ. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ აქ ჯერ კიდევ არ გვხვდება თიხის კვირისტავები, რომლებიც დამახასიათებელია უფრო მოგვიანო, კერძოდ, ენეოლითის ხანის სამხრეთ თურქმენეთის განათხარი მასალისათვის. მკვლევარის აზრით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯეითუნის კულტურის საწყის საფეხურზე, ფეიქრობა ან სრულიად უცხო იყო ან ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ტანსაცმელი აქ ძირითადად ნადირის ტყავისაგან მზადდებოდა, რაც მეურნეობაში მესაქონლეობის უმნიშვნელო ხვედრითი წონით აიხსნება. განვითარების მომდევნო საფეხურზე, ნადირობის დაწინაურებასთან ერთად, მოსახლეობა ქსოვილის ტანსაცმლის გამოყენებას იწყებს, რაც ფეიქრობის განვითარების შედეგიც იყო. ტყავის დამუშავების ხვედრითი წონის შემცირება კი იმაზე მეტყველებს, რომ ტყავის დასამუშავებელი იარაღები მცირდება საფეიქრო იარაღ–ხელსაწყოების ზრდის ხარჯზე.

ფეიქრობის მაჩვენებელი ნაშთები განათხარ მასალაში ნეოლითის ხანიდან ჩანს. ამ ხანას მიეკუთვნება დღემდე ცნობილი უძველესი განათხარი კვირისტავები, რომელიც ძაფის სართავად თითისტარის გამოგონების მომასწავებელია და ფეიქრობის საწყისადაა მიჩნეული.

სპეციალურ ლიტერატურაში, ნეოლითის ხანას მიეკუთვნება მთის კულტურის ჩამოყალიბება საერთოდ, და კერძოდ, საქართველოსა და კავკასიაში.

კავკასიის მთიანეთი იმთავითვე შეიცავდა ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებს მწარმოებლური მეურნეობის უძველესი ფორმების – ტერასული მიწათმოქმედებისა

და მომთაბარე მესაქონლეობის განვითარებისათვის. ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში მიწათმოქმედება თავდაპირველად მთის ზოლში უნდა ყოფილიყო ჩასახული, სადაც უძველეს სამეურნეო საქმიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ხოლო ისტორიულად სამთო ირიგაცია წინ უსწრებდა ბარის სარწყავ მიწათმოქმედებას. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები მხარს უჭერს შეხედულებას მიწათმოქმედების განვითარების საქმეში სამთო მიწათმოქმედების განსაკუთრებული, პირველადი მნიშვნელობის შესახებ.

კავკასიის ხალხთა ყოფაში მრავალი საერთო ელემენტი მოიპოვება, რომელიც შემუშავებულია საწარმოო ძალების განვითარების დონის შესაბამისად მსგავს ბუნებრივ და კულტურულ–ისტორიულ პირობებში. ამ საერთო ელემენტების არსებობა მიუთითებს სამეურნეო–კულტურული ტიპებისა და ნივთიერი კულტურის ისეთ საზიარო ფორმებზე, რომლებიც უძველესი ხანიდან მოყოლებული მთელი კავკასიისათვის იყო დამახასიათებელი. ასეთ ერთიანობაზე პირველყოვლისა მოწმობს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საერთო მიმართულება კავკასიაში.

კავკასიის ხალხთა უძველესი მწარმოებლური სამეურნეო–კულტურული ტიპები ჯერ კიდევ ნეოლითში ჩამოყალიბდა, რომელიც შემგროვებლობასა და მონადირეობა–მეთევზეობაზე დამყარებულმა სამეურნეო–კულტურულმა ტიპმა შეცვალა. ისტორიულად ამით არის განპირობებული კავკასიის ერთიანი ისტორიულ–ეთნოგრაფიული ოლქის სამეურნეო და კულტურული თავისებურებანი.

ცნობილია, რომ საქართველო და, საერთოდ, სამხრეთ კავკასია ითვლებოდა მემინდვრეობის, მესაქონლეობის, კულტურული მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის და ა.შ. უძველეს კერად, რომელიც უშუალოდ ემეზობლება წინა აზიის უძველეს მიწათმოქმედება–მესაქონლეობის

კულტურების მწარმოებლურ ცენტრებს.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის ერთიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში ძველთაგანვე შემუშავდა მწარმოებლური მეურნეობის ორი უძველესი სამეცნიერო-კულტურული ტიპი: „ამიერკავკასიაში ეს ტიპი მიწათმოქმედებაზე იყო დამყარებული /მიწათმოქმედება—იალაღური მესაქონლეობა/, ჩრდილო კავკასიაში მესაქონლეობაზე /იალაღური მესაქონლეობა — მთური მიწათმოქმედება/. ამის შესაბამისად ისტორიულად საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოჭკოვან ნივთიერებათა ტექსტილური დამუშავება უპირატესად მცენარეულ-ცხოველური წარმოშობის ბოჭკოზე იყო დამყარებული, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში კი ცხოველურ—მცენარეულზე. ფეიქრობის განვითარების ასეთი ტენდენცია კავკასიაში მიწათმოქმედებიდან ხელოსნობის გამოყოფის შემდეგაც იყო ნიშანდობლივი.[26]

ფეიქრობის განვითარების ისტორიული ექსკურსიდან ჩანს, რომ ოჯახური საფეიქრო წარმოება ადრეკლასობრივი საზოგადოების დაშლის შემდგომაც არ გამქრალა. იგი თავისებური ფორმით არსებობდა კლასობრივ საზოგადოებაშიც ხელოსნობასთან, მანუფაქტურასთან და მანქანური წარმოების განვითარების შემდგომაც, განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, სადაც საამისოდ ხელსაყრელი პირობები იყო შემონახული.

საქართველოში საოჯახო წარმოება აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და ერთ—ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკავა ქართველ მთიელებში. მთისა და ბარის ეკონომიკურ ურთიერთობაში მონაწილეობდა ოჯახური ფეიქრული ნაწარმიც /მთის მაუდი, ნაბდები, ნაბდის ქუდები, თივთიკი, ხალიჩა, ჯეჯიმი და სხვა/.

XIX ს. II ნახევრიდან საქართველოში, რეფორმის შემდეგ /XIX ს. 70—80—იანი წლები/, არსებობას განაგრძობს მრეწველობის მარტივი ფორმები: ოჯახური მრეწველობა

და ხელოსნობა; ვითარდება მანუფაქტურული წარმოება. 80–იანი წლებიდან ფაბრიკულმა ნაწარმმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა, მაგრამ წვრილი საქონლური წარმოება მაინც ინარჩუნებს თავს.

ქართულ ენაში ოჯახური მრეწველობის ტერმინად დამკვიდრდა „შინამრეწველობა“.[27] ოჯახური წარმოების შინამრეწველობად გადაქცევის საფუძველი ხდება გლეხის ოჯახში ერთი პროდუქტის დაწინაურება, რომელიც შიდა საჭიროების გარდა საბაზრო დანიშნულებასაც იძენს. ასეთ ვითარებაში გლეხი შინამრეწველი ხდება.[28]

XIX ს. საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის ეკონომიკაში შინამრეწველობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. გლეხის ოჯახი ძირითადად მოხმარებით პროდუქციას ამზადებდა და მცირე რაოდენობით გადასაცვლელად. მაგრამ საოჯახო მრეწველობა მეტ გავრცელებას პოულობდა საქართველოს მთიანეთში, სადაც ნაკლები იყო მიწის სამუშაოები და სოფლის მოსახლეობას მეტი თავისუფალი დრო რჩებოდა.[29]

პროფ. გ. ჩაჩაშვილმა სისტემური კვლევით, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით დაადასტურა, რომ ეკონომიკურ ფაქტორთან ერთად ყოფითი თავისებურებები და ეთნოკულტურული ტრადიციები ხელს უწყობდა ოჯახური საფეიქრო წარმოების ზოგიერთი ძველი დარგის შემონახვას საქართველოს ცოცხალ სინამდვილეში.

კვლევის მიზანია საოჯახო ტექსტილური წარმოების ცალკეული დარგების ეთნოგრაფიული შესწავლა საქართველოში, მასთან დაკავშირებული ხალხური ტექნოლოგიისა და ტექნიკის, მრავალსაუკუნოვანი ხალხური ცოდნის, ტრადიციების, შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების გამოვლენა, წარმოების ამ დარგის სოციალ–ეკონომიკური ბუნებისა და სამეურნეო მნიშვნელობის გარკვევა ქართველი ხალხის, განსაკუთრებით ქართველი მთიელების, ძველ სამეურნეო ყოფაში, ხალხურ ფეიქრობასთან

დაკავშირებული ეთნო-კულტურული ტრადიციების გათვალისწინება კულტურული მიმღეობის თვალსაზრისით, გამოვლენილ იქნას მისი ადგილი კულტურის ისტორიაში.

ნაშრომი აქტუალობას ინარჩუნებს თანამედროვე თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში, როდესაც დღის წესრიგში დგას ზოგიერთი მივიწყებული და ამჟამად გამოცოცხლების პროცესში მყოფი იმ მხატვრულ–დეკორატიული ქსოვილების წარმოება, რომელსაც ოდესღაც შორს ჰქონდა განთქმული სახელი / სახიანი ქეჩები, ხალიჩები, ჯეჯიმები, დაჩითული ქსოვილები, ქართული ნაქარგობა და სხვა/.

ქართული ხალხური ფეიქრობის მეცნიერულმა შესწავლამ წამოჭრა საკითხი ძველი ქართული ხალხური სარეწების აღორძინების შესახებ. აღნიშნული საკითხი არა ერთხელ დასმულა სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლების მიერ /ეთნოგრაფების, არქიტექტორების, მხატვრების და ა.შ./ საქართველოს მთიანეთში, ამ საკითხის ეკონომიკური ასპექტის შესახებ, ყურადღებას ამახვილებდა ნ. კეცხოველი: „ეს დარგი შეიძლება იქცეს მთიანეთის ადგილობრივი მოსახლეობის დამატებითი შემოსავლის წყაროდ. მეურნეობის ხასიათის გამო ზამთრის პერიოდში თავისუფალი მუშახელის საკმაო რაოდენობით არსებობის პირობებში. ამიტომ მიზანშეწონილია, ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის, ხევის, მთიულეთის, სვანეთის, სამხრეთ–ოსეთის, ზემო რაჭის სოფლებში ჩამოვაყალიბოთ შინამრეწველური ნივთების დამამზადებელი ბრიგადები ან ჯგუფები, რომელთა მესაქმეობა იქნება სხვადასხვა უნიკალური სასუვენირო ნივთების დამზადება," [30] - აღნიშნავდა იგი.

პროფ. გ.ჩაჩაშვილის კვლევის შედეგები ამ თვალსაზრისითაც განუზომლად დიდია. მისი მეოხებით, ძველი ნიმუშების აღდგენა შეიძლება მოხდეს არა მარტო ფორმისა და ორნამენტის მიხედვით, არამედ ხარისხითაც, ქართველი ხალხის ტრადიციული წესების დაცვით.

## ა/ ხალხური ფეიქრობის ტექნოლოგია

ძველებური საფეიქრო მრეწველობის გადმონაშთური ფორმები საქართველოს ბარში, კაპიტალისტურ ხანაში წვრილ გლეხურ მეურნეობად გადაიზარდა ან გაქრა, მაგრამ საქართველოს მთიანეთში /აღმოსავლეთ საქართველოს მთაში: ფშავ–ხევსურეთი, თუშეთი, ხევი, მთიულეთ–გუდამაყარი, დასავლეთ საქართველო: გურია–აჭარა, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა–ლეჩხუმის მთიანი რეგიონები, სადაც უმეტესად მატყლის დამუშავება იყო გავრცელებული, გვიანობამდე შემოინახა, რასაც ასაზრდოებდა ეკონომიკურად მიწათმოქმედება-მესაქონლეობის პროდუქტების გადამუშავების პრაქტიკა. ამიტომ აქ მეტნაკლებად დაცული იყო ოჯახური ფეიქრული წარმოების თვითმყოფი ფორმები.

ქართველ მთიელთა საფეიქრო წარმოება XIX ს. ძირითადად თუშური და იმერული ცხვრის მატყლის დამუშავებაზე იყო დამყარებული. თუშური ცხვარი გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარეობის რაიონებში, იმერული – ყველგან დასავლეთ საქართველოში. ამ ორი ჯიშის ცხვრის მატყლის გამოყენება გარკვეულ გავლენას ახდენდა ნაწარმის სპეციალიზაციაზე, განსაკუთრებით საჩოხე შალის წარმოებაში.

საფეიქრო წარმოების შემონახვას საქართველოს მთიანეთში ხელი შეუწყო ქართული ხალხური კოსტუმის ლოკალური სახეების არსებობამ, ვინაიდან მთელი მოსახლეობა შინ ნამზადი ქსოვილებით იმოსებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, უპირველესად, ხევსურეთი, სადაც ბოლო დრომდე დაცული იყო ძველებური ხევსურული ტალავარი. ერთადერთი ქსოვილი, რომელსაც ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ხევსურეთში ამზადებდნენ ტოლი/ შალი/ იყო, რომელიც მხოლოდ ხევსურულ ტალავარს

ხმარდებოდა.

მატყლის რთვა და ტოლის ქსოვა ხევსურული ქალის ძირითადი ხელობა იყო. ხევსურეთში მატყლი სატალავრედაც არ ჰყოფნიდათ, ამიტომ იგი თუშეთიდან, ფშავიდან, ხევიდან, მთიულეთიდან შემოჰქონდათ.

ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული მატყლის დამუშავებასთან დაკავშირებული წეს–ჩვეულებები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მაგალითზე და გამოვლენილია სახასიათო თავისებურებანი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის ხევის, მთიულეთ–გუდამაყრის მოსახლეობაში მატყლის დამუშავების ტექნოლოგია განხილულია შემდეგი გეგმით: ცხვრის პარსვა, მატყლის რეცხვა, მატყლის ჩეჩვა, რთვა და ძახვა, საქსოვი ყდანი, ქსლის დაქსვა, ღებვის ხერხები.

ცხვარი ორჯერ იპარსებოდა, დუქარდით - გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გაზაფხულის ნაპარსი რბილი იყო /რისვი/, ბატკნის-კრაველი, შემოდგომის – მატყლს წარმოადგენდა. გარეცხილი მატყლიდან გადაარჩევდნენ გრძელბეწვიანს საწინდედ ან სალოგინედ, რბილი მატყლიდან – მამაკაცის საჩოხეს, ქალის საქოქლოე და საფაფანაგეს. მშრალიდან– სადიაცოს, საშარვლესა და საპერანგეს. საფეიქრო მიზნისათვის მატყლი გამოირჩეოდა ფერის, ბეწვის, სილბოს და სართავი თვისებების მიხედვით.

დარჩეული მატყლის საჩეჩად ხევსურეთში კბილებიანი საჩეჩელი–საორცხალი გამოიყენებოდა. ხევში საჩეჩლის ორი სახეობა მოწმდება: ცალპირი და ორპირი, ცალპირს ხის დედანზე–ყუბარზე დამჯდარი ოვალური მხრები ჰქონდა, თავზე ერთ მწკრივად რკინის ოცი კბილი იყო ჩასმული. ორპირი საჩეჩლის მხრები სწორეა და ყუბარზე დაქანებულადაა ჩამჯდარი. აქვს ორი მწკრივი რკინის კბილები, თვითეულ მწკრივში 18–20 მსხვილი კბილია, იხმარება უხეში მატყლის საჩეჩად. მთიულეთში ორპირი

საჩეჩელია ხმარებაში. ცალპირს მათი მეზობელი ხალხები – ოსები და, ნაწილობრივ, მოხევეებიც იყენებენ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით მატყლი ორჯერ იჩეჩებოდა: პირველად ქაბილებად, მეორედ – ნამტენებად. /თუშური მასალით ხელეულებად/. გუდამაყარში პირველ ანაჩეჩს მწვერვალი ეწოდება, მეორეს ფარტენები; ხევში – პირველ ანაჩეჩს – ნაცვერალი/ მას ხელეულებად აწყობენ/, მეორეს –ტიფილები /სართავად გამზადებულ ერთ მუზა მატყლს აღნიშნავს/ ეწოდებოდა.

მატყლის ჩეჩვა დაკავშირებული იყო ინდივიდუალურ და კოლექტიურ საქმიანობასთან. ვისაც ბევრი მატყლი ჰქონდა ზამთრის საღამოებში – „საქმის საღამო" – შეჰყრიდა მჩეჩავთ. ქალები თავთავიანთი საჩეჩლებით მოდიოდნენ. ამ შრომას შრომამიგებითი ხასიათი ჰქონდა.

ამის შესაბამისად მატყლის ტექსტილურ დამუშავებასთან დაკავშირებით შრომის ძირითადი პროცესები /მატყლის დახარისხება, რეცხვა, წეწვა, ძაფის რთვა, ძახვა, ღებვა, ქსელვა, ქსოვა და ა.შ./ ცხვრის ჯიშის, სქესის, ასაკის, გაპარსვის სეზონის, მატყლის ფერის, სილბოს, კლაკნილობის, ბოჭკოს, პარსვის სეზონის, მატყლის ფერის, და სხვა ნიშნების მიხედვით, ქსოვილთა არტიკულის შესაბამისად დიფერენციაციით ხასიათდებოდა.

საქართველოს მთიანეთში გავრცელებას პოულობდა ძველი საფეიქრო ტექნიკა – შრომის პროცესების შესაბამისად დიფერენცირებული შრომის იარაღები და ხელსაწყოები: ბოჭკოს მოსაპოვებელი და საწეწ–საძენძი, საპენტ–საჩეჩები /დუქარდი, საპენტავი, შვილდი, ცალპირი, ორპირი საჩეჩელი/, სართავ–საძახები /თითისტარი, კვირისტავი, სახრელი, ტარი, ჯარა /საქსელავები/ სოლები, საქსვალა/ საქსოვები /ვერტიკალური დაზგები და მათი ატრიბუტები, ყდები, ლვილები, ბეჭი, საშევარი, ჭილობის საქსოვი ჩარჩო და რობაგი, ჰორიზონტალური საქსლე, საფეიქრო სკამი, საქსოვი ფირფიტები, ქსოვილთა პირის

გასაკეთებელი საბეგველები, სამღებრო ხელსაწყოები, საჩითავები, სატკეცავები და ა.შ./. ეს მრავალფეროვანი ტექნიკა გარკვეულ თავისებურებებს შეიცავდა ბოჭკოვან ნივთიერებათა ტექსტილური დამუშავების სპეციფიკის შესაბამისად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალსაუკუნოვან საწარმოო გამოცდილებას ემყარებოდა.

საოჯახო საფეიქრო წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძაფის დასამზადებელი ხელსაწყო — თითისტარი. /ხევსურეთში სასთავრი ეწოდება, თუშეთში — ხელტარი, ხევში — გრძელი ტარი, მთიულეთში — ქართული თითისტარი/ საქართველოს საოჯახო საფეიქრო წარმოებაში ძაფის სართავად სახსრელზე მბრუნავი ქართული თითისტარის ორი სახეობაა დამოწმებული: კვირისტავიანი და უკვირისტავო.

თითისტარის ბრუნვა სახრელზე ხელს უშლიდა რთვის დროს თითისტარის დამძიმებით გამოწვეულ ძაფის ხშირ წყვეტას და უზრუნველყოფდა მაღალი ნომრის თანაბარი ნართის მიღებას. უკვირისტავო თითისტარი გავრცელებული იყო უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თუშური მატყლის სართავად, რომელსაც იმერულ ცხვრის მატყლთან შედარებით, უფრო ნაკლები სილბო და კლაკნილობა ახასიათებდა და სახრელზე მბრუნავ თითისტარზე მეტად გავრცელებული იყო უმთავრესად დასავლეთ საქართველოში, იმერული ცხვრის მატყლის სართავად.

ორწვერი ანუ სამწვერი ნართის საძახავად ხალხურ ფეიქრობაში გავრცელებული იყო გრძელი ტარი და ხელის ან წყლით მომუშავე სხვადასხვა დიამეტრის ბორბლიანი ჯარა.

ქართული ხალხური სართავ–საძახავი იარაღების შესწავლა მოწმობს, რომ ოჯახურ საფეიქრო წარმოებას ამ სფეროში ორი შესანიშნავი ტექნიკური მონაპოვარი გააჩნია — სახრელზე მბრუნავი ქართული თითისტარი, რომელიც

ზედმიწევნით იყო შეწყობილი ქართული ცხვრის მატყლის სართავ თვისებებთან და მაღალი ნომრის თანაბარი ნართის დამზადებას უზრუნველყოფდა და მეორე, საძახავი ტარი და ბორბლიანი ჯარა.

სპეციალური კვლევით გამოვლენილია, რომ ხალხური ფეიქრობის ორივე ეს შესანიშნავი მონაპოვარი უშუალოდ ეხმაურება საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის საფეიქრო წარმოების კულტურას. ამავე დროს, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული სხვადასხვა ნომრის დამზადების ტექნიკის თავისებურებებით შეპირობებული კვირისტავების დიფერენცირებულ სახეებში უნდა იმალებოდეს გასაღები იმ საიდუმლოებისა, რაც განათხარი კვრისტავების მრავალფეროვნებაში გამოიხატება საქართველოში ენეოლითის ხანიდან მაინც.[31]

არქეოლოგიური მონაცემები, კერძოდ ბედენის გათხრებში აღმოჩენილი თითისტარი და კვირისტავები, რომელიც ქართული თითისტარის უშუალო პროტოტიპადაა მიჩნეული, იმის მაუწყებელია, რომ ქართველთა წინაპრებს, ჯერ კიდევ ადრეულ ლითონის ხანაში, გადაუდგამთ წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი რთვისა და ძახვის ტექნიკის დაწინაურებაში. წვ. წ. III–II ათასწლეულებში ადგილობრივი მრთველები და მძახავები დაუფლებული ყოფილან როგორც დაბალი, ისე მაღალი ნომრის ნართის დამზადების ხელოვნებას. განათხარი ქსოვილების ლაბორატორიული შესწავლით გარკვეულია, რომ თუ ძვ. წ. III ათასწლეულ ქსოვილიან კერამიკაზე დაბალი ნომრის მცენარეული ნართის ანაბეჭდია წარმოდგენილი, ძვ.წ. II ათასწლეულის სელის ქსოვილი უკვე ათჯერ უფრო მაღალი ნომრის ნართიდანაა დამზადებული, რაც რთვის ტექნიკის გაუმჯობესებასთან ერთად სხვადასხვა დანიშნულების და ხარისხის ქსოვილების დიფერენცირებულ წარმოებაზე მიუთითებს ჯერ კიდევ ამ უძველესი ხანიდან.

ხალხურ ფეიქრობაში სელისა და კანაფის ტექსტილური დამუშავების ფაქტები დამოწმებულია დასავლეთ

საქართველოში. ამასთან, საბოჭკოე სელის სუბტროპიკულ რაიონებში, ხოლო კანაფისა – მაღალმთიან სვანეთში.

ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შესწავლილია სელის ტექსტილური დამუშავების ხალხური წესები /სელის ღეროს ძირფესვიანი ამოთხრა, სელის „დაჩრდილვა“, – დანამვა, დალბობა, ჩეჩვა, რთვა, ძახვა, ნართის გათეთრება, ქსელვა, ტილოს აპრეტურა/ და მასთან დაკავშირებული შრომის დიფერენცირებული იარაღები გარკვეულ წარმოდგენას ქმნიან სელის საფეიქრო წარმოების კულტურაზე და იმ რთულ ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე, რომელსაც ანტიკური ხანის ძველი საისტორიო მწერლობა მსოფლიოში სელის წარმოების მაღალი კულტურით განთქმულ ეგვიპტურ წესებთან აახლოებდა.

## *ბ/ ხალხური საქსოვი იარაღების ტიპოლოგია*

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია საქსოვი დაზგების ორი ტიპი. სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული კლასიფიკაციით, ესაა ვერტიკალური და ჰორიზონტალური, ხოლო ხალხური კლასიფიკაციით – ბეჭ-საშევრიანი და დგიმ-სავარცხლიანი. საქსოვი დაზგების ეს ტიპები მეტწილად ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ და ერთმანეთისაგან როგორც კონსტრუქციით, ისე საქსოვი აპარატით და დანიშნულებით განსხვავდებოდნენ.

ხევსურეთში გავრცელებას პოულობდა ვერტიკალური ანუ ბეჭ-საშევრიანი საქსოვი ყდა /ყდანი/. მისი მთავარი ნაწილები იყო: ასაწყობი ჩარჩო, რამდენიმე წკეპლა, ქიჩები, ფხინი, ცხემლა, ბეჭი, საშევარი, სარჩევი გარა, წიწუ, სოლები.

ქართული საქსოვი დაზგების ეთნოგრაფიული

კლასიფიკაციის შესაბამისად ბეჭ-საშევრიანი საქსოვი დაზგის აპარატურას შეადგენს საშევარი, სარჩევი გარა, ცხემლა, ხის ბეჭი.

ხევში გავრცელებას პოულობდა დგიმ-სავარცხლიანი ანუ ჰორიზონტალური უდედნო საქსოვი დაზგა, რომელსაც საფეიქრო სკამი ეწოდებოდა. ფაქტიურად იგი სავარძლისებური ოთხფეხა სკამის ფორმის იყო და შედგებოდა მისადევრებისაგან /ტოლის დასახვევი მახლახი წინა და უკანა შე /დგიმი/, ქიტები, სავარცხელი, საფეხეები, წიწკიანი ჭალაჭა /მასრიანი მაქო/.

ფშავ–ხევსურეთში, თუშეთში და ხევში ქსოვას - ტოლის ბეჭვას უწოდებენ, ქსოვილს - ტოლს.

კვლევით დგინდება, რომ ბეჭ–საშევრიანი საქსოვი დაზგები საქართველოში გავრცელებული იყო ფარდაგ–ხალიჩების დასამზადებლად, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მთის მაუდის საქსოვად.

დგიმ–სავარცხლიანი საქსოვი დაზგები გამოყენებული იყო მატყლის, ბამბის, სელის, კანაფის და სხვა ქსოვილთა დასამზადებლად. მთელ საქართველოში, გარდა თუშეთისა და ფშავ–ხევსურეთისა. პირველისთვის დამახასიათებელია ვერტიკალურად დაგებული ქსელი და სპეციფიკური საქსოვი აპარატურა /საშევარი, ცხემლა, ბეჭი/, მეორისათვის კი – ჰორიზონტალურად დაგებული ქსელი და შესაბამისი საქსოვი აპარატურა /დგიმ–სავარცხელი, მაქო და პედალი/.

მართალია, ხალხური საქსოვი დაზგების კლასიფიკაცია ამა თუ იმ ტიპის დადგენის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას ქსელის დაგების წესს ანიჭებს, მაგრამ ამასთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეორე კრიტერიუმიც – მისი საქსოვი აპარატურა.

ქართული ვერტიკალური საქსოვი დაზგების ტიპოლოგიური ერთიანობის მიუხედავად, მის ვარიანტებში მაინც გამოიყოფა ცალკეული სახესხვაობანი. თუმცა ქართულ დგიმ-სავარცხლიან საქსოვ დაზგებში ქსლის დაგების წესისა

და საქსოვი აპარატის მიხედვით ტიპოლოგიური სხვაობა არ შეინიშნება. დედნის მიხედვით ისინი შეიძლება უდედნო და დედნიან ქვეჯგუფებად დაიყოს. ამასთან უდედნო საქსოვი დაზგა /საფეიქრო სკამი/, მხოლოდ ხევში და მთიულეთ–გუდამაყარშია დამოწმებული, ხოლო სხვადასხვა კონსტრუქციის მქონე დედნიანი საქსოვი დაზგების ხიდიანი და უხიდო სახეები მთელ საქართველოში სხვადასხვა კუთხისათვის ჩანს დამახასიათებელი.

საქსოვი დაზგების უდედნო ქვესახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ ჩახსაკრავების საქსოვი ფირფიტებიც. საქსოვი დაზგების ორივე ამ ძირითადი ტიპის /ბეჭ–საშევრიანი, დგიმ–სავარცხლიანი/ თანაარსებობის ფაქტები ფეოდალური და ანტიკური ხანის საქართველოშიცაა ცნობილი.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ფშავ–ხევსურეთსა და თუშეთში არა მარტო ვერტიკალური საქსოვი დაზგები იყო გავრცელებული, არამედ სხვა მთიულების მსგავსად / მოხევეები, მთიულ–გუდამაყრელები /ოჯახურ ფეიქრულ წარმოებაში ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგებსაც იყენებდნენ.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით საქართველოში საქსოვი დაზგის უძველეს ტიპად ბეჭ–საშევრიანი დაზგაა საგულებელი. ბეჭ–საშევრიანი საქსოვი დაზგის პროტოტიპი ქართულ განათხარ მასალაში ქართლ–კახეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულში ჩნდება. ამის დამადასტურებლად მიჩნეულია ქვაცხელების და ილტოს ძვლის საბეჭავები, რომლებიც სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლეთ ქართველ მთიელებში დღემდე შემონახულ ბეჭ–საშევრიანი საქსოვი დაზგის საბეჭავებთან. საქსოვი დაზგის ამ უძველესი ტიპიდან დგიმ–სავარცხლიანებზე გადასვლა მთელი რიგი ნიშნების მიხედვით საქართველოში ძვ.წ. I ათასწლეულში უნდა განხორციელებულიყო ხელოსნობის გამოყოფის პროცესში.

კვლევის შედეგებით, საქსოვი დაზგების მრავალ-ათასწლოვანი ევოლუციის ყველა ძირითადი რგოლი

საქართველოში შრომის ამ იარაღის არქაული განათხარი ფორმებიდან მოყოლებული, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ რთულ ფორმამდე ადგილობრივ ნაიადაგზე ჩანს წარმოშობილი და საყურადღებო ანალოგიებს შეიცავს კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის სინქრონულ მონაცემებთან მიმართებაში. შრომის ეს იარაღი, ოჯახური წარმოების ტრადიციაში აღმოსავლეთ საქართველოს ზემოაღნიშნული ეთნოგრაფიული რაიონების გარდა გავრცელებული იყო ქართლისა და კახეთის მთისა და ბარის სოფლებში, თიანეთში, ქიზიყში, ქსნის ხეობაში, ლიახვის ხეობაში და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ქართული შალების" დასამზადებლად საქსოვი ყდები ქართლის ბარშიაც ყოფილა გამოყენებული.

ფეიქრობასთან დაკავშირებული რიგი საკითხების კვლევისას, მკვლევარმა საკვლევ არეალში შეიყვანა კავკასიური მასალაც და ნათლად აჩვენა, რომ კავკასიის ხალხებში კულტურის ელემენტების თუ ეთნოგრაფიული კომპლექსების სახით, არა ერთი საზიარო ფორმა არსებობს, კერძოდ, მატყლისა და აბრეშუმის, ბამბის, სელის, კანაფის ტექსტილური დამუშავების ტექნოლოგიის მიხედვით.

სპეციალური კვლევით, მკვლევარი ადგენს, რომ ორივე ტიპის საქსოვი დაზგის არსებობა საქართველოში ფეოდალურ, ანტიკურ და უფრო ძველ ეპოქაშიც მოწმდება. იკვლევს, რა საქსოვ დაზგებს, კავკასიური მასალის ანალიზის საფუძველზე, ავტორი ავლენს საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული საქსოვი დაზგის ვარიანტებს მეზობელი კავკასიის სხვა ხალხებშიც. ამავე დროს, მისი მოსაზრებით, კულტურის ამ ელემენტის ანალოგიური ფორმები ყველაზე მეტ სიახლოვეს ერთმანეთთან გეოგრაფიულ და ეთნიკურად მომიჯნავე რაიონებში ამჟღავნებს /მაგ. ქართულ ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგებს და აფხაზურ–ადიღეურ, ოსურ, ყარაჩაულ და დაღესტნურ დაზგებს შორის/. ვერტიკალური საქსოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვერტიკალური საქსოვი დაზგები



## ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები



## ხალხური საქსოვი დაზგები

დაზგები კი, კავკასიაში უმთავრესად გავრცელებული იყო იმ რაიონებში, სადაც „ყდის შალის" გარდა ფარდაგ–ხალიჩურ ქსოვილებს ქსოვდნენ /აზერბაიჯანი, სამხრეთ დაღესტანი/.

ამრიგად, ქართული დაზგების განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენამ საქართველოში დაადასტურა ქართული საქსოვი დაზგების ევოლუციის ყველა მნიშვნელოვანი რგოლის არსებობა უმარტივესი სახიდან მოყოლებული რთულ ფორმამდე, რაც მიუთითებს მის ადგილობრივ წარმომავლობასა და უშუალო სიახლოვეს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ანალოგიურ მონაცემებთან.

ხალხური ფეიქრობის ეთნოკულტურულ შედარებითმა შესწავლამ გამოავლინა ფეიქრობის დარგის სხვადასხვა ელემენტები, საწარმოო პრაქტიკის ეთნიკური სპეციფიკა და ის საერთო, რაც კავკასიის სხვადასხვა ოლქის ამ დარგის საწარმოო კულტურას ერთმანეთთან აახლოებდა ტექსტილური წარმოების სფეროში. ეს მოვლენა ახსნილია არა მარტო გეოგრაფიული სიახლოვის ფაქტორით, არამედ კავკასიის ხალხთა კულტურულ–ისტორიული სიახლოვითაც.

## გ/ ხალხური ფეიქრობის ეთნოკულტურული ასპექტები

ფეიქრობასთან დაკავშირებული საკითხების რეგიონალურმა კვლევამ გამოავლინა მისი მრავალსახეობა; აღმოსავლურ და დასავლურ ქართული ცხვრის მატყლის სართავი თვისებების შესაბამისად შალის წარმოების ტექნიკა და სპეციალიზაცია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

XIX ს. მიწურულში საქართველოში და საერთოდ, კავკასიაში ფართო პოპულარობით სარგებლობდა

იმერული საჩოხე შალი. ამ სახელწოდებით იხსენიებდნენ იმერული, აჭარული, მეგრული, ლეჩხუმური, სვანური ხალხური ფეიქრობის ნაწარმს. დიდი მოთხოვნილება იყო მთის მაუდზეც. რაჭა—ლეჩხუმში ოჯახური ფეიქრული წარმოება ძირითადად მატყლის გადამუშავებაზე იყო დამყარებული და მისი ნაწარმიც ადრევე ჩანს ჩაბმული საბაზრო ურთიერთობებში. ამ მხრივ, დადასტურებულია ფართოდ ცნობილი საჩოხე შალი ონურის სახელწოდებით, აქვე ქსოვდნენ ფერად ხურჯინებსა და ფარდაგებს.

სვანეთში ხალხური ფეიქრობა უმთავრესად მატყლისა და კანაფის დამუშავებაზე ყოფილა დამყარებული. კანაფის ბოჭკო აქ საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა და ძირითადად აკმაყოფილებდა ოჯახური წარმოების მოთხოვნილებებს, ხოლო მეცხვარეობის შეზღუდული ხასიათის გამო მატყლი მეზობელი ტერიტორიებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჰქონდათ.

ეთნოგრაფიული კვლევით, გამოვლენილია საქართველოს მოსახლეობის ყოფაში სახიანი ქსოვილების მრავალფეროვნება /ფარდაგები, ხალიჩები, ჯეჯიმები, ფიჩვები, ხურჯინები, დაჩითული ქსოვილები, ნაქარგობა და ა.შ./, რომელნიც ქსოვის ტექნიკის თვალსაზრისით სამ ჯგუფად არის დაყოფილი: ჯეჯიმური, ფარდაგული, ხალიჩური; შესწავლილია მათი ქსოვის, ფერების შეხამების, ორნამენტის ტექნიკის მრავალფეროვნება.

მკვლევარი მკვეთრად ილაშქრებს ხალიჩების წარმოების საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების წინააღმდეგ, რომ თითქოს საქართველოში საერთოდ არ არსებობდა ხალიჩების წარმოება /ფირალოვი, ისაევი და სხვ./ იგი სპეციალური კვლევით, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით და ისტორიული წყაროების მოშველიებით ადგენს, რომ საქართველოში ხალიჩის წარმოების მაუწყებელია ხალხურ ყოფაში ბოლო დრომდე შემონახული მაღალი დონის უხაოო ხალიჩების წარმოება

/დუშეთის, სიღნაღის, თელავის, საგარეჯოს, თიანეთის, და სხვ./, სადაც თვითეულ უბანს მოეპოვება საკუთარი სტილი, ორნამენტული მოტივი სახასიათო კოლორიტითა და დეკორატიულობით.

გამოვლენილია აგრეთვე მღებრული სახიანი ქსოვილის ტიპები, რომელთა შორის აღსანიშნავია დაჩითული ქსოვილები და ლურჯი სუფრები. გამოკვლეულია ქსოვილის დაჩითვის /ფრელის მიცემის/ ტექნოლოგია, კენჭებით ანუ ქვებით ღებვის წესები, ორნამეტის სახეები და მხატვრული მოტივები, რომელიც ქართველი ხალხის ტრადიციებს ემყარება და მის უძველეს მსოფლმხედველობას უკავშირდება.

ნაშრომის კვლევაში შედის მატყლის, სელის, კანაფის ტექსტილური დამუშავების ხალხური ფორმები; განხილულია ჩრდ. კავკასიური, სომხური, აზერბაიჯანული ხალხური საფეიქრო წარმოება; ნაჩვენებია საფეიქრო ნაწარმის – საჩოხე შალის, ნაბდების, ქეჩების, ფარდაგებისა და ხალიჩების დამზადება; დახასიათებულია შრომის იარაღები, შრომითი პროცესები, საფეიქრო ნაწარმის ზოგადი და ლოკალური მხარეები, მათი საბაზრო დანიშნულების ხასიათი.

ოჯახური საფეიქრო წარმოების ჭარბი ნაწილი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი მთიელების ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში როგორც საქართველოს ბართან, ისე ჩრდილო კავკასიის ხალხებთან. საბაზრო მნიშვნელობა ჰქონდა მთის მაუდს, ნაბდის ქუდებს, ფარდაგებს, ხალიჩებს და სხვა ნაწარმს. ოჯახური ფეიქრული ნაწარმი საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში საალებმიცემო ურთიერთობის განმტკიცების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი იყო.

ნაშრომში მოცემულია სელისა და კანაფის დამუშავების ხალხური წესები და ფორმები; კანაფის დამუშავების ლოკალური თავისებურებები; გამოყენების ფორმები.

აღმოსავლეთ საქართველოს რიგი რაიონებისაგან განსხვავებით, სადაც კანაფი ძირითადად თოკის დასამზადებლად მოჰყავდათ, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სხვადასხვა დანიშნულების კანაფის ტილოს ქსოვდნენ. კანაფის საფეიქრო დამუშავება უშუალო მოხმარების მიზნით, ცნობილი ყოფილა რაჭა–ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, აფხაზეთში.

ხალხური დაკვირვების სისწორე, რომლის მიხედვით სელისა და კანაფის ტილოს ტანსაცმელს სხვა ქსოვილებთან შედარებით სითხის შეწოვის და აორთქლების ოპტიმალური უნარი ახასიათებს, რაც ხელს უწყობს სხეულის გრილად შენახვას და ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალურ მსვლელობას, როგორც ისტორიული მონაცემებიდან დგინდება ქსენოფონტეს დროინდელი ხალიბების და მოსინიკების მეომრებისთვისაც ყოფილა ცნობილი.[32]

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული საფეიქრო წარმოების კულტურის შესწავლამ ნათლად აჩვენა როგორც საქართველოს, ისე მთიანეთისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ქსოვის ხალხური ტრადიციული წესები, მასთან დაკავშირებული შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება.

სპეციალური კვლევით, საქართველოში გამოვლენილია ქსოვის მარტივი და რთული ტექნიკის დიფერენცირებული სახეები.[33] სხვადასხვანაირად მზადდებოდა /ქსოვის მარტივი და რთული ფორმებით/ არა მარტო ქსოვილები, არამედ სახიანი და უსახო ქსოვილებიც მათი მრავალფეროვანი ვარიანტებით. თუ სელის, კანაფის და ბამბის და სხვ. ქსოვილების დასამზადებლად უმთავრესად ქსოვის ყველაზე ძველ და გავრცელებულ ტექნიკას – მარტივ ტილოსებრ ხლართს იყენებდნენ, მატყლის ქსოვილების წარმოებაში გაცილებით უფრო რთულ ტექნიკურ ხერხებს მიმართავდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქსოვის ტექნიკის შესაბამისად სამნაირ ტოლს ანსხვავებდნენ – ცალშიანს,

ორშიანს, და ნაღმა–უკუღმას. ქსოვილის სახელწოდება გამომდინარეობდა შეს /დგიმის/ რაოდენობის მიხედვით. ცალშიანი ტოლის ქსელი ერთი საშევრით იჭვნებოდა, ორშიანი – ორი საშევრით, მესამე უშევარი რჩებოდა.

ქსელვა და ქსოვა გარკვეული სათვალავით /ქსელში ძაფების რაოდენობა/ და სხვადასხვა წესით ხდებოდა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაზგებზე. ვერტიკალურ საქსოვ დაზგებზე ქსელს ვერტიკალურად აგებდნენ უშუალოდ განივ ლვილებზე, საშევრით ამოშევრიდნენ, ცხემლით ქსოვდნენ და ბეჭით ბეჭავდნენ. ჰორიზონტალურ დაზგებზე ქსელს ჯერ ცალკე ქსელავდნენ საქსელავ სოლებზე, მერე ჯაჭვურად ამოიყვანდნენ და საქსოვ დედანზე გადაჰქონდათ. დგიმ–სავარცხელში გაატარებდნენ, მაქოთი ქსოვდნენ და სავარცხლით ბეჭავდნენ.

ხალხურ ფეიქრობაში გავრცელებული ქსოვის სხვადასხვა ტექნიკიდან ყველაზე რთულად სახიანი ქსოვილების / განსაკუთრებით მძიმე ქსოვილების – ფარდაგების, ხალიჩების, ჯეჯიმების და სხვა/ იყო მიჩნეული.

სახიანი ქსოვილების დასამზადებლად საქართველოს მთიანეთში ძირითადად სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექნიკაა დამოწმებული: ჯეჯიმურ–ფიჩვური, ფარდაგულ–დაფანჯრული და ხალიჩურ–კვანძური, რომელსაც ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით ჭრელად ქსოვა ეწოდება. ამ სამივე ჯგუფის მძიმე ქსოვილის დასამზადებლად სამწვერად ნაძახ ნართს იყენებენ.

სხვა სახიანი ქსოვილების ქსოვის ტექნიკიდან გამოირჩეოდა ფირფიტებით ქსოვის ტექნიკა, რომელსაც სამი ქალი ეწეოდა. იგი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში: ქართლში, კახეთში, საინგილოში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში, რაჭაში, ლეჩხუმში.

მკვლევარი კრიტიკულად იხილავს უცხოეთის და საბჭოურ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას ხალიჩურ–კვანძური ქსოვის ტექნიკის პირველადი კერის სომხეთში

წარმოშობის შესახებ /VII – IX სს/, საიდანაც ის თითქოს სხვა ქვეყნებში გავრცელდა.[34]

იგი არქეოლოგიურ განათხარ მასალებზე დაყრდნობით ავლენს ქსოვილის უძველესი ტექნიკის არსებობას საქართველოში ძვ.წ. 4–3 ათასწლეულის მიჯნიდან, ტექსტილური ანაბეჭდის სახით თიხაზე, შემდეგ ცალკე ფრაგმენტების სახით.[35]

ქართულ განათხარ მასალაზე დაკვირვება მოწმობს, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა უძველეს სამიწათმოქმედო ქვეყნებში, ფეიქრობის ჩასახვა და მისი თავდაპირველი ევოლუცია უშუალოდ უკავშირდება „ნეოლითურ რევოლუციას".[36] ისტორიული პროცესის იმ ზოგად კანონზომიერებას, რომელიც კულტურის ისტორიაში ძვ.წ. 10–5 ათასწლეულებშია.

ოჯახური საფეიქრო წარმოების მასაზრდოებელ ფაქტორებს შორის საქართველოში აღსანიშნავია ქართული ჩაცმულდობა, რომლის ძირითადი ფორმები ადგილობრივი ქსოვილიდან მზადდებოდა. საჩოხე შალების წარმოების სპეციალიზაცია ამითაც იყო შეპირობებული. ამდენად მისი წარმოება სამეურნეო მნიშვნელობას და მოხმარების ხასიათს დიდხანს აპირობებდა. ტრადიციული ქსოვის წესებით ოჯახში მზადდებოდა სხვადასხვა სახის, ფორმისა და დანიშნულების საგნები. /ძირითადად კოსტუმი/, რომელთა წარმოება ძირითადად საოჯახო დანიშნულებას ემსახურებოდა.

ქართული კოსტუმის ეთნოგრაფიული შესწავლიდან ჩანს, რომ ჩაცმულობის ძირითადი ტიპები და მათი ვარიანტები ისტორიულად სოციალ–ეკონომიკური და ეთნიკურ–გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ყალიბდებოდა. ეს ნაირსახეობანი ერთმანეთისაგან ეპოქის, სოციალური წრეების, ყოფისა და კულტურის თავისებურებების მიხედვით განსხვავდებოდა და დიდი დიფერენციაციით ხასიათდებოდა.

ქართული ჩაცმულობის ერთიანობა და მისი ლოკალური ვარიანტები მკვეთრად იჩენს თავს XIX

საუკუნის ეროვნულ კოსტუმში, რომლის სახესხვაობები, როგორც წესი, ადგილობრივი მთის მაუდისა და საჩოხე შალებიდან მზადდებოდა. საოჯახო საფეიქრო წარმოების მაღალგანვითარებულობის გამო საქართველოო საჩოხე შალების მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა /იმერული შალი, ონური შალი, მოხეური შალი და სხვ./.

ხალხურ ფეიქრობაში ქსოვილის ღირსება ნართის ავ–კარგიანობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც ნართის დამზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ეთნოგრაფიული ძიებანი საინტერესო და მრავალფეროვან სურათს გადაშლის ხალხურ ფეიქრობასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციის სფეროში, სადაც ნათლად ჩანს ქალის ადგილი და როლი საქმიანობის ამ სფეროში. ამიტომაც ტრადიციის ძალით საქართველოში და საერთოდ კავკასიაში გოგონებს პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ქსოვის რთულ საქმიანობას. მას ერთ–ერთი მნიშვნელოვანი როლი ეჭირა მთიანეთში ქალის აღზრდის საქმეში. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მთიანეთში ქალის აღზრდის საქმეში. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მთიანეთში ქალის აღზრდაში მთავარი მომენტი იყო ხელსაქმის, ჩეჩვის, რთვის, ქსოვის, ქარგვის, კერვის წესების შესწავლა. ხელსაქმის ცოდნა გასათხოვარი ქალის კარგი სახელის ერთ–ერთი მთავარი ატრიბუტი იყო, ხოლო საკუთარი ხელით ნაქსოვი სამზითვო ფარდაგ–ხალიჩა მისი კარგი ქალობის დამადასტურებელი. რთვას, ქსოვას, ქარგვასა და ქსოვილების დამზადებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამუშაოს ქალი ასრულებდა ოჯახის სხვა სამეურნეო საქმიანობისაგან თავისუფალ დროს – გვიანშემოდგომას, ზამთარსა და ადრიან გაზაფხულზე. რთვისა და ქსოვის სეზონური ხასიათი გლეხის ოჯახში იმითაც იყო შეპირობებული, რომ სართავის მომზადება და უშუალოდ რთვის პროცესი უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი იყო და გაცილებით დაბალი შრომის ნაყოფიერებით ხასიათდებოდა, ვიდრე ხელით ქსოვა

სოფლურ დაზგაზე.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია შრომა–მიგებითი კოლექტიური ფორმები სხვადასხვა კუთხეების მიხედვით: მ ჩ ე ჩ ე ლ ნ ი, ს ა ქ მ ი ს მ უ შ ა /ხევსურეთი/, დ ა ძ ა ხ ი ლ ი /ხევი/, ლ ი კ ვ შ ე / სვანეთი/, ხ ე რ ტ ლ ი ს ნ ა დ ი /აჭარა/ ნ ა დ ი ს შ ე წ ე ვ ნ ა /სამეგრელო/, ს ა რ თ ა ვ ი ნ ა დ ი /სვანეთი/, ს ა ქ მ ი ს ს ა ღ ა მ ო /მთიულეთ–გუდამაყარი, თუშეთი/.

ზემოთაღნიშნულ ყველა ამ ფორმას აქვს საერთო ნიშნებიც და ლოკალურიც. საქმის საღამოებს თან ახლდა საინტერესო ეთნოგრაფიული და ფოლკლოორული მხარე, სიტყვა–მიგების ფორმები, ვახშმით გამასპინძლება და ა.შ.

ქართველი ქალის მხატვრული გემოვნებისა და ხალხური ესთეტიკის ხასიათს ვხედავთ ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების, წინდების და სხვ. მხატვრულ კომპოზიციაში, ფერების შეხამებაში, ფერთა სპექტრის ინდივიდუალურ ხასიათში, რაც ღებვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის სპეციფიკაზე იყო დამყარებული. სპეციალური კვლევით გამოვლენილია ხალხური ქსოვილების მხატვრული ნაირფეროვნება, ორნამენტის მრავალფეროვნება, მცენარეული საღებავების დამზადებისა და გამოყენების ხალხური რეცეპტურა, უხუნებელი საღებავების მიღების ხალხური პრაქტიკა.

აღნიშნული ნაშრომის საკვლევაძიებო ფონს წარმოადგენს ფართო კულტურულ–სამეურნეო ურთიერთობა. ეთნოკულტურულმა კვლევამ გამოავლინა საქართველოს მთისა და ბარის უწყვეტი სამეურნეო კავშირი და საქართველოს მთის მოსახლეობის კულტურული წვლილი ქართული ფეიქრობის განვითარების საქმეში. ამით პროფ. გ.ჩაჩაშვილმა კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გაილაშქრა საქართველოს მთის ისტორიული კარჩაკეტილობისა და კულტურული და სოციალური ჩამორჩენილობის ფართოდ გავრცელებული მოსაზრების

წინააღმდეგ და საფუძვლიანი გამოკვლევით დაამტკიცა მისი უსაფუძვლობა.

### დ/ ფეიქრობასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა-წარმოდგენები

ცნობილია, რომ ქართველი ხალხის უძველეს რწმენა–წარმოდგენებში ფეიქრობასა და მასთან დაკავშირებულ შრომის პროცესებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ შეხედულებებში პროფ. გ.ჩაჩაშვილს პირველ რიგში აინტერესებდა ის სოციალურ–ეკონომიკური მოტივები, რომელთა საფუძველზეც აღმოცენდა ეს რწმენა–წარმოდგენები. მისი მითითებით „ამ რწმენა–წარმოდგენების მატარებლები საქართველოში ძველად უმთავრესად თვითონ მრთველი და მქსოველი ქალები იყვნენ. ოჯახური საფეიქრო წარმოება ისტორიულად ქალის შრომაზე იყო დამყარებული და ეს სპეციფიკა ნიშანდობლივად იყო ასახული რიგ რელიგიურ შეხედულებებში, სადაც არა მარტო რთვა და ქსოვაა ქალის საქმედ მიჩნეული, არამედ ქალის სხვადასხვა ხელსაქმის /მათ შორის ფეიქრობის/ უძველესი მფარველებიც ქალღვთაებათა სახით არიან წარმოდგენილნი“.[37]

კომპლექსური ეთნოგრაფიული კვლევა მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს ფეიქრობასთან დაკავშირებული ხალხური რწმენა–წარმოდგენების სფეროში, რომელსაც დუალისტური ფორმით გასდევს ერთი მხრივ მფარველი/ ლამარია, მარიამი/ მეორე მხრივ, ხელისშემშლელი ბოროტი სულები /როკაპები, მისნები, ჯადოქრები და ა.შ./.

ფეიქრობასთან დაკავშირებული რწმენა–წარმოდგენების დუალისტური ხასიათი უპირველესად უნდა ასახავდეს საფეიქრო შრომის თავისუფალ და იძულებით ხასიათს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ავტორის აზრით, როცა

ფეიქრის შრომა თავისუფალი იყო, ამ დროს ეს დარგი ჯერ კიდევ მიწათმოქმედებასთან იყო შერწყმული. სწორედ ამ საფეხურს შეესაბამება რელიგიური წარმოდგენა ნაყოფიერების ქალღვთაებისა და ფეიქრობის მფარველი ქალღვთაების შესახებ. ქართულ ღვთაებათა პანთეონში ფეიქრობის მფარველი ღვთაება ცალკე პერსონაჟის სახით არაა ფიქსირებული. როგორც ჩანს, იგი ნაყოფიერების ქალღვთაებასთან შერწყმული უნდა არსებულიყო. მისი მითითებით, ამის ნაკვალევი ჩანს ხარება დღეს რთვისა და ქსოვის აღკვეთაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მორწმუნეთა წარმოდგენით მარიამს რაღაც კავშირი ჰქონია ფეიქრობასთან. აღნიშნულის დადასტურების საილუსტრაციოდ ავტორს მოაქვს გურული, მოხეური, რაჭული შელოცვის ტექსტები, საიდანაც ასკვნის, რომ მორწმუნეთა წარმოდგენით გურიაში ღვთისშობელი მარიამი ითვლებოდა არა მარტო აბრეშუმის მფარველ ღვთაებად, არამედ საუკეთესო მქსოველადაც, რომელიც სამოთხის კარზე მჯდარა და „ქსოვდა ქსელსა" ძოწეულისასა, რასაც დემონური ძალები ემტერებოდნენ. სწორედ დემონური ძალების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული მთიელებში დამოწმებული ჯვრის გამოსახელებანი სართავ–საქსოვ იარაღებზე. ხევსურეთის მაგალითზე დადგენილია, რომ ამ რეგიონის მოსახლეობას ჯვარი გამოჰყავდა იქ და იმ ადგილზე, სადაც ბოროტი ძალის სამყოფელი ეგულებოდა.

როგორც მასალებიდან /შელოცვის ტექსტები/ ირკვევა ქალის საქმიანობას, კერძოდ, ფეიქრობას ძველ საქართველოში თავისი მფარველი ღვთაება უნდა ჰყოლოდა. „სწორედ ასეთ ღვთაებათაა საგულვებელი ღვთისმშობელი მარიამი, რომელიც საოჯახო ფეიქრობის მფარველ, რომელიღაც უფრო ძველ, რელიგიურ პერსონაჟს უნდა ასახიერებდეს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანულ ლიტერატურაში მარიამ ღვთისშობლის პერსონაჟი მე–IV საუკუნიდან არის ცნობილი.

თავის მხრივ, წმინდა მარიამის კულტი ძველი ეგვიპტური ნაყოფიერების ქალღვთაების ისიდას კულტის გავლენითაა შექმნილი. საქართველოში ფეიქრობის მფარველ უძველეს ქალღვთაებას უნდა წარმოადგენდეს ქრისტიანული მარიამის სვანური როეული, ნაყოფიერების უძველესი ქალღვთაება ლამარია, რომელიც ხალხური გადმოცემებით არა მარტო ფეიქრობის მფარველი, არამედ ოქროქსოვილის სანიმუშო მქსოველიც ყოფილა.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ფეიქრობის მფარველი ქალღვთაებები უბრალო მოკვდავთა სამოსელს კი არ ქსოვდნენ, არამედ ღვთისმშობლებისა და ღმერთებისადმი განკუთვნილს. მოხევურ ვარიანტში ღვთისმშობელი მარიამი ტოლს კი არ ქსოვს, არამედ „ოქროს ქსელს", სვანურ ვარიანტში ლამარია „ოქროქსოვილს", იმერულ ვარიანტში – ქრისტეს კვართს. სვანურ–მოხევური მონაცემების ახსნას, თუ ვისთვის ქსოვდნენ ქალღმერთები ოქროსქსოვილს, მკვლევარი ხევსურულ მასალაში პოულობს. მორწმუნე ხევსურის წარმოდგენით ოქროქსოვილი ხატის ღვთისშვილთა სამოსელი ყოფილა.[38] ეს შეხედულება სავსებით პასუხობს ადრეკლასობრივი საზოგადოების ღვთაებათა პანთეონში ღვთისშვილების პრივილეგირებულ მდგომარეობაზე, რასაც მათ ჩაცმულობაშიც, კერძოდ ოქროქსოვილის სამოსელშიც უნდა ეპოვა კონკრეტული გამოხატულება. მეორე მხრივ, ამ გადმოცემებში ირაციონალურად ასახულია ოქროქსოვილების დამზადების ტრადიცია ადრეკლასობრივ საქართველოში.

ოქროქსოვილი არქეოლოგიური მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე I – II საუკუნეებიდან არის ცნობილი /არმაზისხევი/. ასევე XIII ს. ცნობილი მოგზაური მარკო პოლო აღნიშნავდა აბრეშუმისა და ოქროქსოვილების ნახელავის არსებობის შესახებ. ავტორისეული კვლევით, სვანეთში X საუკუნით დათარიღებული ოქროქსოვილის

ნაშთები სპეციალურ /მასალის, საღებავებისა და ჭრელის მიხედვით/ ბიზანტიურ ქსოვილებს უახლოვდება.[39]

ფეიქრობასთან დაკავშირებული მეორე რიგის რწმენა–წარმოდგენები ასახავენ ამ საქმიანობაში ჩაბმული ადამიანების მძიმე შრომას, მათ დაბალ სოციალურ მდგომარეობას და შესაბამისად რელიგიურ მსოფლმხედველობაში ახალი მოტივის გაჩენას – ამ ხელობის ბოროტ ძალებთან დაკავშირებას. ავტორისეული კვლევით თვითონ ქალღმერთი მარიამიც გაორებულია – ერთდროულად იგი ხელობის მფარველიცაა და მრისხანე მსაჯულიც, რაც კარგად ჩანს ხარება დღეს, როცა ქსოვის აღკვეთის დარღვევისათვის იგი უმოწყალოდ სჯის დამნაშავე ქალს და ძუძუმწოვარა ბავშვიანად აქვავებს მას. ხარებასთან დაკავშირებული ანალოგიური წარმოდგენები საქართველოს რიგ რაიონებშია დადასტურებული: სვანეთში, იმერეთში და ა.შ.

ამრიგად, ავტორი ასკვნის, რომ ფეიქრობასთან დაკავშირებული დუალისტური წარმოდგენები წარმოების ამ დარგის ევოლუციის ორ საფეხურს შეესაბამება: პირველი, როცა ის თავისუფალ შრომაზე იყო დამყარებული, მას შეესაბამებოდა რწმენა–წარმოდგენები ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის, მათ შორის რთვისა და ქსოვის მფარველ ღვთაებათა შესახებ, ხოლო მეორე – როცა ხელოსნობა მიწათმოქმედებას გამოეყო და საფუძვლად არათავისუფალი შრომა დაედო, ხალხურმა წარმოდგენამ იგი ბოროტ ძალებს დაუკავშირა, პირველ რიგში ჯადოქრებს, ალქაჯებს, როკაპებს, რომლებიც მტრობდნენ მრთველებს, მქსოველებს, და ხელს უშლიდნენ მათ რთვასა და ქსოვაში.

ფეიქრობის მფარველი ღვთაება კავკასიის სხვა ხალხებშიც იყო ცნობილი. ეყრდნობა რა წერილობით მონაცემებს, ავტორი აფხაზების /აბჟუის აფხაზები/ შესახებ აღნიშნავს, „რომ ფეიქრობის მფარველი ღვთაების პერსონაჟი აფხაზურ რწმენა–წარმოდგენებშიცაა შემორჩენილი". ამ

მხრივ უნიკალური ფაქტიური მასალა აქვს ფიქსირებული ნ.ჯანაშიას, რომლის მონაცემებით, აბჟუის აფხაზების ღვთაებათა პანთეონში საპატიო ადგილი უკავია ფეიქრობის ღვთაებას ე რ ი შ ს ანუ ე რ ი შ ქ ა ნ ა ს, რომელსაც ქსოვის წინ მსხვერპლს სწირავდნენ. გ.ჩაჩაშვილი იხილავს აღნიშნულ ტერმინებს: „ერიშ–ქანის" მეორე ნაწილი სვანურში კანაფს და აფხაზურში სელს აღნიშნავს, რაც სიტყვა–სიტყვით „კანაფის ქსელს", „სელის ქსელს" აღნიშნავს. თუ დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონისათვის სელის კულტურულ–ისტორიულ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, მაშინ სრულებითაც არ იქნება მოულოდნელი მისი მონაწილეობა მფარველი ღვთაების სახელწოდებაში.

საინტერესო პარალელებს ავლენს გ.ჩაჩაშვილი ქართულ–კავკასიურ და ძველი აღმოსავლეთის მასალებს შორის. ცნობილია, რომ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებში ფეიქრობა ღვთაებრივ ხელობად ითვლებოდა და მის გამომგონებლად ღმერთებს თვლიდნენ. ძველ საბერძნეთში ხელოსნობის მრავალრიცხოვან დარგებს შორის ფეიქრობას უმაღლეს ხელოვნებად მიიჩნევდნენ და მის გამოგონებას ქალღმერთ ათინას მიაწერდნენ. იგი საფეიქრო ხელოვნების უბადლო ჯადოქრად ითვლებოდა, რომლის მიერ დამზადებული ქსოვილებით უმთავრესად უზენაესი ღვთაებები იმოსებოდნენ.[40]

ძველი აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, სადაც დაწინაურებული იყო გუთნური მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ხელოსნური წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული, მათ შორის ფეიქრობაც. სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ხელოსნობის მფარველ სხვა ღვთაებებს შორის საპატიო ადგილი ეკავა ღვთაებას, რომელიც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო /მაგ: შუმერული ღვთაება „უტტუ" ძვ.წ. III ათასწლეული/.

ფეიქრობის ქალღვთაება ეგვიპტეშიც არსებობდა,

რომელსაც თავისი წინამორბედი მოეპოვებოდა ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის შემქმნელი ხალხების რწმენა–წარმოდგენებში.

არსებული წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების განხილვის შემდეგ გ.ჩაჩაშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფეიქრობასთან დაკავშირებული ასეთი დუალისტური შეხედულება წარმოების ამ დარგის განვითარების ორ ისტორიულ საფეხურს შეესაბამება. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე რთვა და ქსოვა ღვთაებრივ ხელობადაა წარმოდგენილი, ხოლო მის უბადლო ოსტატად თვით ფეიქრობის მფარველი ქალღვთაება, განვითარების მოგვიანო საფეხურზე, ხალხურმა წარმოდგენამ ეს პროფესია დაუკავშირა დემონურ ძალებს, პირველ რიგში ჯადოსნებს, ალქაჯებს, რომლებიც სასტიკად მტრობდნენ ადამიანებს და პირველ რიგში, ამ ხელობის მატარებლებს. მოგვიანო ხანის რწმენა–წარმოდგენები, რომლებიც ადრე ნაყოფიერების ქალღვთაებასთან იყო შერწყმული, ხელახალ ტრანსფორმაციას განიცდის და უკვე ღვთისმშობელ მარიამთანაა ასოცირებული. მაგ. დღეობა ხარებასთან დაკავშირებულ ხალხურ შეხედულებებში მარიამის პერსონაჟი სინკრეტული სახითაა წარმოდგენილი.

ამრიგად სპეციალური კვლევით, პროფ. გ.ჩაჩაშვილმა დაადგინა, რომ ფეიქრობა საქართველოში ერთ–ერთი უძველესი ტრადიციული დარგია, რომელიც კარგად ასახავს ხალხის საწარმოო–შემოქმედებითი უნარის ისტორიულ განვითარებას. ფეიქრობა საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოვლენაა და მას განვითარების ადგილობრივი სპეციფიკა ახლავს, რომლის საფუძველი საქართველოს ბუნებრივ–საწარმოო გარემოს თავისებურებებია.

ნაშრომში ნაჩვენები და ახსნილია ფეიქრობის როგორც ზოგადი, ისე კუთხური თავისებურებები; დადგენილია ფეიქრობის ხალხური კულტურის უწყვეტი და მიმდევრობითი

განვითარება.

ფეიქრობის განვითარების ერთ–ერთ საფუძვლად მიჩნეულია ფართო სამეურნეო–კულტურული კავშირურთიერთობები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ქართულ–კავკასიური კულტურულ–ისტორიული ურთიერთობანი და საქართველოს მთისა და ბარის უწყვეტი კულტურულ–სამეურნეო წვლილი ქართული ფეიქრობის განვითარებაში. ამ დასაბუთებით უკუგდებულია შეხედულება მთის ისტორიული კარჩაკეტილობისა და კულტურულ–სოციალური ჩამორჩენილობის შესახებ.

სპეციალურ ეთნოგრაფიულმა კვლევამ გამოავლინა ქართული ხალხური ფეიქრობის როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური ნიშნები, დაფუძნებულია უპირველესად გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებზე და ეკონომიურ–სოციალური განვითარების ინდივიდუალურ საწყისებზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კვლევაში, რამდენადაც ეთნოგენეზის პრობლემის მასაზრდოებელ და დასაყრდენ ფონდში, სამეურნეო–მატერიალური და სულიერი კულტურის ასეთი პირველი მოთხოვნილების ელემენტებს ერთ–ერთი მთავარი ადგილი უჭირავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხალხური ტანსაცმელი

ცნობილია, რომ ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლაში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ჩაცმულობას უკავია, რომელსაც თავისი განვითარების დიდი გზა აქვს განვლილი. ტანსაცმლისათვის საჭირო მასალა, აჭრილობა, სილუეტი, ფერთა შეხამება, ჩაცმისა და ტარების წესი შეპირობებული იყო კლიმატურ–გეოგრაფიული, სოციალ–ეკონომიკური, სქესობრივ–ასაკობრივი, სამეურნეო–საყოფაცხოვრებო და მრავალი სხვა ფაქტორით. მათგან ზოგიერთი /მაგ. სოციალ–ეკონომიკური/ პერიოდულად ვითარდებოდა და იცვლებოდა. ამის შესაბამისად ცვალებადობას განიცდიდა ტანსაცმელიც, რომელიც შესანიშნავადაა ასახული ეთნოგრაფიულ ყოფაში.[41]

აკად. გ.ჩიტაიას მითითებით, „იმ მასალებს შორის, რომელიც სამოსელის ისტორიის გასარკვევად გამოდგებიან, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალებს. ეს მასალა, ყველა სხვა წყაროებთან შედარებით, შეიცავს რეალურად მოცემულ ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, ჩაცმა–დახურვის ხერხებს, სამოსელის ტარების მანერას და ა.შ. რაც არცერთ სხვა წყაროს, კოსტუმის ისტორიისათვის გამოსაყენებელს, არ გააჩნია. ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ხალხური სახეები ატარებენ იმ ემპირიულ ცოდნას, რომელიც ხალხის მიერ არის დაუნჯებული და რომელიც იძლევა შესაძლებლობას, გაარკვიო მოვლენის განვლილი საფეხური.[42]

ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს სამოსლის დამზადებასა და გამოყენებას საქართველოში. ქართველი ხალხის წინაპრების ჩაცმულობაზე უნიკალურ მასალას შეიცავს არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს

მიწა–წყალზე მოპოვებული უხვი და მრავალფეროვანი აღმოჩენები, რომელთა შორის ქსოვილების უძველესი ნაშთებიც გვხვდება. /სელის ძვ.წ. XIII – XII/ თბილისის ტერიტორიაზე, კოლხეთში, შალისა და ბამბის – დმანისში ძვ.წ. IX ს. და სხვა/, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქსოვილებისა და სამოსლის დამზადება საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს.

ხალხის ყოფაში უძველესი დროიდან იყო შემონახული შალის, ბამბის, სელის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ქსოვილების დამზადების ტრადიცია შინამრეწველური წესით – საოჯახო მეურნეობის სახით.

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიის გამოვლენის მნიშვნელოვან კომპონენტს გ.ჩაჩაშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეჭირა. იზრდებოდა რა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკად. გ.ჩიტაიას ტრადიციებზე, მკვლევარს ყოველგვარი საკითხის, მათ შორის ქართული სამოსლის ისტორიის შესწავლისას სახელმძღვანელო დებულებად ჰქონდა თავისი მასწავლებლის ზემოთ მოტანილი მითითება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეთნოგრაფიული მასალის ამგვარი გააზრება და მიდგომა ნათელ ზოლად გასდევს გ.ჩაჩაშვილის ყველა სამეცნიერო სტატიას თუ მონოგრაფიას. ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში, მან თავისი სიტყვა ქართული ეროვნული ჩაცმულობის ისტორიის სფეროშიც თქვა. აღნიშნულ საკითხზე, გარდა სამუზეუმო კატალოგების შედგენისა, მან არა ერთი სამეცნიერო სტატიაც გამოაქვეყნა და არა მარტო ქართულ ენაზე. მისი ნაშრომები ძირითადად ემყარება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცულ კოლექციებსა და 1955 წ. მოწყობილი გამოფენის ნიმუშებს, რომლებიც მეტისმეტი სიზუსტით და მრავალფეროვნებით ხასიათდება.

იკვლევდა რა ქართული ეროვნული ტანსაცმლის განვითარების ისტორიას, იგი აღნიშნავდა: „ქართული

ტანსაცმლის ძირითადი სახეები, რომელთა გამომუშავება საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, ისტორიული განვითარების მიუხედავად, ნათლად ასახავს იმ სპეციფიკურსა და თვითმყოფად ნიშნებს, რაც ქართულ ჩაცმა—დახურვას შედარებით ახლო წარსულამდე ახასიათებდა".

გ.ჩაჩაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ტანსაცმლის მატერიალური კულტურის /ამ შემთხვევაში ეროვნული ტანსაცმლის/ სპეციფიკურობა-თავისებურებათა ამსახველი მასალების დაუნჯებას, რაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა ერის წარსული ისტორიის მთელი რიგი საკითხების რეტროსპექტულ წარმოჩენას. „ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული ქართული და კავკასიური კოსტუმები თავისი მრავალფეროვნებით, სიუხვითა და სისრულით უნიკალურია და უმნიშვნელოვანეს პირველ წყაროს წარმოადგენს ქართული და კავკასიური კოსტუმის ისტორიის შესწავლისათვის. მაგრამ /საქართველოში ამ კოლექციებმა შემოსვლა დაიწყო 1854 წლიდან/ არამედ იმიტომაც, რომ მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის, წოდების, სხვადასხვა დანიშნულების კოსტუმები ქალისა და კაცისა" — აღნიშნავს იგი.

ტანსაცმელი თავისი შემადგენელი ელემენტებით ხალხის ყოფას, მის თანადროულლობას ასახავს. ის წარმოადგენს ნივთიერი კულტურის ისეთ მონაცემს, რომელიც ხალხის ყოფის თავისებურებას თვალნათლივ წარმოაჩენს. ასე მაგალითად, მეურნეობის სახეების შესაბამისად საქართველოს მთასა და ბარში ისტორიულად ტანსაცმლის სხვადასხვა სახე შემუშავდა. ეს სხვადასხვაობა კი ჯერ კიდევ შორეულ წარსულშია შექმნილი.

ქართველი ხალხის ეროვნული კოსტუმის შესწავლის საქმეში გ.ჩაჩაშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს დიდი ქართველი ისტორიოგრაფისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლსა და დიდ საქმიანობას. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა არა

მარტო სრულად აღწერა თავისი ეპოქის /მე–17 საუკუნე/ ქართული სამოსელი, არამედ, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მისი ტრანსფორმაციის შესახებ ისტორიულ–შედარებითი მეთოდის გამოყენებით, შესაბამისი ანალიზიც მოგვცა. შეიძლება ითქვას, მან პირველმა დააფიქსირა ის ფაქტი, რომ ვახუშტიმ, ჯერ კიდევ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში, ხაზგასმით აღნიშნა ქართული ტანსაცმლის ერთტიპიურობა. ამავე დროს ვახუშტის მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოებაც, რომ ჩაცმულობის მხრივ მეტ–ნაკლები სხვაობა შეინიშნებოდა საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებში, რაც მეტად საგულისხმოა.[43]

ქართველი ხალხის ეროვნული კოსტუმის შესწავლის საქმეში გ.ჩაჩაშვილი დიდად აფასებდა იოანე ბატონიშვილის, დავით ფანასკერტელ–ციციშვილის, ალექსი მესხიშვილის, მურიეს, ტილკესა და სხვათა მიერ დაფიქსირებულ ფასეულ მასალებს. ქრონოლოგიურად მიჰყვება რა არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვას, იგი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას აკად. ივ.ჯავახიშვილის, ვ.ბარდაველიძის, აკად. გ.ჩიტაიას, გ.ციციშვილის, ლ.ბოჭორიშვილის და სხვათა დიდ დამსახურებაზე აღნიშნული პრობლემის მეცნიერულად კვლევის საქმეში.

ეხება რა ქართული კოსტუმის განვითარების ისტორიის შესწავლის საკითხს, გ.ჩაჩაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მართალია ქართული ხალხური სამოსელის ისტორიის ინტენსიური კვლევა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო, მაგრამ ამ პრობლემაზე უფრო ადრეც არაერთ ავტორს გაუმახვილებია ყურადღება და სათანადო კვლევაც უწარმოებია. ამით გარკვეულად და ნათლად მიგვანიშნა იმ გარემოებაზე, რომ ქართული მატერიალური კულტურის ამა თუ იმ ელემენტის ისტორიის მეცნიერული შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების

დამყარებამდე დიდი ხნით ადრე მკვლევართა ერთი ნაწილის ყურადღების ცენტრში იდგა.

ამ თითქოსდა უმნიშვნელო მომენტზე ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებდით, თუ არა ერთი პატარა ნიუანსი. საქმე იმაშია, რომ მკვლევარმა თავისი შეხედულება მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი, საწერი მაგიდის უჯრაში კი არ ჩაკეტა, არამედ ხმამაღლა განაცხადა ეთნოგრაფთა და ანტროპოლოგთა მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე, რომელიც 1964 წ. ჩატარდა მოსკოვში და რომელზედაც თავისი მოხსენებით წარსდგა პროფ. გ.ჩაჩაშვილი /ეს მოხსენება კონგრესის ჩატარების შემდეგ რუსულ ენაზე დაიბეჭდა/.

ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში პარტიის იდეოლოგიური დოგმებიდან გადახვევა და თავისი აზრის ასე საჯაროდ, თავისუფლად გადმოცემა მკვლევარისათვის საკმაოდ სარისკო და საშიშ საქმეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, გ.ჩაჩაშვილმა ობიექტური და სწორი შეფასება მისცა საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში სამეცნიერო–კვლევითი აზროვნების განვითარების მეტად მაღალი დონის არსებობას.

XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში ქართული ტანსაცმლის მდიდარი ნაირსახეობა იყო შემონახული. ქართული ტანსაცმლის ამ ნაირსახეობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენის ძველი ყოფის დარბაზში წარმოდგენილი ქართული კოსტუმის ძირითადი სახეები, როგორც მთის, ისე ბარის საქართველოდან და ამავე განყოფილების ფონდებში დაცული ქართული ტანსაცმლის მდიდარი კოლექციები. ქართული ტანსაცმლის ეს ძირითადი სახეები, რომელთა შემუშავება საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, ისტორიული ცვალებადობის მიუხედავად, ნათლად ასახავს იმ სპეციფიკურსა და თვითმყოფად ნიშნებს, რაც ქართულ ჩაცმა–დახურვას შედარებით ახლო წარსულამდე

ახასიათებდა.

გ.ჩაჩაშვილი აანალიზებს რა სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდებში დაცული ქართული ტანსაცმლის მრავალფეროვან ექსპონატებს, მიუთითებს, რომ XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმელი სამეურნეო ყოფისა და შრომის შესაბამისად დიდი დიფერენციულობითა და შეხამებით ხასიათდებოდა. ამგვარი განსხვავება შეინიშნებოდა სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, კლასობრივი და წოდებრივი კუთვნილებისა და პროფესიული ნიშნების მიხედვით. ასევე გამოიყოფოდა სეზონური, ყოველდღიური, საშინაო, საგარეო, სადღესასწაულო, გამოსასვლელი, რიტუალური და ა.შ.

მისი აზრით, ამგვარ დიფერენციაციას საქართველოში არა მხოლოდ ფეოდალურ ეპოქაში, არამედ საზოგადოებრივი განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე ჩაეყარა საფუძველი. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ იგი ქართულ ხალხურ ტანსაცმელს სამეურნეო—კულტურულ ტიპებთან ურთიერთმიმართებაში განიხილავს და ორიგინალურ დასკვნებს აკეთებს. გ.ჩაჩაშვილის შეხედულებით ქართულ ხალხურ ტანსაცმელს თუ განვიხილავთ XIX საუკუნის საქართველოში არსებული ისტორიულ—გეოგრაფიული ოლქებისა და კულტურულ—სამეურნეო ტიპების ფონზე, შეიძლება დაუშვათ, რომ ყველა მის სახესხვაობას მის ერთიან საერთო ხალხური კოსტუმის ერთიან ტიპთან მივყავართ, რომელსაც გააჩნია განსხვავებული ფორმები და ვარიაციები აღმოსავლეთ, დასავლეთ საქართველოს და საქართველოს მთიან ნაწილში.[44]

XIX საუკუნის ერთიანი საქართველოს ისტორიულ—ეთნოგრაფიულ ოლქში სამი კულტურულ—სამეურნეო ტიპია წარმოდგენილი: 1/ აღმოსავლეთ საქართველოს ბარი—სარწყავი მიწათმოქმედება, მევენახეობა—მეღვინეობა, მესაქონლეობა 2/ დასავლეთ საქართველო—სუბტროპიკული მეურნეობა, გადარეკვითი მესაქონლეობა 3/ აღმოსავლეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოქრომკერდით ნაქარგობა, ქართული ორნამენტის გამოფენა

საქართველოს მთა—მთური მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ამის შესაბამისად ერთიანი ქართული ხალხური ტანსაცმლის სამი ძირითადი სახესხვაობა: აღმოსავლურ ქართული, დასავლურ ქართული და მთური.

ეყრდნობა რა წარმოდგენილ ტიპოლოგიას, იგი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მამაკაცის ტიპიურ ტრადიციულ ტანსაცმლად მიიჩნევს ჩოხა-ახალუხს, ქალისათვის — სარტყელ—გულისპირიან კაბას; დასავლეთ საქართველოში — მამაკაცისთვის - იმერულ ჩოხას, ნაბადს, და ყაბალახს, ქალისთვის — ქართულ სარტყელ—გულისპირიან კაბას; საქართველოს მთაში — მამაკაცისთვის დამახასიათებელი იყო მწყემსის კოსტუმი, გვაბანაკი, მონადირის კოსტუმი, მთის ფეხსაცმელი, ხოლო ქალისათვის — შალის კოსტუმი — ტალავარი, თუშური და რაჭული ქალის ტანსაცმელი.

გ.ჩაჩაშვილი დაწვრილებით მიმოიხილავს რა სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულ ქართული ჩაცმულობის ექსპონატებს აღნიშნავს, რომ „XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის არსებული დამახასიათებელი ეროვნული ჩაცმულობის პარალელურად /ქართული ჩოხა, ქართული კაბა/ განაგრძობდა არსებობას ძველ ქართულ ეთნიკურ წარმონაქმნთა ტანსაცმელიც. მათ შორის წარმოდგენილი იყო უნიკალური, ზოგჯერ სულ მცირე მიკრო რაიონში გავრცელებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტანსაცმლის ისეთი სახეები, რომლებიც გენეტიკურად უკავშირდებიან ძველი ქართული ჩაცმულობის საწყისს ფორმებს. აღნიშნული ფაქტის სანიმუშო მაგალითად იგი მიიჩნევს ხევსურული ტალავარის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა პერანგი. იგი თავისი ორიგინალური თარგითა და მდიდარი ნაქარგობით გამოირჩევა არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ კავკასიის ყველა დანარჩენი ხალხის ჩაცმულობისაგან და რომელიც თავისი საწყისი ფორმებით ძველი კოლხეთისა და მცირე აზიის

უძველეს კულტურულ სამყაროს უკავშირდება.

ავტორი შედარებით ვრცლად ახასიათებს ხევსურული ტალავარის უტილიტარულ გამოყენებას, მის მხატვრულ გაფორმებას და მიუთითებს, რომ „ხევსურული ტანსაცმლის /კოსტუმის/ ორნამენტი ძირითადში ასახავს ქართველი ხალხის ძველ რელიგიურ მსოფლმხედველობას. მამაკაცის კოსტუმ–პერანგი ძველი ქართული კვართის / ქიტონის/ ანალოგად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ფიქსირდება ჩვენს ერამდე მე–VI საუკუნეში. ხევსურულ პერანგს სპეციალისტები ანალოგს უძებნიან ხალდების, ხეთების, ასირიელების, ბაბილონელების და სხვა ძველი აღმოსავლეთის ხალხების ტანსაცმელთან. უფრო მეტიც, თრიალეთის თასის /ძვ. წ. II ათასწლეული/ ზემო ფრიზზე გამოსახული ანტროპომორფული ფიგურების ჩასაცმელთან ქართველ მთიელთა ჩაცმულობის შედარება გარკვეულ მსგავსებას იძლევა. ამ ფიგურების ქიტონი ხევსური მამაკაცის პერანგს მოგვაგონებს, ნაწილობრივ ქართულ ქულაჯას, ხოლო ჭვინტაწეული ფეხსაცმელი ადრეული ხანიდანვე ცნობილი იყო ქართველებსა და წინააზიის სხვა ხალხებში.

გ.ჩაჩაშვილი ცალ–ცალკე ახასიათებს ქართველი მამაკაცისა და ქალის ტრადიციულ ტანსაცმელს. ეხება რა მამაკაცის ტანსაცმელს საგანგებოდ გამოყოფს ჩოხის ორ ვარიანტს: აღმოსავლურ ქართულს და დასავლურ ქართულს. მისი მითითებით მამაკაცის ქართული ნაციონალური კოსტუმი შემდეგი ნაწილებისგან შედგება: პერანგი, ქვედა შარვალი, ახალუხი, ჩოხა, შარვალი, ქუდი, სარტყელი, კოსტუმის ელემენტს შეადგენდა აგრეთვე ქამარ–ხანჯალი.

XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოში მამაკაცის ტანსაცმლის რამდენიმე სახეობა არსებობდა. მათ შორის აღსანიშნავია გლეხის კოსტუმი, /ქართლ–კახური/, თავადის კოსტუმი /ქართლ–კახური/, მამაკაცის ტანსაცმლის თავისებური სახეები /ხევსურული, იმერული, გურული,

რაჭული და სხვა/. მკვლევარი აქვე დასძენს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ჩოხა ძირითადად გლეხის ჩასაცმელს შეადგენდა. XIX ს. II ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს გლეხის ტანსაცმლის ძირითადი ნაწილები იყო: პერანგი, ნიფხავი, ჩაქიანი ახალუხი, შარვალი, ჩოხა, წინსაფარი, პაიჭები, ჩახსაკრავები, წინდები, ქალამნები, ნაბდის ქუდი, ქამარი. ქართლელი გლეხის სამოსელის ეს ძირითადი ნაწილები შეადგენდა მისი ჩაცმულობის ტიპიურ სახეს არა მარტო ქართლში, არამედ კახეთშიც. ავტორისეული დასკვნით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცალკეულ თავისებურებებს არ ჰქონდა ადგილი გლეხის ჩაცმულობაში აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში. თავისებურებანი რა თქმა უნდა არსებობდა, მაგრამ ქართლელი და კახელი გლეხის ჩაცმულობის ეს ტიპი საერთო იყო, რაც თავის დროზე ვახუშტი ბატონიშვილსაც აქვს დაფიქსირებული. იგი აქვე იძლევა გლეხური ჩოხის სახეობებს: 1. ნაოჭიანი, 2. ჩაქებიანი და დაწვრილებით ახასიათებს თითოეულის სპეციფიკურობა–თავისებურებებს. მას გულდასმით აქვს შედარებული ქართლელი და კახელი გლეხის ჩაცმულობის თითოეული ელემენტი, თარგები, ხმარების წესები, გამოყენებული მასალა, ფერები და ხაზს უსვამს როგორც მათ ერთიანობას, ისე კუთხურ თავისებურებებს. იქვეა აღწერილი მამაკაცის კოსტუმის სახეობები და სპეციფიკური ნიშნები.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მაღალი წრის მამაკაცის კოსტუმს შეადგენდა: განსაკუთრებული კაბა /ჩოხა, გრძელი ყურთმაჯებით, ახალუხი, განიერი შარვალი, თბილი ზედა ტანსაცმელი – ქულაჯა, მაღალი კარაკულის ქუდი, მაღალყელიანი ჩექმები / ცარსკები, /უძიროები/ და ა.შ. კაბის ან ქულაჯის გარედან წელზე შემორტყმული ჰქონდათ ქამარ–ხანჯალი /ვერცხლის/.

ავტორისეული კვლევით „კაბა წარმოადგენდა ქართული სამოსლის ერთ–ერთ მთავარ ელემენტს ძველ

საქართველოში. ისტორიული კედლის მხატვრობის მიხედვით კაბა ძირითადად ორგვარი იყო – ერთი გრძელი და წელში გადაკერებული, მეორე მოკლე და მთლიანი. ორივე ტიპის კაბა წინიდან მთლიანად გახსნილი იყო, მაგრამ ჩაცმის შემდეგ მთელ სიგრძეზე იკვროდა, პირველი გვერდზე, მეორე – წინ".

დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მამაკაცის სამოსელად ე.წ. ჩოხა–ახალუხი, რომელიც რამდენადმე განსხვავდებოდა აღმოსავლურ ჩოხისაგან. თავისი სილამაზისა და მორგებულობის წყალობით /განსაკუთრებით ცხენოსნებისათვის/ იგი ფართოდ გავრცელდა სხვა მეზობელ ხალხებშიც /ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა, კაზაკობა და სხვა/.

გ.ჩაჩაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას და ვრცლად მიმოიხილავს გურულ–აჭარულ და ლაზურ ჩასაცმელს, რომელიც „ჩაქურას" სახელწოდებით იყო ცნობილი. ჩამოთვლის რა მის შემადგენელ ელემენტებს: საკუთრივ ჩოხა, უფრო სწორად მისი ზედატანი, ახალუხი–აჭარულად „ზებუნი", ჩაქურა–განიერ ნაოჭებიანი შარვალი; პერანგი, სარტყელი, წინდა–პაიჭი, წუღა, ქალამანი, ყაბალახი და სხვა, განსაკუთრებით ეხება ჩოხას და ჩაქურას, მათ თავისებურებებს. და აღნიშნავს, რომ „ეს კოსტუმი კარგად იყო მორგებული ზღვაოსნობის პირობებს, /ლაზები ადრეული ხანიდანვე ცნობილი იყვნენ როგორც კარგი მეზღვაურები/, რადგან მოკლე ჩოხა და ფართე–განიერი შარვალი ხელს არ უშლიდა მეზღვაურის მოძრაობას. ამავე დროს ზღვაში ხანგრძლივად ყოფნისას ეს ტანსაცმელი ნესტისგანაც იცავდა მას.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემონახული მამაკაცის ჩასაცმელს – მოკლე ჩოხას ე.წ. მხედრულ ჩოხას და მუხლამდე პერანგს იგი მოსინიკების ჩაცმულობის ანალოგად მიიჩნევს, რომლის შესახებ ცნობები ქსენოფონტეს „აღწერილობაშია" მოცემული.

გ.ჩაჩაშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია ქართული მატერიალური კულტურის ერთ–ერთი მეტად სპეციფიკური და თვითმყოფადი ელემენტი – ნაბადი. დაწვრილებით მიმოიხილავს რა მუზეუმის ფონდებში დაცულ ნაბადის სახეებს, ყურადღებას მიაპყრობს მის დასამზადებელ მასალას და დამზადების ტექნოლოგიას, შრომის ფორმას და სხვა. ნაბდის მოთელვის საკმაოდ შრომატევად სამუშაოებში /სანაბდე მატყლის მოთელვა, შეღებვა, გარეცხვა, მატყლის შერჩევა, შეკერვა და სხვა/ გაერთიანებული იყო ქალისა და მამაკაცის შრომა და დანაწილებული შრომის სახეობების მიხედვით. მაგ. სანაბდე მატყლის შერჩევა–გარეცხვა, მისი მომზადება; შეღებვა–მამაკაცების საქმე იყო, შეკერვა–ქალის. ნაბდის თარგთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სავარაუდო მოსაზრება, რომ ნაბადი თავისი გენეტიკური ძირებით შუმერულ მოსასხამს უკავშირდება.[45] ნაბადი თავისი მოხერხებულობით, ორიგინალობით, სისადავით შესანიშნავ მოსასხამს წარმოადგენდა, რომელსაც მთელ კავკასიაში ფართოო გავრცელება ჰქონდა.

გ.ჩაჩაშვილის კვლევის არეალში ქართველი ქალის სამოსელიც შედის. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში XIX ს. II ნახევრიდან. საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქალის სამოსელი ქართული კაბის სახელწოდებით. ქართული კაბის შემადგენელი ელემენტებია: საკუთრივ კაბა, ქათიბი, დოლბანდი, პერანგი, შეიდიში, დაბლატანი, საბეჭური, ახალუხი, წინდა, მესტი ანუ ჩუსტი, ქოში, ფლოსტი, ჩიხტა–კოპი, თავსაკრავი, ჩიქილა და სხვა. საქართველოში დასტურდება ქართული კაბის რამდენიმე სახელწოდება: წელიანი, ყურთმაჯიანი, სარტყელ–გულისპირიანი. ქართული კაბა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სხვადასხვა რიტუალებში. მაგალითად, საქორწილო რიტუალში გამოყენებული იყო თეთრი ფერის სარტყელ–გულისპირიანი ქართული კაბა, რომელიც

ასევე გამოიყენებოდა გლოვის რიტუალში მეუღლის გარდაცვალების დროს.

ქართველი ქალის ჩაცმულობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამკაულებს. გამოყენებული იყო ოქროს, ვერცხლის თუ სხვა ძვირფასი ლითონის და ქვებისაგან დამზადებული ნაირსახოვანი ბეჭდები, საყურეები, ქინძისთავები, სამაჯურები, თმისსაყოფები, ძეწკვები, ყელსაბამები და სხვ.

მაღალი წოდებისა და გლეხის ქალის ტანსაცმლის განსხვავება ძირითადად იყო მასალის ღირებულებასა და შემკულობაში. გლეხი ქალის ტანსაცმელი ხშირად შინ დამზადებული ქსოვილისგან იკერება და გამოირჩევა თავისი სისადავითა და ხალხურობით.

იხილავს რა ქართულ ტანსაცმელს, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო მის დამზადების ტექნოლოგიაზე, არამედ მის დასამზადებელ მასალაზეც. მისი დაკვირვებით, საქართველოს მთაში /ფშავ–ხევსურეთი, ხევი, თუშეთი, მთიულეთ–გუდამაყარი, რაჭა–ლეჩხუმი, სვანეთი/, და აღმოსავლეთ საქართველოში, კლიმატურ–გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე ტანსაცმელი ძირითადად მზადდებოდა მატყლისა და ბეწვის ქსოვილისაგან, ხოლო ფეხსამოსი ძირითადად ტყავისაგან. აღნიშნული მასალა კარგად იყო მორგებული ადგილობრივ კლიმატურ და შრომით პირობებს. ცნობილია, რომ მატყლისაგან დამზადებული ტანსაცმელი კარგ დამცავ საშუალებას წარმოადგენდა გაცივებისა და რევმატიული დაავადებების დროს. შესაძლებელია ეს ფაქტორიც წარმოადგენდა ზემოთაღნიშნულ რეგიონებში მატყლის ქსოვილისაგან დამზადებული ტანსაცმლისადმი უპირატესობის მინიჭების ერთ–ერთ მიზეზს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქ ძირითადად სელის ქსოვილისაგან დამზადებულ ტანსაცმელს ხმარობდნენ. მკვლევარი იქვე მიუთითებს, რომ ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით

ნათლად იკვეთება თუ რა დიდი ისტორია აქვს სელის დამზადებას საქართველოში და როგორ შეესაბამებოდა დასავლეთ საქართველოს კლიმატურ–გეოგრაფიული პირობები მის ამგვარ განვითარებას.

ქართული მატერიალური კულტურის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის–ჩაცმულობის ისტორიის ვრცელი მიმოხილვა–ანალიზის შემდეგ გ.ჩაჩაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ტანსაცმლის მრავალფეროვნება,სხვაობის მიუხედავად, შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მის შემადგენელ ელემენტებს ერთმანეთთან აახლოებენ და მათ ზოგად ქართულ ხასიათს ანიჭებენ. XIX ს. II ნახევრის ქართული ტრადიციული კოსტუმის ძირითადი ელემენტების შესწავლა ნათლად ავლენს იმ ფაქტს, რომ ქართული ხალხური ჩაცმულობა თავისებური–თვითმყოფადი ხასიათისაა და მის უწყვეტ განვითარებაზე მიუთითებს. ხოლო კომპლექსური კვლევით ირკვევა, რომ ქართული ჩაცმულობის ძირითადი ტიპი საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა შინაგანი განვითარების კანონზომიერებით, ხოლო თავისი საწყისი ფორმით იგი ძველი კოლხურ–იბერიული გარემოდან მომდინარეა და ამ გზით მცირე აზიის ძველ კულტურულ ხალხთა სამოსელს უკავშირდება. ამ ხაზით შემდგომი კვლევა–ძიება, კერძოდ, საქართველოს ბარისა და მთის ძველი ხალხური ჩაცმულობის გაღრმავებული შესწავლა ნათელს მოჰფენს არა მარტო ქართული ჩაცმულობის იმ თვითმყოფად ნიშნებს, რომელიც ეთნოგრაფიულ ყოფაში იყო შემონახული, არამედ ასევე დიდ სამსახურს გაუწევს საერთოდ ქართული და კავკასიური ჩაცმულობის ისტორიის კვლევის საქმესაც. ეს გარემოება მით უფრო აღსანიშნავია, რომ ხალხური ჩაცმულობის ისეთი ელემენტები, როგორიცაა ჩოხა, ახალუხი, ნაბადი, ყაბალახი, კავკასიის ხალხთა საერთო ეროვნულ ტანსაცმლად ისახება და ამ ხალხთა ხანგრძლივ კულტურულ–ისტორიულ

ურთიერთობაზე მიუთითებს.

ტერმინ „ჩოხის“ ეტიმოლოგიის კვლევისას, წერილობით მონაცემებსა და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ წარსულში „ჩოხა“ აღნიშნავდა როგორც ჩასაცმელს, ისე ქსოვილსაც. ამას ადასტურებს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მნიშვნელობა სიტყვა „ჩოხისა“ როგორც შალის აღმნიშვნელი, რაც ვახუშტისა და საბას განმარტებითაც დასტურდება. ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ამ სიტყვით ქართულში სამოსელისათვის განკუთვნილი ქსოვილი აღინიშნებოდა, ხოლო შემდგომში ეს სახელწოდება თვით სამოსელზეც გავრცელდა.

საქართველოს ბარში ტანსაცმლის კომპლექსს „ჩასაცმელ—დასახურავს“ უწოდებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა კი თავის მხრივ, იყენებდა ძველ ქართულ წყაროებში ტანსაცმლის აღმნიშვნელ ტერმინს - „სამოსელს“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი II

## *ქართველი ხალხის სოციალური ურთიერთობის საკითხისათვის. ხევსურული საფეჴნო (ჴ=ხ)*

პროფ. გერცელ ჩაჩაშვილის კვლევის სფეროში ერთ–ერთი საინტერესო პრობლემა იყო ქართველი ხალხის სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. იგი კონკრეტულად მუშაობდა საქართველოს მთიანეთის ერთ–ერთი საინტერესო რეგიონის – ხევსურეთის სოციალური ურთიერთობის საკითხებზე.[46]

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სოფლის მამაკაცთა შესაკრები ნაგებობა–საფეჴნო–მხოლოდ შატილში იყო შემორჩენილი. პროფ. გ.ჩაჩაშვილი საკითხის შესწავლისას ყურადღებას ამახვილებდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხევსურეთის მატერიალური კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს – თვითონ შატილის დასახლების ტიპისა და ნაგებობათა სააღმშენებლო ტექნიკის თავისებურებას. იგი დაწვრილებით აღწერდა მათ /განსახლება, ნაგებობა, გზები და ა.შ./, აქვე ვრცლადაა მოცემული საფეჴნოს განლაგება და დაგეგმარება. ფეჴონის ნაგებობა სოფლის დასაწყისშივე ყოფილა გამართული, რომელიც ყორით მშრალად იყო ნაგები. ნაგებობა სამი კედლისაგან შედგებოდა /მას წინა კედელი არ ჰქონდა/. იქვე მიშენებული ჰქონდა ოთხკუთხედური მინაშენი „ქისტან დასტურის სკამის“ სახელწოდებით. ვინაიდან საფეჴნოს ნაგებობებისა და მისი ნაწილების აღწერილობა ლიტერატურაში არ არსებობს, ამიტომ ძნელდება გაირკვეს რა ხუროთმოძღვრული ცვლილებები განიცადა მან დროთა ვითარებაში. საფეხნო ბანურად იყო გადახურული სიპებით. საფეჴნოში სინათლე ღია ნაწილიდან შედიოდა. გარეგნული აღწერილობის შემდეგ გ.ჩაჩაშვილი შინაგანი ხედის დაწვრილებით აღწერილობას იძლევა /საუფროსო

სკამი, სხვა დასასხდომი ადგილები, საფეჯნოში არსებული იარაღ—ჭურჭლის განლაგება და ა.შ./. მისი მითითებით, ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შემონახული იყო თემური წყობილების ზოგიერთი გადმონაშთი. მათი შესწავლა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელი საფეხურის გათვალისწინებისათვის მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანია.

თუ რამ განაპირობა შატილის საფეჯნოთი მისი დაინტერესება ამის შესახებ იგი აღნიშნავს: „ჩვენი ნაშრომის თემა „შატილის საფეჯნო" მონოგრაფიული შესწავლის ობიექტად იმ მიზნით დავისახეთ, რათა გაგვერკვია ის სოციალურ—ეკონომიკური როლი, რომელსაც ხევსურეთის ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობაში „საფეჯნო" და „ფეჯონი" ასრულებდა. შატილის საფეჯნოს შესწავლა კი უშუალოდაა დაკავშირებული ხევსურული ფეჯონის საკითხთან. ამიტომაც ფეჯონის შესწავლას ჩვენს ნაშრომში დიდი ადგილი დავუთმეთ".[47]

ცნობილია, რომ ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული იყო ე.წ. სამხედრო დემოკრატიის, ანუ კლასობრივ საზოგადოებაში გარდამავალი საფეხურის არაერთი ნაკვალევი, რომელიც თავისი საწყისებით პირველყოფილი დემოკრატიიდანაა მომდინარე. პირველყოფილი დემოკრატია კი დამახასიათებელი იყო პირველყოფილი თემური წყობილების გარკვეული საფეხურისათვის. იგი იქვე აღნიშნავს, რომ ხევსურეთის შესახებ არსებულ ლიტერატურაში თუმცა საფეჯნოსა და ფეჯონის არსებობის ფაქტი დიდი ხანია დადასტურებულია, მაგრამ მათ შესახებ სათანადო ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება და კვლევა—ძიება არავის უწარმოებია. მიუხედავად ამგვარი განცხადებისა იგი დაწვრილებით მიმოიხილავს არსებულ ლიტერატურულ მონაცემებს /რ. ერისთავის, ნ. ურბნელის, ბ. გაბურის, თ. ხიზანიშვილის,

ს. მაკალათიას, გ. თედორაძის თუ სხვათა ცნობები და განმარტებები იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში თუ ცალკე წიგნებში/ და სათანადო ადგილს მიუჩენს მათ.

საკუთრივ მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითა და არსებული წერილობითი მონაცემების მიხედვით, იგი ფეჴონს განმარტავს როგორც ხალხის შეკრების, კერძოდ კი სოფლის მამაკაცთა ყრილობის აღმნიშვნელ, ხევსურეთში საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინს.

ფეჴონის დანიშნულებისა და შინაარსიდან გამომდინარე, გ. ჩაჩაშვილი საფეჴნოს შემდეგნაირ ინტერპრეტაციას აძლევს: „თუ ფეჴონი სოფლის მამაკაცთა ყრილობას ეწოდებოდა, საფეჴნო ამ კრებულისათვის განკუთვნილ საგანგებო ნაგებობასა თუ ადგილს აღნიშნავდა, ამდენად ფეჴონისა და საფეჴნოს ერთმანეთთან გაიგივება მცდარია. თუ ფეჴონი სოფლის სრულწლოვან მამაკაცთა ყრილობას, სოფლის ყოველდღიური ცხოვრების მომწესრიგებელ სასოფლო კრებას წარმოადგენდა და სოფლის თემისათვის დამახასიათებელ მონაცემებს შეიცავდა, შატილის საფეჴნო ამგვარი კრებულის /ყრილობის/ საკრებულო ნაგებობა იყო და ამავე დროს, თავის მხრივ, უფრო ძველი საზოგადოებრივი ვითარების გამჟღავნებული გადმონაშთებითაც ხასიათდებოდა". აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ფეჴონი-სა და საფეჴნო-ს შესახებ არსებული მონაცემების ცალ-ცალკე განხილვას მართებულად მიიჩნევს.

პროფ. გ.ჩაჩაშვილი ამ საკითხების განხილვას გ.თედორაძის მიერ მოცემული მასალებით იწყებს. მისი მითითებით გ.თედორაძის მიერ მოწოდებული ცნობით საფეჴნოს შემდეგი ნიშნები ახასიათებდა:

1/ საფეჴნოში ყოველ საღამოსა და კვირას თავს იყრიდა მოხუცი თუ ახალგაზრდა მამაკაცები. ისინი გარდა თავისუფალი ლაყბობისა, თავს იქცევდნენ მსუბუქი საოჯახო ხელსაქმით.

2/ აქ წყდებოდა მრავალი სასოფლო საკითხი, როგორც სადაო ხასიათისა, ისე სათემო.

3/ საფეჯნოში შესვლის უფლებას დედაკაცები მოკლებულნი იყვნენ. მკვლევარი აკრიტიკებს თ.თედორაძეს და მიუთითებს, რომ „ჩვენ არ ვიცით რას გულისხმობს ავტორი „თავისუფალ ლაყბობაში", მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხევსურეთში „ლაყბობა" ახალგაზრდებში გაშაირებასა და უწმაწური სიტყვა–პასუხის ხმარებას ეწოდებოდა, რაც საფეჯნოში ყოვლად დაუშვებელი იყო; თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდები უფროსებთან ასეთ „გართობას" ვერ გაბედავდნენ. ასევე ცალმხრივად მიაჩნია მას დეგენ–კოვალევსკის მითითება იმის შესახებ, რომ შატილიონნი ამ საკრებულოს სალაყბოს უწოდებდნენ.[48]

პროფ. გ.ჩაჩაშვილი, საკითხის შესწავლისას, დიდ ყურადღებას აქცევს მ. ლეჟავასა და გ. ჯანდიერის ერთობლივ ნაშრომსა [49] და ვ.გურკო-კრიაჟინის წიგნს [50], რომლებშიც გარკვეული ცნობებია მოტანილი საფეხნოს შესახებ. მისი მითითებით მ.ლეჟავასა და გ.ჯანდიერს საინტერესოდ აქვთ განხილული სოფელ შატილის გეგმა, სოფლის ზოგადი აღწერილობა, საფეჯნოს დანიშნულება. იგი მათ მიაჩნიათ კლუბის მსგავს საკრებულოდ, სადაც საღამოობითა და უქმე დღეებში თავს იყრიან სოფლის მამაკაცები და წვრილ საოჯახო საქმიანობით ირთობენ თავს. ვ.გურკო–კრიაჟინის შრომის შესახებ იგი აღნიშნავს: „ნაშრომი ოციოდე წლის წინ გამოქვეყნდა. ავტორს საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული შატილის საფეჯნოს თავდაპირველი ბუნების შესახებ. მისი აზრით ხევსურეთში შემონახულია ე.წ. მამაკაცთა სახლის ნაკვალევი მამაკაცთა კლუბის სახით, რომელსაც შატილში სალაყბო ანუ ფეხონი ე.ი. სასაუბრო ეწოდებოდა".[51] გ.ჩაჩაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა რა შატილის საფეჯნო, ვ.გურკო–კრიაჟინის ზემოთ მოტანილი შეხედულება არ გაიზიარა და მიუთითა, რომ ფეჯონისა და საფეჯნოს ეს განმარტება ერთმანეთში ეწინააღმდეგება

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ მასალას. საქმე ისაა, რომ ხევსურეთში კერძოდ შატილიონნი, თავის საკრებულოო ნაგებობას საფეხნოს უწოდებენ და არა სალაყბოს. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს ავტორისათვის /ვ. გურკო—კრიაჟინისათვის/ მით უფრო დამაჯერებელი გამხდარა, რამდენადაც მას ამ ნაგებობის სახით მამაკაცთა კლუბი წარმოუდგენია. მას საჭიროდ არ დაუნახავს კონკრეტული მასალის ანალიზი, რომელიც შუქს მოჰფენდა ხევსურეთში მამაკაცთა სახლების არსებობის საკითხს, რის გამოც ავტორის მოსაზრება მასალის მოშველიებასა და დასაბუთებას საჭიროებს.[52]

შატილის საფეჴნოს შესახებ გ.გურკო—კრიაჟინის მოსაზრება გ.დემიდოვსაც გაუზიარებია.[53] ამის გამო გ.ჩაჩაშვილის მიერ გურკო—კრიაჟინისადმი გამოთქმული კრიტიკა მასაც ეხება.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საინტერესო სოციალური ინსტიტუტის რაობის შინაარსის და მისი სოციალურ—მორალური დატვირთვის ძირფესვიანად გარკვევისათვის საინტერესო ხერხს მიმართა. შატილის საფეჴნოს შესწავლა დაიწყო ნაგებობით. დაწვრილებით აღწერა და გაანალიზა მისი დანიშნულება. ამის შემდეგ იგი შეუდგა ისეთი საკითხების შესწავლას, რომელიც ცნობილი იყო საფეჴნოში შრომითი საქმიანობის სახით. საფეჴნოში შრომით კოლექტიურ საქმიანობას არა მხოლოდ შატილის მაგალითზე, არამედ ხევსურეთის სხვა სოფლების ეთნოგრაფიული მასალებითაც არკვევს და საინტერესო დასკვნებსაც იძლევა. ჩვენც მისეულ თანამიმდევრობას მივყვებით ამ საინტერესო ინსტიტუტის დახასიათებისას.

რადგან ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სოფლის მამაკაცთა შესაკრები ადგილი ნაგებობა—საფეჴნო მხოლოდ შატილში იყო შემონახული, ამდენად ფეჴონისა და საფეჴნოს პრობლემის შესწავლას იგი შატილის საფეჴნოს აღწერით იწყებს. მისი მითითებით სოფელი

შატილი, ხევსურეთის ძველი მატერიალური კულტურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი, დასახლების ტიპისა და ნაგებობათა საამშენებლო ტექნიკის თავისებურებებით ეთნოგრაფიული შესწავლის საყურადღებო ობიექტია. იგი აქვე გვაწვდის ზოგად ცნობებს შატილის გეოგრაფიული ადგილ–მდებარეობის, სოფელში მაცხოვრებელი გვარების, მათი თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილის, მათი შატილში მოსვლის მიზეზების, სოფლის უბნების, განსახლების /ტერასულად განსახლების/, გზების და ბოლოს საფეჴნოს ადგილი–მდებარეობის შესახებ. მისი მითითებით, სოფლის დასაწყისში სამხრეთ–დასავლეთით ე.წ. ჯვრის მამულის ყორის მიჯნასთან ქვის ნაგებობა იყო გამართული, რომელსაც საფეხნო /საფეჴვნო ეწოდება". იგი აღწერს ნაგებობის სახეობას, კედლების აგებულებათა წყობას და ა.შ. აქვე მოცემული აქვს საფეჴნოს გეგმა და მისი ანაზომები /ყორის სიგრძე – 4,75 მმ. კედლის სისქე – 62 სმ, საკვამი – 30X40 სმ. და სხვა/, „ქისტან დასტურის" სკამის სადგომი, ნაგებობის მშენებლობისას გამოყენებული ტექნიკა, საფეჴნოს ბანის კონსტრუქცია, შინაგანი ხედი, ავეჯის განლაგება შიგნით – დუქანი, ჩიკა /ხის პატარა სკამი/, საკვამი, საუფროსო სკამი, თოფის წამლის სანაყი ქვა–დენგი, საუმცროსო სკამი, ტყავის საზელი ხელსაწყო–ხიმუნი და ა.შ.

დაწვრილებით აქვს შესწავლილი და გაანალიზებული ის შრომითი პროცესები, რომლებიც საფეჴნოში სრულდებოდა კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად. აღწერს რა აღნიშნულ საქმიანობას, გ. ჩაჩაშვილი მიუთითებს: „ჩვენს მიერ ადგილზე შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ შატილის საფეჴნოში ყოველდღიურად იკრიბებოდა სოფლის მამაკაცობა. ამ მხრივაც საფეჴნო შატილიონთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საფეჴნოში მეტწილად ხელსაქმობის ისეთი სამუშაოები სრულდებოდა, რომელთა დამოუკიდებლად ჩატარება თითოეული ხევსურისათვის გაძნელებული იყო".[54]

ხევსურეთის წარსულში საარსებო საშუალებათა გარკვეული ნაწილის მოპოვების გარდა, მამაკაცის მნიშვნელოვან საქმიანობას ტყავის დაზელა, მუშის დაგრეხა, ფეხსაცმლისა და თოფის წამლის დამზადება შეადგენდა, როგორც სამეურნეო, ისე თავდაცვისა და ლაშქრობა–მეკობრეობის საჭიროებისათვის. ამ სამუშაოთა შრომატევადი ნაწილი, /ტყავის დაზელა, თოფის წამლის დამზადება/ მათი დამზადების პროცესის ჩათვლით, ერთი მამაკაცის ძალღონეს აღემატებოდა და რამდენიმე პირის გაერთიანებულ შრომას საჭიროებდა. ეს უკანასკნელი კი შატილის საფეხნოში შრომითს ურთიერთ–დახმარებაზე იყო დაფუძნებული. შატილის საფეჴნოში მოთავსებული ტყავის დასაზელი და თოფის წამლის დასამზადებელი ხელსაწყოები /ხიმუნი და დენგი/ მთელი სოფლის საზოგადო საკუთრებას შეადგენდა და ამდენად მათი გამოყენება სოფელში მოსახლე თითოეულ ხევსურს შეეძლო. ამავე დროს თითოეულ სოფლელს შეეძლო შრომითი ურთიერთდახმარების საფუძველზე სხვა მამაკაცთა ძალღონის მოშველიებაც.

ხიმუნში შატილიონნი მსხვილფეხა საქონლის ტყავს ზელავდნენ, რომელსაც წინ უსწრებდა გარკვეული პროცესები. მას საფეჴნოს გარეშე ტყავის მესაკუთრე პირი დამოუკიდებლად ასრულებდა. შატილის შესწავლის მაგალითზე გ.ჩაჩაშვილი აღნიშნავს: „ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ ტყავის დაზელვა საფეხნოში საგანგებოდ მოთავსებული ხელსაწყო–ხიმუნის საშუალებით ხდებოდა კოლექტიური შრომის გამოყენებით“.

პროფ. გ. ჩაჩაშვილი, როდესაც შატილის საფეჴნოში მამაკაცთა საქმიანობაზე საუბრობს, გაერთიანებულ–კოლექტიურ შრომასთან ერთად ცალკეულ მამაკაცთა ინდივიდუალურ მუშაობაზეც ამახვილებს ყურადღებას. დაწვრილებით აღწერს ფეხსამოსის – „ჴლანისა“ და „ქალამნის“ ამოსხმის პროცესს, რომელიც ინდივიდუალურად წარმოებდა და გაერთიანებულ შრომას არ მოითხოვდა.

ცალკე ქვესაკითხად არის გამოყოფილი „მუშის" დაგრეხვა. თავს უფლებას მივცემთ და ცოტა ვრცლად შევჩერდებით ამ საინტერესო საქმიანობის ჩატარების პროცესზე. გ. ჩაჩაშვილის მითითებით საფეხნოში შეკრებილი მამაკაცობა ტყავის ზელის, ქალამნის ამოსხმისა და ჯღანფეხის გაბანდვის გარდა მუშის გრეხასაც ეწეოდა, რომლის სათანადო მასალის დამზადება საფეხნოს გარეთ წინდაწინვე ხდებოდა.

მთელი სიცხადით რომ გავისიგრძესიგანოთ, თუ რას წარმოადგენდა მუშის გრეხვა, საჭიროა მივყვეთ გ. ჩაჩაშვილისეულ აღწერას. ცაცხვის ხეს ნედლ კანსა და ქერქს აცლიდნენ. გაცლილ კანს მუში ეწოდება. ვარგისიან კანს წვრილად ხლეჩავდნენ და ერთი თვის განმავლობაში ჭაობში ალბობდნენ; დამბალ მუშს ჭაობიდან ამოიღებდნენ და რიყეზე გაფენდნენ გასაშრობად. გამშრალ მუშს კვლავ წვრილ სოლებად ხლეჩდნენ, შემდეგ კი საბრუნავზე/ საბრუნავი წვერმოკაუჭებული ჯოხი იყო, რომელსაც ოდნავ მოხრილი სახელური ჰქონდა/ ახვევდნენ და გრეხავდნენ; რადგან მუშის დაგრეხვა საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო, ამიტომ საფეხნოში მყოფი მამაკაცები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მუშს ჯერ ცალწვერად დაახვევდნენ, მერე დაგრეხილს შეაორწვერებდნენ და ისევ დაგრეხდნენ, რომელსაც უკვე სახელი ეწოდებოდა. ცაცხვის ხის კანისაგან დაგრეხილი საბელი ხევსურეთში ბაზრის მაგივრობას ეწეოდა, რომლის გამოყენება ხევსურეთის ყოფა–ცხოვრებაში მრავალმხრივი იყო. გ. ჩაჩაშვილის გადმოცემით ხევსურეთში საბელს კანაფისაგანაც ამზადებდნენ, რომელსაც ისეთივე ტექნოლოგიით ამუშავებდნენ როგორც ცაცხვის ქერქს.

პროფ. გ.ჩაჩაშვილი ვრცლად მიმოიხილავს ისეთ შრომატევადსა და რთულ საქმიანობას როგორიც იყო თოფის წამლის დამზადება. ამ საქმიანობაში იჩენდა თავს საფეჭნოში მყოფი მამაკაცების კოლექტიური შრომა. აანალიზებს რა ადგილზე შეგროვებულ ეთნოგრაფიულ მასალას, იგი აღნიშნავს, რომ „თოფის წამლისა და

ფინთიხის დამზადება პირიქით ხევსურეთში ადგილობრივად წარმოებდა და ისეთი მასშტაბითაც, რომ შინაგან მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებდა; თოფის წამლის საჭიროება კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლაშქრობის შემთხვევაში. აღნიშნულის დასასაბუთებლად იგი ხალხურ ლექსსაც იშველიებს ხევსურული პოეზიიდან:

„შატილს ნუ ჩახვალთ მშავლებო, – შატილს ვაჟნი დგას ხმლიანნი,

თვითონა ღნაყვენ წამალსა, ბაკნით უდგანან ტყვიანი".

თოფის წამლის დასამზადებლად უპირველესად გვარჭილა იყო საჭირო. ეს ტერმინი პირიქით ხევსურეთში არ იცოდნენ. გვარჭილას იქ თოფის წამლის ყინვარს უწოდებდნენ, რომელსაც ადგილობრივ ამზადებდნენ.[55] მისი გამოხდა არა კოლექტიურად, არამედ ინდივიდუალურად თითოეულ ოჯახში წარმოებდა.

თოფის წამლის დამზადებისათვის გარდა ყინვარისა საჭირო იყო ნახშირიც, რომელსაც ადგილობრივ ცაცხვის ხის ან უნაყოფო ეკლიანი ხისაგან – ძუთასაგან ამზადებდნენ. მესამე შემადგენელი ნაწილი იყო ჩექა, რომლის წარმოება ადგილზე შეუძლებელი იყო, ამიტომ მას ქალაქში იძენდნენ.

თოფის წამლის მოსამზადებლად მისი შემადგენელი ნაწილების გარკვეული პროპორციით შეზავება უნდა მომხდარიყო. თითოეულ მეკომურს საფეხნოში /სადაც თოფის სანაყი ხელსაწყო იყო გამართული/, მიჰქონდა ორი გირვანქა ყინვარი, ორასი გრამი /ერთი სტილი/ ნახშირი და ერთი სტილი ჩექა. ამ ნედლეულს ერთმანეთში აურევდნენ დაახლოებით ასეთი პროპორციით: ორი მესამედი ყინვარი, ერთი მესამედი კი – ნახშირი და ჩექა. ამგვარად შეზავებულ ნარევს თოფის წამლის დასანაყ ხელსაწყოში ჩაყრიდნენ და ნაყავდნენ. სანაყავ–დენგში ერთ ჩაყრაზე ერთი გირვანქა ნარევი ეტეოდა. დანაყილ ნარევს გადმოიღებდნენ, ცოტაოდენ წყალს მოასხავდნენ და კოვზით დაზელდნენ, შემდეგ კი მზეზე გააშრობდნენ. გამხმარ ნარევს ხელით

დაფშვნიდნენ, საცერში გაცრიდნენ და თოფის წამალი მზად იყო. მას დაანაწილებდნენ წილის მიხედვით ან კოლექტიურად ხმარობდნენ შიშიანობის დროს.

იმის დასასაბუთებლად, რომ წარსულში თოფის წამლის დამზადება მართლაც საფეჴნოში წარმოებდა, გ. ჩაჩაშვილი საკუთარი ეთნოგრაფიული მასალის გარდა ლიტერატურულ მონაცემებსაც იმოწმებს. აქვე, მათზე დაყრდნობით, შედარებით სრულად აღწერს თოფის წამლის დასანაყი ხელსაწყოს – დინგის შემადგენელ ნაწილებსა და თითოეულის დანიშნულებას.

როდესაც სწავლობს თოფის წამლის დამზადების ტრადიციას, გ. ჩაჩაშვილი მხოლოდ ხევსურეთის მაგალითით არ იფარგლება. არსებულ ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით იგი აღნიშნავს, რომ დინთის დამზადების თითქმის ერთი და იგივე პროცედურაა დამოწმებული ხევსურეთში, რაჭაში, სვანეთში და სხვაგან.

პროფ. გ. ჩაჩაშვილს მონოგრაფიაში საგანგებოდ აქვს შესწავლილი საფეჴნოში კოლექტიური შრომის გამოყენების საკითხები და სვამს კითხვას „ხომ არ გვაქვს საფეხნოს სახით მოცემული საზოგადოებრივი მნიშვნელობის რაიმე სახელოსნო, რომელიც თუნდაც სხვადასხვა დარგის ხელოსანთა გაერთიანებას გულისხმობდეს". იგი იქვე უარყოფითად პასუხობს და აღნიშნავს: „ამ საკითხზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ, თუნდაც იმის გამო, რომ საფეჴნო მთელი სოფლის მამაკაცთა საკრებულოს წარმოადგენდა და არა ცალკეულ ხელოსანთა გაერთიანებისათვის განკუთვნილ ნაგებობას. იგი იმოწმებს რა აკად. ივ. ჯავახიშვილისა და აკად. ს.ჯანაშიას [56] შრომებს მიუთითებს, რომ ხევსურეთში ხელოსანთა გაერთიანებების მონაცემები დადასტურებული არ არის მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნობა აქ საკმაოდ იყო განვითარებული და ქართველ ტომთა ცხოვრებაში ხელოსნობისა და ხელოსანთა გაერთიანების ტრადიციას საუკუნეთა სიღრმეში აქვს

ფესვები გამდგარი. მართალია, საფეჯნოში ხელსაქმობის გარკვეული კომპლექსი იყო წარმოდგენილი, მაგრამ იგი ორგანიზებულ, საწარმოო გაერთიანების პრინციპზე აგებულ წარმოების ხასიათს როდი ატარებდა. საფეჯნოში მოცემული ხელსაქმობა არც შრომის განაწილების ნაირსახეობასა და საწარმოო პროცესთა დეტალიზაციას გულისხმობდა. იქ დამზადებული პროდუქტი ბაზარზე გასაყიდად კი არ გადიოდა, არამედ მოსაქმის საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის იყო გამიზნული. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საფეჯნოში ადგილი ჰქონდა შრომის კოლექტიურ გამოყენებას საერთო შრომითი დახმარების პრინციპზე, ცალკეული მწარმოებელი თვითონვე იყო მომხმარებელი.

ზემოთქმულიდან აშკარავდება, რომ „საფეხნო არ წარმოადგენდა ხელოსანთა საკრებულოს და არც მხოლოდ ხელსაქმისათვის განკუთვნილ ნაგებობას. საფეხნოში დამოწმებული ხელსაქმობა სხვა, უფრო ძველი წყაროებიდან მომდინარე ჩანს, რაც შეეხება კოლექტიური წარმოების ზოგიერთ მაჩვენებლებს, რომელიც საერთო შრომის გამოყენებაში გამოიხატებოდა, იგი თავის ახსნას ხევსურეთის ძველ სოციალურ–ეკონომიკურ ურთიერთობათა მახასიათებელ მოვლენებში პოულობს“, – აღნიშნავს იგი.

პროფ. გ.ჩაჩაშვილი ამავე თავში ცალკე ქვესაკითხად გამოყოფს, არსებობდა თუ არა საფეჯნოს ნაგებობანი შატილის გარდა ხევსურეთის სხვა სოფლებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგანგებოდ ჩერდება სოფ. ხახაბოსა და არდოტში, ასევე ბაცალიგოს, ბისო–ხახმატის, და სხვა სოფლებში დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მასალაზე და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ფეხონი“ და „საფეხნო“ ხევსურეთის თითქმის ყველა სოფელში მოიპოვებოდა. საფეჯნოს ნაგებობა კი მხოლოდ შატილშია დამოწმებული. ხევსურეთის დანარჩენ ნაწილში საფეჯნო ან სოფლის შუაგულზე მდებარე მცირე მოედანია, ან სოფლის

ფარგლებში მდებარე სხვა ადგილი.

ნაშრომის მეორე თავი ეხება საფეხნოსა და ფეხონის საზოგადოებრივ ფუნქციებს. იკვლევს რა აღნიშნულ ფუნქციებს პროფ. გ.ჩაჩაშვილი აღნიშნავს, რომ შატილის საფეხნოში საჭიროებისამებრ იმართებოდა ხოლმე სოფლის ყრილობა, რომელიც ხევსურეთში ფეხონის სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ საკითხის შესწავლისას იგი ვრცლად ეხება შატილის მოსახლეობის გვართა /ჭინჭარაულები და ანატორიელები/ წარმომავლობას; მათი დასახლების ისტორიას შატილში, რაშიც ვრცლად იშველიებს ხალხში არსებულ ლეგენდებსა და გადმოცემებს. აღნიშნული საკითხების შესწავლის შემდეგ იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ როგორც ჩანს, შატილის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული დასახლების სახეობა ტერიტორიულ პრინციპებზეა დამყარებული და არა გვაროვნულზე / სოფელში ორი მეზობელი გვარი მოსახლეობს/. ადგილზე დამოწმებული მასალების მიხედვით, სოფლის ყრილობაზე დასწრებისა და სასოფლო საკითხების შესახებ მსჯელობის უფლება მხოლოდ სრულასაკოვან მამაკაცებს ჰქონდათ / ხევსურეთში სრულწლოვნად დაახლოებით თოთხმეტი წლის ახალგაზრდა ითვლებოდა/. სასოფლო საქმის გარიგებისას უფრო მეტ აქტიურობას „უფროსნი" იჩენდნენ. დამსწრე ახალგაზრდები კი, უფროსებისაგან ისმენდნენ და სწავლობდნენ მამა–პაპურ ზნე–ჩვეულებებს, მსჯელობის მანერასა და მჭერმეტყველებას.

ბავშვები და დედაკაცები ამგვარ ყრილობას, როგორც წესი, არ ესწრებოდნენ. „დედაკაცი არამც თუ ფეხონს ვერ დაესწრებოდა, არამედ საფეხნოს მახლობლადაც კი ვერ გაივლიდა". მისი ვარაუდით ეს გარემოება ძველ ხევსურეთში ქალის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მოწყვეტის მამჟღავნებელია და თავის წარმოშობით პატრიარქალური ურთიერთობიდან მომდინარეა.

მკვლევარი ფიქრობს, რომ სოფლის ყრილობა –

ფეხონი, სოფლის მამაკაცთა დემოკრატიულ შეკრებილობას წარმოადგენდა და ნომინალურად სოფელში მოსახლე თითოეული კომლის წევრ სრულასაკოვან მამაკაცებისაგან შედგებოდა.

მან შეისწავლა რა ფეხონის სტრუქტურა მიუთითა, რომ მართალია, ხევსურეთში სოფლის ყრილობა ანუ ფეჴონი დემოკრატიულ პრინციპებზე იყო აგებული მამაკაცთა ხაზით და თავკაცებიც კრებებზე მეტ–ნაკლები უფლებით სარგებლობდნენ, მაინც თავკაცებს, მათ შორის კი, განსაკუთრებით, ხუცესს განსხვავებული ადგილი ეკავა. მის სიტყვასა და მითითებებს გარკვეული წონა და ზეგავლენა ჰქონდა და სოფლის კრებასაც ზოგჯერ უშუალოდ იგი იწვევდა. ყოველივე ეს კი აშკარად მიუთითებს იმ როლის შესახებ, რომელსაც ხუცესი ასრულებდა სოფლის ცხოვრების სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა საკითხების მოწესრიგებაში. სოფლის თავკაცთა მუდმივი მხარის დაჭერა ამ როლს კიდევ უფრო მეტად ზრდიდა. გ. ჩაჩაშვილი იქვე ვრცლად ეხება და დაწვრილებით აღწერს თავკაცის პიროვნებას, მის როლს და ფუნქციას სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ფეჴონი მნიშვნელოვან საკითხებზე მოიწვეოდა. გამოცხადება საჯაროდ ხდებოდა სოფლის თავკაცების გადაწყვეტილებით. სოფლის მამაკაცთა შევსების შემდეგ, ერთ–ერთი თავკაცი ხალხს გააცნობდა იმ საკითხებს, რის გამოც ფეჴონი შეიკრიბა. ფეჴონზე საინტერესო საკითხის ირგვლივ მსჯელობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო იქამდე, ვიდრე ერთხმად არ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის დაცვა და ცხოვრებაში გატარება სოფლის თითოულ წევრს ევალებოდა.

არსებული მასალის შესწავლა–ანალიზის საფუძველზე გ. ჩაჩაშვილმა საინტერესო დასკვნა გააკეთა სოფლის ყრილობის – ფეჴონის შესახებ, კერძოდ: „მიუხედავად იმისა, რომ სახევსურეთო და სათემო გადაწყვეტილებებს

მათში შემავალი სოფლებიც ემორჩილებოდნენ, ფეჴონი ანუ სოფლის ყრილობა სოფლის ფარგლებში მაინც დამოუკიდებელ რგოლს წარმოადგენდა. მეორე მხრივ, ხევსურეთის სხვადასხვა კუთხის საყოფაცხოვრებო და გეოგრაფიულ თავისებურებათა გამო, თემთა შორის ურთიერთობა და საერთოდ სახევსურეთო საქმეთა შესახებ ყრილობა შედარებით იშვიათად ხდებოდა, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა სოფლის ყრილობის – ფეხონის დამოუკიდებლობას".[57]

პროფ. გ. ჩაჩაშვილს ცალკე საკითხად აქვს გამოყოფილი „ფეჴონის გასარიგებელი მთავარი სასოფლო საკითხები", არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებსა და წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით. იგი ფეჴონის გასარიგებელ საქმეებს მიაკუთვნებს ა/ სოფლის საქონლის განაწილებას; ბ/ მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის მოწესრიგებასა და სოფლის თავდაცვას; გ/ სოფლის საზოგადო საკუთრებაში მყოფი საძოვრებისა და სათიბების დაცვა–გამოყენებას; დ/ სასოფლო ხიდებისა და გზების მშენებლობა–შეკეთებას. თითოეულ ამ საკითხს იგი ვრცლად მიმოიხილავს და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებს.

ხევსურეთში ეკონომიკის ძირითად დარგს მსხვილფეხა მესაქონლეობა წარმოადგენდა და ამდენად ბუნებრივია, რომ საძოვრების გამოყენების და სოფლის საქონლის მოვლის საკითხების გარიგება სოფლის ყრილობის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ საქონელი ცალკეულ კომლთა საკუთრებაში იმყოფებოდა, ზაფხულობით ხევსურებს, კერძოდ შატილელებს, იგი მთაში ყავდათ. მთაში ყოფნა და იქ საქონლის მწყემსვა მძიმე საქმედ ითვლებოდა და ამის გამო შატილიონებს მწყემსებად მეტწილად მათი მეზობელი ქისტები ყავდათ დაქირავებული, რომლის შრომის ანაზღაურება გარიგებით ხდებოდა „სოფელში საქონლის დაბრუნების შემდეგ ერბოთი ან ქერით". გადასახდელის

განაწილებისათვის სოფლის ყრილობა შეიკრიბებოდა. ვისაც რამდენი საქონელი ყავდა მთაში სამწყემსავად, იმ რაოდენობის შესაბამის ქირას გადაიხდიდა. ქვრივ–ობოლს ფეჴონი ქირას არ შეაწერდა, წესად არ იყო. მთაში საქონელს თუ რაიმე ზიანი მოუვიდოდა, პატრონის წინაშე მწყემსი იყო პასუხისმგებელი და დანაკლისიც მას უნდა გადაეხადა. მაგრამ ვიდრე გადაახდევინებდნენ, სოფლის ფეჴონი საქმის ვითარებას გაარკვევდა. პირველ რიგში მწყემსს და საქონლის პატრონს დაკითხავდნენ. თუ ფეჴონი მწყემსის განმარტებას შეიწყნარებდა და მას უდანაშაულოდ ცნობდა, დანაკარგი აუნაზღაურებელი რჩებოდა. ამგვარი შემთხვევის გამო შატილში შეკრებილ ფეჴონზე თვითონ დასწრებია გ. ჩაჩაშვილი, რის შესახებად საკმაოდ ვრცელი საკუთარი ეთნოგრაფიული მასალა აქვს მოტანილი მონოგრაფიაში. აღწერს რა აღნიშნულ ყრილობას, დასასრულს მიუთითებს, რომ „თქმა არ უნდა, ჩვენს მიერ ნახული და აღწერილი სოფლის კრების სურათი სისავსით არ ასახავს ხევსურეთის სოფლის ყრილობის ძველ სახეს, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველყოფილ დემოკრატიულ პრინციპებზე აგებულ სოფლის ყრილობას, რომელსაც ხევსურეთის წარსულში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ამას მრავალი მიზეზი მოეპოვება. მთავარი მიზეზი კი ხევსურეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალ–ეკონომიკური ძვრებია. მაგრამ აღწერილი კრება მაინც საყურადღებოა, როგორც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის მკრთალი ანარეკლი“.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, მწყემსის დაქირავება ძირითადად მთაში გარეკილი საქონლისათვის ხდებოდა. ამ საქონელს კი შეადგენდა არამეწველი–ბერწი ძროხები და ცალკე კიდევ „ხარავანი“.[58]

მთაში „ხარავანის“ გარეკვის შემდეგ, „წილის საქონლის“ მწყემსობის საქმეც უნდა მოეგვარებინა სოფლის ყრილობას. „წილის საქონლის“ – მეწველი საქონლის მწყემსვა სოფლის

მოსახლეობას ევალებოდა რიგ–რიგობით. სოფლის თითოეულ მეკომურს ევალებოდა თავისი ძროხები სოფლის ნახირში გაეერთიანებინა. თუ რომელიმე მეკომური ამ წესს დაარღვევდა და თავისი საქონლის მწყემსვას ცალკე დაიწყებდა, სოფლის ყრილობა მათ აიძულებდა საერთო წესს დამორჩილებოდა. თუ ეს ზომა არ გასჭრიდა, მაშინ ასეთი სიჯიუტე სოფლის პირის გატეხვას ნიშნავდა. სოფლის წყენა–შეურაცხყოფა კი შეიძლებოდა ურჩი მეკომურის და მისი საქონ–ნაქონის დარისხებით დასრულებულიყო. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა გ. ჩაჩაშვილს არა მხოლოდ თავის მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალაზე, არამედ არსებულ წერილობით მონაცემებზე [59] დაყრდნობით აქვს გავლილი.

საინტერესოდაა ნაჩვენები მონოგრაფიაში, თუ რა პრინციპით ხდებოდა შრომის დანაწილება მწყემსობაში. მისი დაკვირვებით „მწყემსობაში შრომის დანაწილების გარკვეული პრინციპიც არსებობდა“, რის საფუძველზეც „ხარავანსა“ და ცხვარს მამაკაცი მწყემსავდა, ხოლო ძროხებს კი დედაკაცი აბალახებდა.

პროფ. გ. ჩაჩაშვილი თავის მონოგრაფიაში მხოლოდ ვიწრო საკითხებით არ იფარგლება. მთელ რიგ ზოგად საკითხებზეც ფართო მსჯელობა აქვს გაშლილი. ნიმუშად დავასახელებთ მხოლოდ ერთს – სოფელს. იგი იმოწმებს მ. ბალიაურის მასალას იმის შესახებ, რომ „ხევსურეთში მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს სოფელი აწესრიგებდა“, აღნიშნავს, რომ „მ. ბალიაურის მიერ ხმარებული სიტყვა „სოფელი“, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენ ადამიანთა გარკვეული კოლექტივის მნიშვნელობით გვესმის. ეს ტერმინი ხევსურეთშიც დასახლების ტერიტორიულ ერთეულთან ერთად, სოფლის მოსახლეთა მთლიან კოლექტივსაც აღნიშნავს. მაგრამ მას, ჩვენი აზრით, უფრო ვიწრო მნიშვნელობაც აქვს. იგი სოფლის მოსახლეობის იმ კოლექტივსაც გამოხატავს, რომელიც

სოფლის ცხოვრების საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს აწესრიგებდა წარსულში. ჩვენი მასალებით დადასტურდა, რომ ხევსურეთის სოფლებში ადამიანთა ასეთი კოლექტივი იყო სოფლის ყრილობა, ანუ ფეჯონი, რომელიც სოფლის სრულწლოვანი მამაკაცებისაგან შედგებოდა. გ. ჩაჩაშვილს ამგვარი მოსაზრების საფუძველს აძლევს აკად. ს.ჯანაშიას მსჯელობა ტერმინ „ერი"–ს შესახებ. საბოლოოდ პროფ. გ.ჩაჩაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხევსურეთში მესაქონლეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი სოფლის საერთო მნიშვნელობის საგანს შეადგენდა. აღნიშნულ ყოველგვარ საკითხზე ყრილობის დადგენილება სოფლის თითოეული ოჯახისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა, „სოფლის პირის ჩამშლელი კი სოფლის წინაშე ჩვეულების მთელი სისასტიკით აგებდა პასუხს. განხილული მასალა ამავე დროს ააშკარავებს კოლექტიური საკუთრების გარკვეულ გადმონაშთებს სოფლის ფარგლებში".[60]

ცალკე ქვეთავად გამოყოფილია ერთ–ერთი საინტერესო პრობლემა, რომელსაც პროფ. გ. ჩაჩაშვილი თავის მონოგრაფიაში ეხება. ეს არის საფეჯნოს მიერ „მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის მოწესრიგება და სოფლის თავდაცვა". არსებული მასალის შესწავლის საფუძველზე იგი მიუთითებს, რომ „ფეჯონი ანუ სოფლის ყრილობა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფელზე მტრის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში". შიშიანობის დროს, საფეჯნოში სოფლის მამაკაცობა იკრიბებოდა და ტყვია–წამლის დამზადებასთან ერთად ფეჯონი სოფლის თავდაცვისათვის გარკვეულ ღონისძიებას სახავდა და ახორციელებდა.

შატილის საფეჯნოს როლი სოფლის თავდაცვის საქმეში იმ მხრივაც იყო საგულისხმო, რომ თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლისათვის საჭირო ტყვია–წამალი იქ წინასწარვე მზადდებოდა საკმაო რაოდენობით. მტრის თავდასხმის მოლოდინისას, შექმნილი ვითარების განსჯისათვის და

სათანადო ღონისძიებების მიღებისათვის, საფეხნოში სახელდახელოდ იკრიბებოდა ფეხონი — სოფლის სრულწლოვან მამაკაცთა ყრილობა. პროფ. გ. ჩაჩაშვილი საგანგებოდ განიხილავს სოფლის საზოგადო საკუთრებაში მყოფი საძოვრებისა და სათიბების დაცვა–გამოყენების საქმეში საფეხნოს როლს. მესაქონლეობის /რომელიც ხევსურეთის ეკონომიკის ძირითად დარგს წარმოადგენდა/ განვითარების ერთ–ერთ წინაპირობას სათანადო საძოვრებისა და სათიბების არსებობა განსაზღვრავდა. მათი გამოყენება კი, სოფლის ფარგლებში, მხოლოდ სოფლის ყრილობის მიერ დაწესებული ნორმების შესაბამისად ხდებოდა. ავტორი აქვე დასძენს, რომ ამ საკითხის შესახებ ჩვენ უშუალოდ შატილის მასალები არ მოგვეპოვება" და მისი ახსნისათვის იშველიებს საერთოდ ხევსურეთის შესახებ არსებულ წერილობით მონაცემებს /ნ. მაჩაბელი, მ. კოვალევსკი, ნ. ხიზანიშვილი, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე, ა. ოჩიაური/ და ასკვნის, რომ სოფლის საძოვრები და სათიბები ძველად ხევსურეთში საერთო საკუთრებაში იმყოფებოდა და მათი გამოყენების საკითხებს ხალხის ყოფა–ცხოვრებაში საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ადათის მიხედვით სოფლის ყრილობა აწესრიგებდა. ეს გარემოება, უეჭველია, მთელი ხევსურეთისათვის და მათ შორის შატილისთვისაც იყო დამახასიათებელი. სოფლის ყრილობის ეს ფუნქცია კი ბუნებრივია საფეხნოში უნდა ყოფილიყო განხორციელებული.

პროფ. გ. ჩაჩაშვილმა, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის მონოგრაფიაში სასოფლო ხიდებისა და გზების შეკეთებაში საფეხნოს ფუნქციას — სასოფლო ყრილობის გადაწყვეტილებებს. არსებულ წერილობით მონაცემებსა და საკუთრივ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე მან შესანიშნავად განსაზღვრა თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხევსურთა ყოფაში, არა მხოლოდ მეზობლებთან ურთიერთობის საქმეში,

არამედ საშინაო მიმოსვლისათვის, არსებულ გზებსა და ბილიკებს, რომლებიც მაღალ მთებსა და ციცაბო კლდეებზე გადიოდნენ. რადგან მათ ხევსურეთის სოფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ თითოეული სოფელი დაინტერესებული იყო ამ გზების დაცვითა და შეკეთებით.

პროფ. გ.ჩაჩაშვილი შატილის საფეხნოსა და ხევსურული ფეხონის კვლევისას არ იფარგლება მხოლოდ ამ კუთხის ეთნოგრაფიული მასალებითა და წერილობითი მონაცემებით. თავისი შეხედულების /შატილის საფეხნო და ხევსურული ფეხონი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში პირველყოფილი–თემური საზოგადოების რღვევის საფეხურის სოფლის თემის მამულავნებელ გადმონაშთებს შეიცავდა/ განსამტკიცებლად მკვლევარი პარალელებს ეძიებს სხვა ქართველ და კავკასიელ ტომთა წარსულ სოციალურ ვითარებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მან საგანგებოდ შეისწავლა სვანური „სოფლობ"–სოფლის ყრილობა, რომელიც აწესრიგებდა სასოფლო საქმეებს და რომელიც შედგებოდა სოფლის სრულასაკოვანი მამაკაცების საკრებულოსაგან. ხევსურული ფეხონისაგან განსხვავებით, „სოფლობ"–ზე დედაკაცსაც ჰქონია უფლება მონაწილეობის მიღების უფლება. განსაკუთრებით თუ იგი გონიერი და ჭკვიანი ადამიანის სახელით იყო ცნობილი. იგი აქვე მიუთითებს იმ განსხვავებასაც, რომელიც ფეხონსა და სოფლობ–ს შორის არსებობდა: 1/ დედაკაცის დასწრება ხევსურეთში გამორიცხული იყო, სვანეთში კი შეიძლებოდა; 2/ სვანეთში „სოფლობ"–ს სოფლის მახვში თავმჯდომარეობდა და გადაწყვეტილებათა განხორციელებაც მას ევალებოდა; ხევსურეთში კი ფეხონი ყოველგვარი თავმჯდომარის გარეშე აწესრიგებდა საქმეს და აღმასრულებელიც მთელი კოლექტივი იყო. მიუხედავად ამ განსხვავებისა, გ. ჩაჩაშვილი ორივეს ანალოგიურ საზოგადოებრივ მოვლენად მიიჩნევს,

რომელიც სოფლის თვითმმართველობის ჩანასახს წარმოადგენდა.

ხევსურული ფეჴონის საინტერესო პარალელად იგი მოხეურ „ერთობას", თუშურ „ბეხვნე"–ს, რაჭულ „სანახშოს", ოსურ „ნიხასს", ჩაჩნურ „ფაჲელს"–საც მიიჩნევს და დაწვრილებით მიმოიხილავს თითოეულ მათგანს. ერთობის შესახებ არსებულ წერილობით მასალებისა და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „მოხეური ერთობისა და ხევსურული საფეჴნოსა და ფეჴონის მნიშვნელოვან შეხვედრებთან გვაქვს საქმე, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში როგორც პირველი, ისე მეორე ერთი და იმავე რიგის მოვლენას წარმოადგენდა.

თუშურ „ბეხვნესთან" დაკავშირებით აღნიშნავს: ხევსურული საფეჴნოს მეტად საყურადღებო სახესხვაობაა მოცემული თუშური ბეხვნე–ს სახით. ტერმინთა იგივეობა ეჭვს არ იწვევს, ფეჴონი და ბეხვნე ერთი და იმავე ტერმინთა სახესხვაობაა. ავლებს რა პარალელებს ფეჴონსა და ბეხვნეს შორის მიუთითებს, ხევსურული საფეჴნოსა და თუშური ბეხვნეს შედარებიდან ერთი გარემოება აშკარად ჩანს: ორივე სოფლის მამაკაცთა საკრებულოა, სადაც ქალთა მონაწილეობა სავსებით გამორიცხული იყო. აქვე მიუთითებს, რომ შატილის საფეჴნოსა და თუშური ბეხვნეს ძირითად, დამახასიათებელ ნიშანთა თანხვედრასთან გვაქვს საქმე იმ განსხვავებით, რომ შატილის საფეჴნო ნაგებობის სახით იყო შემონახული, თუშური ბეხვნე კი ღია ცის ქვეშ იყო გამართული.

პროფ. გ. ჩაჩაშვილი ერთმანეთს უდარებს რა ხევსურულ „ფეჴონს", რაჭულ „სანახშოს" და ოსურ „ნიხასს",[61] აკეთებს დასკვნას: შეიძლება ითქვას, რომ ხევსურული სოფლის ყრილობა ოსურ მოსახლეობაშიც ჰპოვებს თავის ანალოგიას; ხოლო ოსურიდან რაჭულში შესული, მაგრამ ქართულად გაფორმებული ტერმინი „სანახშო" თავისი

შინაარსით ზოგადად სოფლის საკრებულო ადგილის აღმნიშვნელი სახელწოდების, კერძოდ კი, თუშური ბეხვნესა და ხევსურული საფეჴნოს შესატყვისია.[62]

საფეჴნოს მსგავსი საკრებულო არსებობდა ჩეჩნეთშიც, რომელსაც „ფჰძელ" ეწოდებოდა. პროფ. გ. ჩაჩაშვილმა, შეისწავლა რა მის შესახებ არსებული მასალები, საინტერესო დასკვნამდე მივიდა. მისი აზრით „ფჰძელ—სა და საფეჴნოს შინაარსობრივ დამთხვევასთან ერთად ჩვენს ყურადღებას მათი ბგერითი მსგავსებაც იპყრობს, რის გამოც აუცილებელი ხდება მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევაც. ამ დამოკიდებულების გარკვევა კი ლინგვისტურ კვლევა—ძიებას საჭიროებს, რომლის შესრულებაც, ჩვენთვის, ვითარცა არასპეციალისტისათვის, საძნელოცაა და შესაძლებელია ზოგიერთ ცთომილებასთანაც იყო დაკავშირებული".[63] როგორც ვხედავთ, მან ლინგვისტიკური სამუშაოს შესრულება შეგნებულად სპეციალისტ—ლინგვისტებს დაუთმო.

პროფ. გ.ჩაჩაშვილი შეეცადა წარმოდგენილ მონოგრაფიაში ტერმინ „ფეჴონის" გენეზისის ახსნასაც. მისი ვარაუდით, ქართველ ტომთა ეთნოგრაფიული სინამდვილე ფეჴონი—ს შინაარსის ანალოგიურ შემდეგ ტერმინებს წარმოგვიდგენს: „ბეხვნე", „სოფლობ" /„სოფლობა"/, „ერობა" და სხვ. ამათგან ის ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით ტერმინ „სოფლობ"—ზე /რომელიც გავრცელებული იყო რაჭაში, ქართლ—კახეთში, სვანეთში/. ტერმინ სოფელთან დაკავშირებით აკად. ს.ჯანაშიას მოსაზრებაზე [64] დაყრდნობით მას მიაჩნია, რომ ქართული ტერმინის „სოფელი"—ს ძირის „ოფ" —„უფ" შესატყვისს უნდა წარმოადგენდეს ჩეჩნურ—ინგუშური და მასთან მონათესავე წოვა—თუშური „ფჰ,ე" ანუ „ფჰძე"... როგორც ქართულ, ისე ზოგ ჩრდილო—კავკასიურ ენაში, ტერმინ „სოფელ"—ის მსგავსი ძირების არსებობა დასტურდება და შეიძლება ითქვას, რომ ეს ძირი ამ ენათათვის საერთო ენობრივი ფონდის კუთვნილებაა, რაც

თავის მხრივ, შესაძლებელია, ამ ენათა თავდაპირველი ნათესაობრივი დამოკიდებულებისაგან მომდინარეობს".[65]

შედარებითი მასალის ანალიზის შედეგად გ. ჩაჩაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „სვანური სოფლობ, ხევსურული ფეჴონი, თემური ბეხვნე და ჩაჩნურ–ინგუშური ფჰჲა ეტიმოლოგიურად ქართულ ტერმინ „სოფელთანაა" დაკავშირებული და საერთო ძირითად ნაწარმოები სიტყვებია სოფლის ყრილობის ანუ სასოფლო ერის კრების აღმნიშვნელად".

იკვლევს რა საფეჴნოს თავდაპირველ ბუნებას, პროფ. გ.ჩაჩაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საფეჴნო არა მხოლოდ სოფლის სრულასაკოვანი მამაკაცების საკრებულოს წარმოადგენდა მთელი რიგი სასოფლო საქმეების გადასაწყვეტად, არამედ საფეჴნოშივე ხდებოდა მომავალი თაობის /ვაჟების/ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდაც, ვინაიდან ფეჴონის სახით სოფლის მოსახლეობის /მამაკაცების/ საზოგადოებრივი აზრი იყო წარმოდგენილი, რომლისადმი ანგარიშის გაწევის გარეშე არცერთ ხევსურს თავის მიწა–წყალზე არ დაედგომებოდა.

აქვე აკრიტიკებს იგი ვ. გურკო–კრიაჟინს, რომელიც საფეჴნოს მამაკაცთა სახლების არსებობის ერთ–ერთ ნიშანდობლივ მხარედ თვლიდა. გ. ჩაჩაშვილის აზრით მამაკაცთა სახლები საზოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია დამოწმებული და საილუსტრაციოდ იმოწმებს გ. შურცს და მის ნაშრომში მითითებულ ლიტერატურას, ს. ტოკარევს, ნ. ზიბერს და ა.შ.

იგი აქვე აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ შატილში მისული უცხო სტუმარი ჩვეულებრივ საფეჴნოში მიდიოდა, საიდანაც მას რომელიმე იქ მყოფი მამაკაცი მიიპატიჟებდა და უმასპინძლებდა. მისი ვარაუდით ეს ჩვეულება შეიძლება იმ დროის გადმონაშთი იყოს, როდესაც საფეხნო თავისი ძირითადი დანიშნულებით სოფლის მამაკაცთა სახლს

წარმოადგენდა, სადაც უცხო სტუმარიც ღებულობდა თავშესაფარს.[66]

იკვლევს რა საფეჴნოში ახალგაზრდა ვაჟების აღზრდა–მომზადებას, გ. ჩაჩაშვილი მიუთითებს, რომ საფეჴნოში გაერთიანებული ახალგაზრდები სამონადირეო და საომარ იარაღს უნდა ყოფილიყვნენ დაუფლებულნი. ასეთი წვრთნა კი მათ სწორედ უცოლო ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ სახლში უნდა გაევლოთ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხევსურულ საფეხნოსთან დაკავშირებული მოზარდთა საბრძოლო წვრთნა, სადაც ბავშვი იარაღის ხმარებას ეუფლებოდა. აანალიზებს რა მის ხელთ არსებულ ყოველგვარ მასალას ამ საკითხზე, მიდის იმ სავარაუდო შეხედულებამდე, რომ შატილის საფეჴნო შესაძლებელია ოდესღაც გაერთიანებული უცოლო ახალგაზრდების თანაცხოვრების გადმონაშთად იქნეს მიჩნეული.[67]

შეიძლება ითქვას, რომ არსებული ეთნოგრაფიული მასალებისა და ლიტერატურის ურთიერთშეჯერება–ანალიზის შედეგად პროფ. გ. ჩაჩაშვილმა საინტერესო დასკვნები გააკეთა:

1/ შატილის საფეჴნო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შატილიონთა ცხოვრებაში. იგი სოფლის ცხოვრების ისეთი ცენტრი იყო, რომლის გარეშე ვერცერთი შატილიონი სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. როგორც საფეჴნო ნაგებობა, ისე საფეჴნოში მოთავსებული ინვენტარი სასოფლო იყო და სოფლის მოსახლეთა კოლექტიურ საკუთრებას შეადგენდა.

2/ აღნიშნული გარემოება საფეჴნოს წარმოშობა–განვითარებისა და მისი ბუნების დასადგენ საყურადღებო მაჩვენებლებს შეიცავს და მისი ხევსურეთის ძველი სოციალური ურთიერთობის გარკვეული საფეხურისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ საფეხნოში გადმონაშთის სახით შემონახული პირველყოფილ–თემურ წყობილების სხვადასხვა

საფეხურისათვის დამახასიათებელი კოლექტიური საკუთრება ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვაროვნული ურთიერთობის აშკარად მამჟღავნებელ გადმონაშთებს აღარ შეიცავს. ე.ი. საფეჴნოში დადასტურებული კოლექტიური საკუთრება გვარისა კი არ არის, ან მისი რომელიმე განაყოფისა, არამედ სოფლისა /კერძოდ შატილის/, რომელიც სხვადასხვა გვარის განშტოებებითაა დასახლებული. ამდენად შატილის საფეჴნო, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მონაცემების მიხედვით, პირველყოფილი თემური ურთიერთობის რღვევის პროცესის სოფლის თემისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს.

3/ სოფლის კრება ფეჴონი აწესრიგებდა სოფლის ცხოვრების ისეთ საკითხებს, რომლებიც სოფლის საერთო მზრუნველობის საგანს შეადგენდა და გარკვეული კოლექტივის საერთო ინტერესებს შეეხებოდა. სოფლის კრება, მამაკაცთა ხაზით, დემოკრატიულ საწყისებზე იყო დაფუძნებული და სოფლის მოსახლეობის საერთო ნება–სურვილს და საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდა. სოფლის კრებას ეკითხებოდა სოფლის სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საკითხები და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლის თავდაცვის საქმიანობაში მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში. ამ მხრივ, სოფლის კრება, ფაქტიურად, შეადგენდა იარაღასხმულ იმ სახალხო ლაშქარს, რომელიც სოფელს მტრის შემოსევისა და ძალადობისაგან იცავდა. სოფლისავე კრებას ეკითხებოდა სოფლის ფარგლებში ზნეობრივი ნორმების დარღვევის ზოგიერთი შემთხვევაც /მოგვარე ქალზე ძალმომრეობა; მშობლების ცემა და სხვ./ სოფლის კრების დადგენილების შესრულება სავალდებულოო იყო სოფლის თითოეული მოსახლისათვის. გადაწყვეტილების დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე ჯარიმას იხდიდა, უკიდურეს შემთხვევაში, მოიკვეთებოდა.

4/ შატილის მაგალითზე, ფეჴონის საზოგადოებრივი

ფუნქციების განხორციელება ძირითადად საფეხნოში ხდებოდა. საფეხნოს კი სხვა ფუნქციებიც მოეპოვებოდა. პირველყოვლისა, იგი სოფლის მამაკაცთა მუდმივი საკრებულოს ფუნქციას ასრულებდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხევსური მოზარდი თაობის /ვაჟების/ აღზრდასა და მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში.

5/ ფეხონი პირველყოფილი დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულ სოფლის თვითმმართველობის ერთ–ერთ სახეობას წარმოადგენდა, რომლის ფუნქციები საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ადათის საფუძველზე ანდრეზების მიხედვით ხორციელდებოდა და თითოეულ ცალკე შემთხვევაში მათი გამოვლინება კონკრეტულ მოვლენასთან იყო დაკავშირებული. მოტანილი მასალა იმავე დროს ცხადყოფს, რომ საფეხნოში ისეთი საკითხები ირჩეოდა, რომლებიც აშკარად აღარ ამჟღავნებდნენ გვაროვნული ურთიერთობის ელემენტებს და ამდენად თვითონ ფეხონიც – სოფლის ყრილობაც – გვარისა და მისი რომელიმე განშტოების საგვაროვნო კრებას კი არ წარმოადგენდა, არამედ სოფლის მამაკაცთა ყრილობას. სავარაუდოა, რომ გვაროვნული ურთიერთობის პრინციპებში ფეხონი გვარის ან მისი ცალკეული განშტოების დემოკრატიულ ორგანოს წარმოადგენდა და საგვაროვნო ურთიერთობის საკითხებს აწესრიგებდა.

6/ განხილული მასალა ფეხონის, როგორც სოფლის მამაკაცთა ყრილობის საზოგადოებრივი ფუნქციების მამჟღავნებელია და ამ მოვლენის არა მარტო დადგენის, არამედ მისთვის საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხურისათვის ადგილის მიჩენის შესაძლებლობასაც იძლევა. მასში წარმოდგენილია ისეთი მონაცემები, რომლებიც ხევსურთა ყოფა–ცხოვრებაში გვაროვნული ურთიერთობის რღვევის მაჩვენებლებს შეიცავენ. ფეხონი რომელიმე სოციალური ერთეულის გაერთიანებას კი

არ წარმოადგენდა, არამედ გარკვეულ ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელში მოსახლე სრულწლოვან მამაკაცთა დემოკრატიულ ყრილობას, რომელიც მიზნად ისახავდა სასოფლო საქმეთა გარიგებას.

7/ სოფლის ყრილობაზე – ფეჴონზე მონაწილეობა სისხლით ნათესაობის მიხედვით კი არ იყო განსაზღვრული, არამედ სოფელში მოსახლეობის მიხედვით. ყველაფერი ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ფეჴონი – სოფლის ყრილობა—თავისი ფუნქციებით ხევსურეთის საზოგადოებრივი განვითარების გვაროვნული ურთიერთობის დაშლისა და სოფლის თემის ჩამოყალიბების ვითარების მაჩვენებელია. შატილის საფეჴნო გვაროვნული ურთიერთობის ხანაში შატილიონთა ნათესაური ჯგუფის საკრებულოს წარმოადგენდა, სადაც ამ სოციალური ერთეულის ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა.

8/ „გვაროვნული ურთიერთობიდან გამომდინარე ხევსურული ფეჴონი სოფლის თემის მამუღავნებელი ზოგიერთი გადმონაშთის შემცველია და ე.წ. პირველყოფილი დემოკრატიის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენდა. მაგრამ ვიდრე ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სოფლის თემის საკითხი ყოველმხრივ შესწავლილი არ არის /განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი განვითარების ამ საფეხურის მამუღავნებელი ეკონომიკური ურთიერთობის გადმონაშთები/ უფრო შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობაც გაძნელებულია".[68]

9/ გარდა ამისა, ფეჴონს გარკვეული ზეგავლენა ჰქონდა მოზარდ თაობათა აღმზრდელობით საქმიანობაში. ახალგაზრდების /მამაკაცები/ მომწიფება, დავაჟკაცება და ზოგადი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ძირითადად საფეჴნოში უფროსთა მეთვალყურეობით ხდებოდა. ეს გარემოება კი იმ ძველ ტრადიციებზე უნდა მიუთითებდეს, რაც საფეჴნოს თავდაპირველი ბუნებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, როცა უცოლო ახალგაზრდობა

თავისი მომწიფების პერიოდს საფეხნოში ატარებდა, საბრძოლო წვრთნას გადიოდა და ცხოვრების პრაქტიკულ გამოცდილებას იძენდა მამაპაპური ზნე–ჩვეულების საფუძველზე. როგორც ჩანს, საფეჴნოში გაერთიანებული უცოლო ახალგაზრდობა სხვა სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდა.

10/ საფეჴნო სოფლის მამაკაცთა ყოველდღიურ სანუკვარ საკრებულოს წარმოადგენდა, სადაც ისინი საუბარსა და ხელსაქმეობაში ატარებდნენ დროს. ახალგაზრდები იქ მოხუცებისაგან ძველ ანდრეზებსა და ყოფა–ცხოვრებას ეცნობოდნენ. სოფლის მამაკაცთა ასეთი მუდმივი შეკრებულობა ეგების მამაკაცთა სახლში გაერთიანებულ მამაკაცთა კოლექტიური ცხოვრების ნაშთს წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში, აქ საქმე გვაქვს ძველი საზოგადოებრივი ვითარების ამსახველ გადმონაშთთან, რომელიც მიუთითებს, რომ საფეჴნო სოფლის მამაკაცთა ყრილობისათვის განკუთვნილ ნაგებობად საზოგადოებრივი განვითარების მომდევნო საფეხურზე გადაიქცა, აღნიშნავს იგი. საფეჴნოს შესახებ კი მისი საბოლოო დასკვნა ასეთია: „დღეობა „გამოცხადება“–ს დაკავშირება საფეჴნოსთან, საფეჴნოში ფეხის ჩაცმის ჩვეულება, სოფლის მამაკაცების სისტემატური შეკრებილობა სასაუბროდ თუ სახელსაქმოდ და სხვა, საფუძვლიანს ხდის დასმულ საკითხს იმის შესახებ, რომ საფეჴნო თავდაპირველად ე.წ. მამაკაცთა სახლების ანალოგიურ სახეს, ანუ უცოლო ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ სახლს წარმოადგენდა“. აქვე ეხება რა ქალთა შესაკრებელს „სანაქო“–ს, აღნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება იდენტური იყოს ფეჴონისა, რადგან მას მთელი რიგი თავისებურებანი გააჩნია.

ავტორისეული კვლევით, ხევსურული ფეჴონისა და საფეჴნოს პარალელები მეტ–ნაკლებად სხვა ქართულ და კავკასიურ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დასტურდება.

# თავი III

## *პროფ. გერცელ ჩაჩაშვილი და სამუზეუმო საქმიანობა*

ეთნოგრაფიული მუშაობის პირველი აკვანი სახელმწიფო მუზეუმში დაირწა XX ს. 20-იან წლებში. ამ დროს ეთნოგრაფიული მუშაობა ძირითადად სამუზეუმო ხაზით მიმდინარეობდა. ქართველ ეთნოგრაფთა პირველმა თაობამ თავისი პრაქტიკული სამეცნიერო მოღვაწეობა მუზეუმიდან დაიწყო დროთა განმავლობაში მუზეუმი იქცა ეთნოგრაფთა მეცნიერული გამოცდილებისა და პრაქტიკული დასპეციალების საუკეთესო სკოლად. [69]

1921 წლიდან მუზეუმის რეორგანიზაციასთან ერთად მიმდინარეობდა ნივთიერი მასალის გადაბარება, აღრიცხვა, ახალი მასალის მოძიება და დაუნჯება. მუზეუმში მოღვაწეობენ აკად. გ. ჩიტაია, პროფ. ვ.ბარდაველიძე, ს.მაკალათია, ს. იორდანიშვილი სტ. მენთეშაშვილი, მოგვიანებით რ. ხარაძე, ფ.ქიქოძე, ლ. ბოჭორიშვილი, ალ. რობაქიძე და სხვები.

ამ მცირე ჯგუფმა თავის თავზე გადაიტანა დარგის სიმძიმე, პირველი სიხარული თუ გამარჯვებები. დიდი შრომისა და მონდომების ფასად უმოკლეს დროში გადალახულ იქნა ყველა სიძნელე, ეწეოდნენ ფართომასშტაბიან საექსპედიციო მუშაობას, მძიმე საფონდო სამუშაოებს, ექსპონატების შეგროვებას და ა.შ.

1925-1926 წწ. დასრულდა მუზეუმის რეორგანიზაციისა და აღდგენის პერიოდი. ახლად ჩამოყალიბებული დარგისთვის ძირითად ამოცანად იქცა მყარ საფუძველზე შექმნილი გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება; ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მასალის ფიქსაციის სწორი მეთოდების დადგენა. ამ პერიოდში ქვეყნდება პირველი ეთნოგრაფიული გამოკვლევები გ. ჩიტაიას, ს. მაკალათიას, ვ.ბარდაველიძის და ა.შ.

გ. ჩიტაიამ ჩამოაყალიბა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების მომავალი ამოცანები და მუშაობის მეთოდი;[70] შეაფასა რა ეთნოგრაფიული მუშაობის იმდროინდელი ვითარება, მან პირველი რიგის ამოცანად გამოაცხადა გაქრობის გზაზე დამდგარი ძველი ყოფის ამსახველი მასალის დროული მეცნიერული ფიქსაცია, რადგან კულტურისა და ყოფის რადიკალური გარდაქმნის პროცესის დაჩქარებამ მასალის გაქრობის საფრთხე შექმნა. ეხება, რა ეთნოგრაფიული ფაქტის ფიქსაციის მნიშვნელობას ეთნოგრაფიისათვის, იგი აღნიშნავს: „პირველ ყოვლისა, საჭიროა ფაქტის დეტალური სისრულით აღნუსხვა, სადაც სიფრთხილით უნდა აღდგენა და ფაქტის ყოველმხრივ დანახვის გაადვილება, რაგინდ ცხოვრების წვრილმანს არ უნდა წარმოადგენდეს ეს ფაქტი და ცხოვრების სულ უკანასკნელი ფენების რკალში არ უნდა შედიოდეს იგი. შემჩნეულია, რომ წვრილმანი თავისი ერთი შტრიხით, ხშირად იძლევა ცხოვრების უდიდესი საკითხების ახსნას. ფაქტების განზოგადება, ტიპოლოგიის შედგენა, და თვით შედარებითი მეთოდის მომარჯვებაც კი დეტალების ამგვარად დამუშავების შემდეგ ადვილად შესასრულებელი ხდება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მკვლევარი დაზღვეული შეცდომებისგან, რომ სხვადასხვა ეპოქებისა და დამოუკიდებელ კულტურულ რკალთა ობიექტების ზერელე შედარებით და უნიადაგო ანალოგიებით არ დააბნელოს გამოსარკვევად მოცემული საკითხები. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო მითითება. შემდგომი ეხებოდა მეცნიერულ შემგროვებლობით მუშაობის მეთოდს: „საქართველოში და კავკასიაში, მის მკვიდრ ხალხთა შორის... შემონახულია პირველყოფილობის რელიექტიური მოვლენები, რომელთა გვერდით მაღალი კულტურის მიღწევებია და მრავალნი ისტორიული ფაქტები. ამიტომ ამ ხალხთა შესწავლისათვის საჭიროა ორმაგი ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მეთოდი."[71]

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების გარიჟრაჟზე საჭირო იყო უპირველესად კვლევა-ძიების მეთოდის შემუშავება და საველე მუშაობის გაშლა. 1921-30-იან წლებში დიდძალი ნივთიერი მასალა იქნა შეგროვებული: სამუზეუმო ნივთები, ტანსაცმელი, შრომის იარაღი, ადამიანთა შრომითი საქმიანობის, მისი შემოქმედების გამომსახველი ნივთიერი მასალა და ა.შ.

1922 წლიდან გაიშალა ფართო საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა საქართველოს მასშტაბით. 1922 წ. შედგა აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1923 წ. - სამეგრელოს, 1923-24 - მესხეთის, 1925 -კახეთის, 1926 - აღბულახ-წალკის, კავთურის ხეობის, 1927-29 - ხევსურეთის, 1930 - ქვაბლიანის, 1931 - სვანეთისა და ხევსურეთის.

ამ ექსპედიციების ბაზაზე და ცალკეული მივლინებების შედეგად მოპოვებულ იქნა დიდი რაოდენობის მანამდე უცნობი და მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალა, სამუზეუმო ექსპონატები და შეიქმნა მყარი ბაზა სამეცნიერო მუშაობის გასაფართოებლად.

1928 წ. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებულ იქნა „ეთნოგრაფიული გამოფენის დეტალიზებული პროგრამა", რომელიც ვარაუდობდა საგამოფენო ექსპონატების კომპლექსში, ყოფითი მოვლენების მატერიალური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ერთობლიობაში ჩვენებას. ორიენტაცია იქნა აღებული საქართველოს ორი რეგიონის - სვანეთისა და ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის ჩვენებაზე. 1931 წ. გაიხსნა ხევსურეთის ძველი და ახალი კულტურის ამსახველი პირველი ეთნოგრაფიული გამოფენა, 1933 წ. სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. ამ გამოფენებმა 1952 წლამდე იარსება.

ეთნოგრაფიის მეცნიერების ძირითად კერას 1938 წლამდე წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 1938 წლიდან ჩნდება ეთნოგრაფიის მეორე კერა - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი ენის, ისტორიისა

და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის სახით, რომელმაც გამოიწვია მუზეუმის სამეცნიერო კადრების გადანაცვლება. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება თავის საქმიანობას განაგრძობს საგამოფენო, საფონდო, საექსპედიციო, სამეცნიერო და საგამომცემლო პროფილით.

ამ პერიოდიდან მუზეუმში იწყება აქტიური საგამოფენო საქმიანობა. ეწყობა რეგიონალური გამოფენები: ქართული კოსტუმი /1939 წ/, ჩუქურთმა ხეზე /1939 წ/, კავკასიური ხალიჩები /1938 წ/, საბრძოლო იარაღები /1940 წ/, ყველა ეს გამოფენა საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენას/ ექვსი საექსპოზიციო ოთახი/, რომლის ძირითადი პრინციპი იყო ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის სპეციფიკის წარმოჩენა საწარმოო ყოფაში, მატერიალურ და სულიერ სამყაროში.

ამ პერიოდშივე დაისვა საკითხი სამუზეუმო გამოფენებისათვის მეგზურის შედგენის შესახებ. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავდა მეგზურის შედგენის ძირითადი პრინციპები, რომელიც შემდეგ ამოცანებს სახავდა.

1. ამჟამად, როდესაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს დაბეჭდილი მეგზური არა აქვს, საჭიროა დამზადდეს ცალ-ცალკე მეგზურები თვითოეული გამოფენისათვის. არსებული მეგზურები შემდეგ ძირითად სახეებად ნაწილდებიან: ა /მეგზური სტატისტიკურ-აღწერილობითი ხასიათის/კოლექციების ჩამოთვლაა ადგილმდებარეობის მიხედვით/ და ბ /მეგზური დინამიკურ-სისტემატიკური ხასიათის /ეპოქების, თემების, ქვეთემების მიხედვით/.

2. მეგზურის როგორც ერთ, ისე მეორე სახეობას შეიძლება ჰქონდეს შესავალი, სადაც მოცემულია ცნობები მუზეუმის დაარსებისა და განვითარების შესახებ; განმარტებულია მუზეუმის მიზანი და ამოცანები; ფიქსირებულია მუზეუმის გამოფენების დათვალიერებისა და კოლექციების გამოყენების წესები; დასახელებულია მუზეუმის ექსპოზიციები...

3. მეგზურის ძირითადი დანიშნულებაა მოემსახუროს მნახველს გამოფენების უკეთ გაგების საქმეში.

4. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ მეგზური ამოდიოდეს გამოფენების ძირითადი პრინციპებიდან. რამდენადაც გამოფენის პრინციპები გამომდინარეობენ მუზეუმის მიზნებისა და ამოცანებისაგან, ამდენად მეგზურის შედგენილობის პრინციპებიც მუზეუმის მიზანსა და ამოცანებს უნდა პასუხობდეს.

5. რამდენადაც საქართველოს მუზეუმის გამოფენები უმთავრესად კულტურულ-ისტორიულ პრინციპზეა აგებული, ამდენად მეგზური ჩვენი გამოფენების კულტურულ-ისტორიული პრინციპებიდან უნდა მოდიოდეს"...

1950 წლიდან სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება ძლიერდება ახალი კადრებით. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან სამუშაოდ გადმოდის გ. ჩაჩაშვილი.

1950-54 წწ. იგი მუშაობს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1954-1958 წწ.- ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ, 1958-1962 წწ.- უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

გ.ჩაჩაშვილი სამუზეუმო საქმიანობის პარალელურად იწყებს სამუზეუმო კოლექციების პოპულარიზაციას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა" გამოფენის მოწყობაში /1955 წ/. „კავკასიის ხალხთა კოსტუმი XIX ს". /1958წ/. კავკასიური კოსტუმის ძირითადი ელემენტი უნდა ყოფილიყო ტიპაჟი თავისი ჩაცმულობით, ფონდებში დაცული მდიდარი მასალა თემატური გამოფენის მოწყობის საშუალებას იძლეოდა.

უპირველესი მნიშვნელობა ეძლეოდა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ ტანსაცმელს. ეს მასალა ყველა სხვა წყაროსთან შედარებით რეალურად შეიცავდა მოცემული ჩაცმულობის ფაქტურას, თარგებს, შემკულობას, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების ჩვევებს და სხვ. რაც არც ერთ სხვა წყაროს არ გააჩნია.

კავკასიელების ნაციონალურ კოსტუმს საფუძვლად უდევს ზოგადკავკასიური ტიპი, რომლის ნიადაგზე მრავალი ადგილობრივი ნაირსახეობაა შექმნილი.

გამოფენა მიზნად ისახავდა კავკასიის ხალხების კოსტუმის ნაირსახეობის ჩვენებას და ამასთან იმ საერთოს ჩვენებას, რაც კავკასიის ხალხებს შეუქმნიათ თავისი შემოქმედების წყალობით და კავკასიელი ხალხების კოსტუმისთვის არის დამახასიათებელი.

## საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა

როგორც ძველი წერილობითი წყაროებიდან, ისე ბერძენი მოგზაურების მიერ დატოვებული მასალებიდან ჩანს, რომ სამუზეუმო საქმის ტრადიცია, კერძოდ, ისტორიულად მნიშვნელოვანი ნივთების შენახვისადმი მიდრეკილება, საქართველოში უძველესი დროიდან უნდა მომდინარეობდეს. ცნობილია რომაელი მოღვაწის არიანეს ცნობა, რომელსაც 184 წელს დაუთვალიერებია კოლხეთის დედაქალაქი ფაზისი და რომის იმპერატორისადმი მიწერილ ბარათში აღუნიშნავს, რომ სხვადასხვა სიძველეებს შორის, რომელსაც რეას სახელობის ტაძრის გალავანში უჩვენებენ, დაცულია ღუზა, რომელსაც არგონავტებისად მიიჩნევენ.

აქ არიანეს ცნობა საინტერესოა იმდენად, რომ იგი საშუალებას გვაძლევს ძველ კოლხეთში ვეძებოთ სამუზეუმო საქმის ტრადიციის საწყისები. [72]

საქართველოს ისტორიის შემდგომ პერიოდებშიც არ შენელებულაეს ინტერესი. ისტორიულად ასეთი ნივთები არა მარტო ტაძრებსა და ეკლესიებში, არამედ სამეფო სალაროებშიც ინახებოდა და სახელმწიფო საკუთრებას

შეადგენდა, ხოლო ქვეყნის შავბედობის წლებში ტრადიციულ სამალავებში გადაჰქონდათ. ჟამთა აღმწერლის ცნობით ხვამლის სამალავში დაცული ყოფილა სამეფო სალაროდან გატანილი ძველი დროიდან მომდინარე კოლექციები. აქ ინახებოდა ვახტანგ გორგასალის ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი, თამარ მეფის პირადი ნივთები და სხვ.[73]

მეორე ასეთ სამალავად „სამების მონასტერი" გამოუყენებიათ, სადაც მცხეთის ტაძრის განძი ინახებოდა.

ქართველ ინტელიგენციაში დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა აზრი მუზეუმის დაარსების შესახებ. მე-19 საუკუნის ქართველი მოწინავე საზოგადოება უკვე გადაჭრით მოითხოვდა ეროვნული მუზეუმის შექმნას. 1952 წ. დაარსებულმა „კავკაზსკი მუზეი"-მ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. ილია ჭავჭავაძე, აღზრდილი ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ტრადიციებსა და მოწინავე იდეებზე, პირდაპირ მოუწოდებდა, რომ ქართველი ხალხის ისტორიის დაწერა შეუძლებელია თუ არ იქნა შეკრებილი მასალები ხალხურ წეს-ჩვეულებებსა და ადათებზე.[74] მისი მეთაურობით შეიქმნა ქართველ ეთნოგრაფთა ჯგუფი, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

გასაბჭოების შემდეგ ჩატარდა სხვადასხვა მუზეუმებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში გაბნეულ კოლექციების კონცენტრაცია ჩვენი რესპუბლიკის უძველეს და უდიდეს მუზეუმში-სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

ამ პერიოდში ეთნოგრაფიის მეცნიერებას ფართო ასპარეზი მიეცა. იგი ყალიბდება დამოუკიდებელ, საკუთარი მეთოდის მქონე მეცნიერულ დისციპლინად. უკუგდებულ იქნა რარიტეტულ-ანტიკვარული მეთოდი მასალების შეგროვებისა, რომელიც იშვიათი ეგზოტიკური ხასიათის მასალების დაგროვებას ვარაუდობდა. მის საპირისპიროდ წამოყენებულ იქნა კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რაც ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების გვერდით, სამუზეუმო ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების და საველე

მუშაობის პრინციპებს ითვალისწინებდა. ამ მეთოდზე დამყარებით ეთნოგრაფიული მოვლენებისა თუ საგნების შესწავლა ხდებოდა ერთი მხრივ კომპლექსში, ე.ი. ყველა იმ მრავალრიცხოვანი საკითხების წრეში, რომელთანაც ესა თუ ის მოვლენა მეტ-ნაკლებად არის დაკავშირებული. ასეთებია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, სოციალური ურთიერთობა და სულიერი კულტურა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს ეთნოგრაფიული მოვლენის ბაზისური და ზედნაშენური ხასიათი. ამ მეთოდის მიხედვით ეთნოგრაფიული მოვლენა შეისწავლება ინტენსიური გზით ჯერ რომელიმე ვიწრო სოციალურ წრეში, შემდეგ დაკვირვების სფერო ფართოვდება, ამასთან მოვლენის ისტორიული სიღრმეცაა გათვალისწინებული. ამ მეთოდის თანახმად, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სიფართე. მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე.[75]

სახელმწიფო მუზეუმში ჩატარებული რიგი კომპლექსურ ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ მოპოვებული სამუზეუმო კოლექციებისა და ძველი ფონდების ბაზაზე მოხდა ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიციის მოწყობა 1954 წ.

თავისი დანიშნულებითა და ხასიათით სახელმწიფო მუზეუმი იყო და არის ეროვნული მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია ქართველი ხალხის კულტურის ისტორია მეცნიერების ცალკეული დარგების მიხედვით. საქართველოს მუზეუმის ეს სპეციფიკური ხასიათი ასახულია მის დარგობრივ და თემატიკურ ექსპოზიციებში, რომლებიც საქართველოს კულტურის ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და პრობლემებისადმია მიძღვნილი. მუზეუმში მოქმედ ექსპოზიციათა შორის როგორც თავისი შინაარსით, ასე მოცულობით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს

ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენას, რომელიც სამუზეუმო საშუალებებით ასახავს ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურას წარსულსა და თანამედროვეობაში. [76]

ეთნოგრაფიული ექსპოზიცია არის გარკვეულ თემაზე მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული და გადამუშავებული სამუზეუმო მასალის თავისებური პუბლიკაცია. მისი მიზანია ყოფის ექსპოზიციის ისტორიზმის საფუძველზე ჩვენება. ეთნოგრაფიული მოვლენების ისტორიზმის ასპექტში წარმოჩენა კი გვარწმუნებს, რომ კულტურის ელემენტები, ეს იქნება ხალხური ტრანსპორტი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, შრომის იარაღი თუ სხვა, შექმნილია საუკუნეთა განმავლობაში ხალხის შრომითი ჩვევების მდიდარი საწარმოო გამოცდილების საფუძველზე. ექსპოზიციაში კულტურის ელემენტების ამ თვალსაზრისით ჩვენება წარმოადგენს თვით ამ კულტურის თვითმყოფად, ხალხის შრომით ჩვევებს, საწარმოო გამოცდილებას და ემპირიულ ცოდნას.

ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პროცესში ქართველმა ხალხმა შექმნა ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი ისეთი ელემენტები, რომლებიც შეადგენენ ქართველი ხალხის კულტურის ძირითად ფონდს. ეთნოგრაფიულ ყოფაში წარმოდგენილი ამ ფონდის მრავალი მონაცემები სამუზეუმო საშუალებებით ასახულია საქართველოს ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე.

გ. ჩაჩაშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის ეს მეგზური ამოდის ზემოთ დასახელებული პრინციპებიდან. იგი ოთხი ნაკვეთისაგან შედგება: 1. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის წინამძღვრები. 2. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის ძირითადი პრინციპები. 3. ქართველი ხალხის ძველი ყოფა და კულტურა. 4. ქართველი ხალხის ახალი ყოფა და კულტურა.

მეგზურში წარმოდგენილია გამოფენილი თემატიკური კომპლექსების, თემებისა და ქვეთემების შინაარსი, მათი მეცნიერული ანალიზი და ყოფისა და კულტურის ზოგიერთი სპეციფიკური მონაცემები ახსნილია, როგორც ადამიანის შრომის ჯამი.

მეგზურის პირველ ნაკვეთში ნაჩვენებია ის წანამძღვარები, რამაც განაპირობა მისი გამოცემა. მეგზური დახმარებას უწევს გამოფენის მნახველებს ექსპოზიციის გაგებაში და ხელს უწყობს მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას ფართო მასებში.

საქართველოს ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზურის შედგენას საფუძვლად დაედო გამოფენის შესახებ არსებული გამოკვლევები და უშუალოდ გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა. ძველი ყოფის ექსპოზიციაში ეთნოგრაფიული მოვლენები ნაჩვენებია კლასობრივ ჭრილში. მაგ.: გამოფენაზე წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლები, ერთი მხრივ ქართველი გლეხის სახლი და მეორე მხრივ, მის საპირისპიროდ მემამულის საცხოვრებელი დარბაზი.

საგამოფენო მასალების უშუალოდ ათვისების მიზნით, ექსპოზიციას ნათლად უნდა გასდევდეს თემის მთავარი იდეა. ამისათვის კომპლექსები მოცემულია ფორმისა და შინაარსის სრული შესაბამისობისა და მხედველობითი აღქმის მთლიანობაში. ამას ხელს უწყობს საექსპოზიციო მასალის მკაფიო განაწილება, მისი მარტივი ტოპოგრაფია, კომპლექსების განლაგება თავისუფალი საექსპოზიციო არის დაცვით. ხოლო თვით კომპლექსში - შერჩევა მთავრისა, წამყვანისა და ტიპიურისა.

გამოფენაზე ნაჩვენებია მხოლოდ ის თვითმყოფადი ელემენტები, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა ქართველი ხალხის ყოფასა და კულტურაში, საწარმო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებში. ნივთები გამოფენილია წარმოების ამა თუ იმ დარგისათვის დამახასიათებელი ნიმუშით, ორიგინალი ნივთების სახით, ნაჩვენებია მათი დამზადების ტექნიკა და

დანიშნულება.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსური თემები: მეტალურგია: აქ გამოფენილი მასალა ახასიათებს ქართულ ხალხურ მეტალურგიას და მის ძირებს. ჯერ კიდევ ბერძენი ავტორების ცნობით, ქართველი ტომები: მოსინიკები, ხალიბები ლითონის დამუშავების საიდუმლო ხერხებს იყვნენ დაუფლებულნი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სპილენძისა და რკინის მადანს გამოდნობის დროს ურევდნენ ერთგვარ „ცეცხლგამძლე მიწას“, რაც ლითონს მაღალ ღირსებას ანიჭებდა. ეს საიდუმლოება, რომელიც ახლო წარსულამდე ცოცხლობდა ქართულ ხალხურ მეტალურგიაში, ახსნილი იქნა ქართველი ეთნოგრაფების მიერ. XIX ს. ბოლოო წლებამდე წედისი განთქმული იყო რკინის მაღალი ნაწარმით. ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით გაირკვა, რომ წედისური ფოლადის მისაღებად დასავლეთ საქართველოში „რკინის კაცები“, როგორც ადგილობრივ მეტალურგებს უწოდებდნენ, რკინის გამოდნობის პროცესში ურევდნენ ფაშას - შავი ქვის მადანს ანუ პიროლუზიტს. ამ თვალსაზრისით სოფელ წედისიდან წარმოდგენილია რკინის სადნობი ქურა.

ლითონის დამამუშავებელი ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა იარაღებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება. კარადებში წარმოდგენილია ქართული იარაღის ნიმუშები: კაჟიანი თოფები, დამბაჩები, ვერცხლით, ოქროზარნიშითა და სევადით გაწყობილი, ხმლები, საპირისწამლეები; ფარში წარმოდგენილი ტაბულები ასახავენ იარაღის ცალკეული სახეების ისტორიულ განვითარებას, მის პარალელებსა და გამოყენების წესებს.

როგორც ცნობილია, სპილენძის ჭურჭელს ფართო გამოყენება ჰქონდა საქართველოში. გამოფენაზე ნაჩვენებია სხვადასხვა ზომის ლანგრები, ჯამ-ფილები, საღვინე და საწყლე ჭურჭელი, ორნამენტირებული სასმისები.

აღსანიშნავია ხალხური ოქრომჭედლობის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალები, რაც ხალხის მდიდარ შრომით გამოცდილებასა და ხელოსნობის ხანგრძლივ ტრადიციაზე მეტყველებს.

ხელოსნობის მეორე მნიშვნელოვან დარგს საქართველოში მეთუნეობა წარმოადგენდა. ქართული კერამიკა გვიჩვენებს, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირს ძველ ქართულ კერამიკასთან, მეორე მხრივ, მას მოეპოვება ფართო ანალოგები, რაც აკავშირებს მას ჩრდ. კავკასიასა და წინა აზიასთან. მაგ. თონე, კულტურის უძველესი ელემენტები, რომელიც ცნობილია საქართველოში შორეული ხანიდან ასურეთში, ბაბილონსა და სუმერეთში. ქართლში ამ ტერმინთან არის დაკავშირებული წარმოების ამ დარგის სახელიც მეთუნეობა. ტაბულები ასახავენ თორნის სახესხვაობებს /ორნაჭრიანი, სამნაჭრიანი, საბერავიანი/ და მათ განათხარ პარალელებს /თბილისურს XII-XIII სს, რუსთავის XII-XIV სს. ურარტულს/ მუსასირი ძვ. წ. XII ს/.

მეორე ტაბულაზე ასახულია ხალხის ყოფაში შემონახული თიხის სადღვებლების სახესხვაობები, მათ გვერდით კი განათხარი სადღვებელები - მცხეთის ძვ. წ. XIII – IX, თრიალეთის ძვ. წ. I-II-VI სს. სომხეთის ძვ. წ. X-VIII ს. მათი პროტოტიპი - სუმერული სადღვებელი ძვ. წ. III ათასწლეული.

ქართული კერამიკა წარმოდგენილია ორი სახით: მოჭიქული და წითელი კერამიკა.

გამოფენის შემდეგ ნაწილში ნაჩვენებია მუსიკალური საკრავები, რომელიც ორიგინალური ნივთებითაა წარმოდგენილი /ჩონგური, ფანდური, ჩანგი, ჭუნირი, სოინარი, სალამური, გუდასტვირი, დაირა, თარი, დოლი, დუდუკი, ზურნა და ა.შ./

გამოფენის მომდევნო ნაწილში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა ასახავს ქსოვილების დამზადების ხალხურ წესებს და საშუალებებს, მისი დამზადების ტექნიკას,



ქართული კერამიკის ნიმუშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უძველესი დროიდან მომდინარეობს საქართველოში, განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა კოლხეთში სელის დამზადება, რომელიც მსოფლიოში ცნობილი იყო თავისი ღირსებით და ეგვიპტური სელის ქსოვილების ღირსეულ მეტოქედ ითვლებოდა. ხალხის ყოფაში უახლოეს წარსულამდე იყო შემონახული ბამბის, სელის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ქსოვილების დამზადების ტრადიცია შინამრეწველური წესით. თემის „ქართული ხალხური ტრანსპორტი"-ს ექსპონატებში ვეცნობით საქართველოს სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად სახმელეთო საზიდი საშუალებების სამ სახეობას: 1. ბორბლიანი ტრანსპორტი /ურემი, ღერწკალა/-საქართველოს ბარში; 2. უბორბლო ტრანსპორტი /ჩოჩიალა ურემი, ბოლოთრია/-საქართველოს მთაში; 3.შერეული ტიპის ტრანსპორტი /ჩოჩიალა ურემი, ბოლოთრია/ გავრცელებული საქართველოს მთის ძირა ანუ გარდამავალ ზოლში.

ცალკე წარმოდგენილია ჩუქურთმა ხეზე და დგამ-ჭურჭელი, რომელსაც მდიდარი ტრადიცია გააჩნია საქართველოში. გამოფენილი მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ხის დამუშავების მაღალი ხელოვნება ხალხის ყოფაში დღემდეა შემონახული.

ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები/ მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა/. გამოფენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველო მიწათმოქმედების ქვეყანაა. აქაური მიწათმოქმედების კულტურა წარმოადგენს რთულ და მთლიან სისტემას, რომელიც შრომის სხვადასხვა პროცესებს მოიცავს: მოკარვება, გაპოხიერება, ხვნა, ფარცხვა, მორწყვა, თესვა, მარგვლა, მკა, ლეწვა, შენახვა, დაფქვა და ა.შ.

საგამოფენო ფარებში ნაჩვენებია მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის პროცესები. დარბაზის ცენტრშია -

სახვნელი იარაღის ნაირსახეობანი: დიდი გუთანი, ქართული ორხელა, ფშაური აჩაჩა, რაჭული სახვნელი.

აქვეა წარმოდგენილი მევენახეობა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. სპეციალისტები ვაზის კულტურის ერთ-ერთ თავდაპირველ კერად საქართველოს ტერიტორიას მიიჩნევენ. აქ ვაზის 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშია დამოწმებული. ვაზის მრავალგვარობაზე გავლენას ახდენდა ეკონომიური, ბუნებრივი და ყოფა-ცხოვრებითი პირობები. ამ ნიადაგზე საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ვაზის ენდემური ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, კახური, მწვანე-კახეთში, ბუდეშური, შავკაპიტო, თავკვერი და სხვ.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მესაქონლეობას, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. მეურნეობის ამ დარგში ქართველ ხალხს ხალხური სელექციის საფუძველზე გამოყვანილი ყავს ადგილობრივი ჯიშები, ადგილობრივ სამეურნეო და გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით /კოლხურ-ხევსურული, იმერული, თუშური და სხვ./ რძის პროდუქტების მრავალფეროვნებით და სხვ.

გზამკვლევი ილუსტრირებულია საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპონატებით, ფოტოებით, ჩანახატებით.

საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზურის შედგენისას ავტორის მიზანია გამოავლინოს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ნიშანდობლივი მხარეები, მისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადოებისათვის საგამოფენო ექსპონატების კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მოემსახუროს საზოგადოებას არა მარტო ექსპონატების აღქმაში, არამედ, მათი ეროვნული შეგნების განმტკიცებაშიც.

# ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციებში

მუზეუმში მოღვაწეობისას გ. ჩაჩაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ექსპოზიციების მოწყობასა და ამ ექსპოზიციებში ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებას.

1950-იან წლებში მან გულდასმით შეისწავლა საქართველოში სამუზეუმო მხარეთმცოდნეობითი მუშაობა, ექსპოზიციები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხები კრიტიკულად დასვა და საკმაოდ ობიექტურად გადაწყვიტა.

გ. ჩაჩაშვილის მითითებით, საქართველოში არსებულ სამხარეთმცოდნეო მუზეუმთა უმრავლესობაში უაღრესად ძვირფასი და მნიშვნელოვანი სამუზეუმო მასალებია დაგროვებული. მათ შორისაა კულტურის უნიკალური ძეგლები, რომლებიც ფასდაუდებელია ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული განვითარების მეცნიერული შესწავლისათვის. [77]

იგი კრიტიკულად განიხილავს 1930 წელს ჩატარებულ პირველ სამუზეუმო ყრილობაზე მიღებულ მთელ რიგ მცდარ დებულებებს და აღნიშნავს, რომ მარტო იმის აღიარება საკმარისი არაა, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ეთნოგრაფიული მასალა იქნეს გამოყენებული. საჭიროა ამ მასალის მოპოვება, მეცნიერული დამუშავება, და შესაფერისად ექსპოზიციაში ასახვა. ამისათვის კი საჭიროა კვალიფიცირებული კადრის მომზადება, საველე კამერალური მუშაობის მეთოდის დაუფლება, ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების ხერხებისა და საექსპოზიციო ტექნიკის ცოდნა. ეს სირთულე კიდევ უფრო სერიოზულად წარმოგვიდგება თუ გავითვალისწინებთ იმას,

რომ ხალხის ყოფა, მისი მდიდარი ნივთიერი და სულიერი კულტურა იქმნებოდა და ყალიბდებოდა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და ჩვენამდე ამ კულტურის ელემენტები სხვადასხვა დანალექებითა და სახეშეცვლილი ფორმით არიან მოღწეულნი.

ეხება რა, საქართველოს მხარეთმცოდნეობისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში დაცულ სხვადასხვა სახის ფონდებს, მკვლევარი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ზოგიერთი გამონაკლისის გარდა ეთნოგრაფიული კოლექციების ხვედრითი წონა ამგვარი მუზეუმების ფონდებში მეტისმეტად მცირეა. ის, რაც ამ მიმართულებით არის გაკეთებული, მეტწილად მუზეუმის იმ მუშაკებს მიეწერება, რომლებიც თავისი მუშაობის ხასიათით ასე თუ ისე ახლოს დგანან ეთნოგრაფიულ მეცნიერებასთან, როგორც მასალის მოპოვების, ისე არსებული მასალის კამერალური დამუშავებისა და ექსპოზიციაში მისი ასახვის თვალსაზრისით. იგი ხაზს უსვამს რა მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში კვალიფიციურ ეთნოგრაფთა მონაწილეობის აუცილებლობას, მიუთითებს, რომ „მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე შეუძლებელია ეთნოგრაფიული მასალის ასახვა მუზეუმის ექსპოზიციაში. მაშასადამე, ამ საკითხში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის საჭიროა ეთნოგრაფ მეცნიერ-მუშაკთა კვალიფიციური კადრი. ზოგ მხარეთმცოდნეობისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მცირე რაოდენობით კი მოიპოვება ასეთი კადრი, მაგრამ მუზეუმთა დიდ ნაწილში კვალიფიციური კადრი საერთოდ არ გვყავს. ეს საკითხი მეტად სერიოზულია და ყურადღების მიქცევას საჭიროებს.[78] აქვე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, აქაც შეიძლება გამოსავლის პოვნა. მდგომარეობის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია კვალიფიციურ სპეციალისტთა მიწვევა, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება.

აღნიშნული მითითება მეტად საყურადღებოა. გ. ჩაჩაშვილი ნათლად ხედავდა და სწორ პროგნოზირებას აკეთებდა, როდესაც რესპუბლიკურ თუ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მუშაობის გაუმჯობესების მთავარ ამოცანად სპეციალისტ ეთნოგრაფთა მომზადებას თვლიდა.

ცნობილია, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ექსპოზიციებში დიდი მნიშვნელობა აქვს საექსპოზიციო თემატიკის შერჩევას. როდესაც ეხება ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საექსპოზიციო თემატიკას, იგი საგანგებოდ და ვრცლად მსჯელობს ეთნოგრაფიულ თემატიკაზე და მის სპეციფიკაზე. მისი აზრით, საექსპოზიციო თემატიკამ უნდა გამოავლინოს მოსახლეობის ისტორიის ფონზე ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის თვითმყოფი ნიშნები, მათი სპეციფიკური თავისებურებები მეურნეობაში, ნივთიერ კულტურაში, სოციალურ ურთიერთობასა და იდეოლოგიაში. ამასთან ერთად, საკვლევი თემატიკის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ისტორიული წარსული, მისი მეურნეობის წამყვანი დარგები, მოსახლეობის საქმიანობის მთავარი სახეები. [79]

მუზეუმში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, პირველ რიგში, გულისხმობს ყოფისა და კულტურის ცალკეულ თემასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული კოლექციების გამოვლენას, შეგროვებასა და სათანადო მასალის ფიქსირებას მთხრობელთა გამოკითხვის გზით.[80] ნათქვამიდან აშკარაა, რომ თავდაპირველად კვალიფიციურ სპეციალისტთა მიერ შეგროვებულ უნდა იქნეს საველე-ეთნოგრაფიული მასალა და საექსპონატო ნივთიერი მასალა.

სამუზეუმო კვლევა-ძიების პირველ ეტაპად მას მიაჩნია, სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციების ჩატარებით, ადგილობრივი კორესპოდენტების დახმარებითა და ხელშეწყობით, ეთნოგრაფიული მასალებისა და კოლექციების მოპოვება. შემდგომ ეტაპად თვლის

ველზე-უშუალოდ მოსახლეობის ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებული მასალის /როგორც ჩანაწერების, ისე ნივთიერი კოლექციების/ კამერალურ დამუშავებას უშუალოდ მუზეუმში. მისი მითითებით: „ამ გზით მოპოვებული და დამუშავებული მასალა გამოსადეგია როგორც ცალკეული საკითხების კვლევისას, ისე ექსპოზიციისათვის".[81] იქვე განხილულია სამუზეუმო ექსპოზიციის ტიპიური სტრუქტურა: ბუნების განყოფილება, რევოლუციამდე წარსულის განყოფილება, რევოლუციის შემდგომი პერიოდის განყოფილება და ა.შ. თითოეული მათგანის დახასიათებით და ასკვნის, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების სფერო უნდა შემოფარგლოს მხარის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ყოველ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს აქვს თავისი დანიშნულება, სპეციფიკური მიზანი და სტრუქტურა. [82]

მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში მომუშავე სამეცნიერო კადრების დასპეციალებისათვის მკვლევარი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა მათ მჭიდრო კავშირს სხვა სამეცნიერო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში კოორდინაციის წესით უნდა გაფართოვდეს ურთიერთობა რესპუბლიკის იმ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რომლების საქართველოს მასშტაბით სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევიან საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და სხვა საკითხებზე."[83] აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი მკვლევარი სამეცნიერო-კვლევით მუშაობის პროცესში ვიწრო კარჩაკეტილ, მხოლოდ ერთი ორგანიზაციის ბაზაზე დაყრდნობით კვლევას მიუღებლად მიიჩნევს. მომიჯნავე დისციპლინების მიღწევათა გამოყენების გარეშე შეუძლებლად თვლის შედარებით ობიექტური

შედეგების მიღებას. ამიტომაც, იგი საჭიროდ მიიჩნევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების სწორ, ერთიან კოორდინაციას და კვლევის მრავალმხრივ წარმართვას, რაც პრაქტიკულად გამართლებულია კიდეც.

გ.ჩაჩაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მუზეუმებისათვის ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების მეთოდიკას, რაც აკად. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებულ კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს ემყარება.[84] მისი მითითებით ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისას პირველყოვლისა გარკვეულ უნდა იქნას კვლევა-ძიების მიზანი, შესასწავლი კონკრეტული თემა თუ საკითხი,[85] შესასწავლი რეგიონის ბუნებრივ-რეგიონალური ზონალობა, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სიმჭიდროვე, ეთნოკულტურული სახე და ა.შ. იგი საგანგებოდ ჩერდება ახალი ყოფისა და კულტურის ამსახველი ორიგინალი ექსპონატების შეგროვების მეთოდიკის საკითხებზე, რომელშიც ითვალისწინებს შემდეგ საორიენტაციო პრობლემებს: საწარმოო ყოფა/ გამომდინარე წარმოებითი ურთიერთობის ფორმებიდან, მისი წამყვანი რგოლის ჩვენებით/, საზოგადოებრივი ყოფა, საოჯახო ყოფა; თვითოეულის პრობლემატური საკითხი მთელ რიგ ქვესაკითხებად იყოფა. გ. ჩაჩაშვილი თვლის, რომ თვითოეულ შესასწავლ პრობლემაზე მეცნიერ მუშაკმა არა მარტო წერილობით უნდა დააფიქსიროს მოპოვებული ეთნოგრეფიული მასალა, არამედ თვითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეეცადოს გამოავლინოს სამუზეუმო მასალაც ნივთების, დოკუმენტებისა და სხვა სახით, რომელსაც საექსპოზიციო მნიშვნელობის ღირებულება აქვს. ამავე დროს სამუზეუმო ნივთიერ მასალას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ექსპოზიციის, არამედ მუზეუმის ნივთიერი ფონდების შექმნისთვისაც. საქართველოს ცალკეულ მხარეში ამგვარი ფონდების დაგროვებაში განუსაზღვრელია მხარეთმცოდნეობისა და ისტორიულ-

ეთნოგრაფიული მუზეუმების როლი, რაზედაც მკვლევარი არაერთგან ხაზგასმით მიუთითებს.

გ. ჩაჩაშვილი ცალკე გამოყოფს საკითხს ეთნოგრაფიული მასალის სამუზეუმო ექსპოზიციაში წარმოდგენის პრინციპებისა და მეთოდების შესახებ. იგი თვლის, რომ სამუზეუმო ექსპოზიციის მრავალფეროვნება და სიღრმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ დეტალურად არის შესწავლილი საექსპოზიციო კუთხის ეთნოგრაფიული სინამდვილე და შეკრებილია ნივთიერი მასალები.

მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში მოწყობილი ექსპოზიციების ძირითად პრინციპად

გ. ჩაჩაშვილს მიაჩნია ისტორიული წარსულის მთლიანი სურათის ჩვენება უძველესი დროიდან მოყოლებული თანამედროვეობის ჩათვლით. მხარის ისტორია, ცალკეულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, ნაჩვენები უნდა იქნეს ქვეყნის ერთიან ისტორიაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, კონკრეტული თავისებურებების ჩვენებით. მხარის ისტორიული წარსულის ჩვენებისას ექსპოზიციაში პირველყოვლისა წარმოდგენილი უნდა იქნას მისი სოციალ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის ყოფა ისტორიული პროცესის სხვადასხვა საფეხურზე, მისი ეთნოგრაფიული სურათის წარმოჩენით.

მიმოიხილავს რა ახალი ყოფისა და კულტურის საკითხებს საექსპოზიციო მასალების მიხედვით, იგი სანიმუშოდ წარმოადგენს აკად. გ. ჩიტაიას და პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ მოწყობილ არაერთ გამოფენას:

„ხევსურეთი“, „სვანეთი“, „ქართული ტანსაცმელი“, „ხალიჩები“, „ქართული იარაღი“ და ა.შ., რომლებიც საქართველოში ახალ თემატიკაზე შექმნილ პირველ სამუზეუმო გამოფენად ითვლებიან. მისი ბაზა იყო აკად. გ. ჩიტაიას და პროფ. ვ. ბარდაველიძის მიერ მოწყობილი დიდი ეთნოგრაფიული ექსპედიციები.

ამ გამოფენებმა თავის დროზე მნიშვნელოვნად შეუწყო

ხელი ეთნოგრაფიული მუშაობის გაშლას საქართველოს მთელ რიგ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. მათი მოწყობის პროცესში შემუშავებული საექსპოზიციო პრინციპები საფუძვლად დაედო საქართველოში ეთნოგრაფიულ საექსპოზიციო მუშაობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდშივე შემუშავდა ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიციის მოწყობის იდეაც, რომელიც განხორციელდა 1955 წელს.[86] და რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

გ. ჩაჩაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ მთავარ პრინციპებზე, რომელიც ზემოაღნიშნულ გამოფენას დაედო საფუძვლად:

1.ძველი და ახალი ყოფის ურთიერთდაპირისპირებაში ჩვენება.

2.ძველი და ახალი ყოფის ექსპოზიციის აგება თანმიმდევრული ისტორიზმის საფუძველზე.

3. ძველი ყოფის მოვლენათა წყობის კლასობრივ ჭრილში ჩვენება.

4. ექსპოზიციის პროპაგანდა.

ეთნოგრაფიული ექსპოზიცია /ისევე როგორც ყოველგვარი სამუზეუმო ექსპოზიცია-გამოფენა/ არის გარკვეულ თემაზე მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული და დამუშავებული სამუზეუმო მასალის თავისებური პუბლიკაცია თვალსაჩინოების გამოყენებით. იგი ეხება როგორც ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმების, ასევე მხარეთმცოდნეობით მუზეუმების გამოფენებსაც. ამგვარ გამოფენებში ეთნოგრაფიული ექსპოზიცია საერთო სამუზეუმო ექსპოზიციის ორგანულ ნაწილს უნდა შეადგენდეს. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ეთნოგრაფიული ექსპოზიციის ერთ-ერთ პრინციპზე, რომელზეც მკვლევარი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას. ესაა, ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის ჩვენება თანმიმდევრული ისტორიზმის დაცვით. ეხება რა აღნიშნულ პრინციპს, მკვლევარი მიუთითებს,

რომ „თუ კი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია აჩვენებს მხარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის თავისებურებებს, ასეთი ჩვენება, რა თქმა უნდა, ისტორიული მიდგომით უნდა მოხდეს. ეთნოგრაფიული მოვლენები საზოგადოებაში იზოლირებულად როდი არსებობენ. ისინი მჭიდრო კავშირში არიან სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან. თითოეული ეთნოგრაფიული მოვლენა წარმოიქმნება, ვითარდება, ინერგება ხალხის ყოფაში ან კვდება ყოველთვის გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში.[87] აღნიშნული პრინციპის საილუსტრაციოდ ავტორს არა ერთი ნიმუში /ხელოსნობა, მეურნეობა, ტრანსპორტი, სახვნელი იარაღები და ა.შ./ მოაქვს საქართველოს ეთნოგრაფიული გამფენიდან.

სამუზეუმო გამოფენების მოწყობაში გ. ჩაჩაშვილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს მის მხატვრულ გაფორმებას და ექსპოზიციის მოწყობის ტექნიკურ მხარეს, თუმცა ყოველი ექსპოზიციის იდეური მხარე ნათლად უნდა აღიქმებოდეს. ეხება რა აღნიშნულ საკითხებს, აღნიშნავს, რომ გამოფენის მხატვრულმა მხარემ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილოს ექსპოზიციის იდეური მიმართულება და შინაარსი. ლამაზი და სასიამოვნო გაფორმება, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიცავდეს ექსპონატების ნათელ, სისტემატიკურ, კომპოზიციურად გამართულ განლაგებას. ექსპოზიციის იდეური და მხატვრული გაფორმება უნდა ავსებდეს და უფრო შინაარსიანს უნდა ხდიდეს ერთმანეთს.

გამოფენაზე ექსპონატები უნდა განლაგდეს ფორმისა და შინაარსის შესაბამისობისა და ლოგიკურად მხედველობითი აღქმის მთლიანობაში. იმისათვის რომ ექსპოზიცია როგორც ძველი ყოფისა და კულტურის, ისე ახალი ყოფისა და კულტურის ჩვენებისას არ ასცდეს მთავარ იდეას და სამუზეუმო სპეციფიკას, ნაჩვენები უნდა იყოს მთავარი, წამყვანი და ტიპიური, ის, რაც შეადგენს ხალხის საწარმო გამოცდილებისა და შრომით ჩვევებს, მისი ყოფისა და კულტურის სპეციფიკასა და თვითმყოფად თავისებურებებს.[88]

თითოეულ მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ექსპოზიციის შინაარსის განსაზღვრა უნდა მოხდეს კონკრეტული ვითარების შესაბამისად იმ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, რომლის მეცნიერულ დამუშავებასა და შესწავლას მუზეუმი აწარმოებს. სამწუხაროდ, ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში სადღეისოდ დარღვეულია ეს პრინციპი.

ნაშრომში გ. ჩაჩაშვილი საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის თემატიკური სტრუქტურისა და თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმის გათვალისწინებით იძლევა ზოგად საექსპოზიციო თემატიკას, რომელიც შეიძლება შერჩეულ იქნას ცალკეული მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების მიერ. აღნიშნული თემატიკიდან მკვლევარს წინ წამოწეული აქვს სამეურნეო ყოფის ექსპოზიცია, რომელიც აერთიანებს სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროს: მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა, მესაქონლეობა, მონადირეობა, მეთევზეობა, მეაბრეშუმეობა. ხელოსნობიდან - მელითონეობა, ოქრომჭედლობა, მედაბაღეობა, ქსოვილების დამზადება, ძვლის, გიშრის და სხვა ძვირფასი ქვების დამუშავება, დერციკობა, ხარაზობა, მეწაღეობა, მეთუნეობა, და ა.შ. ხელოსანთა საამქრო ორგანიზაციები, საამქრო ბაზრები, სახელოსნოები, ბაზარი და სხვა.

მეორე მნიშვნელოვანი სფეროა ნივთიერი კულტურა, რომელიც მოიცავს შემდეგ სფეროებს: შრომის იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ტანსაცმელი, ტრანსპორტის სახეობანი, საკვები და სხვა.

სოციალური ურთიერთობის ფორმებიდან გამოყოფილია ისეთი სოციალური ურთიერთობანი, რომელიც აქტუალობას ინარჩუნებს ბოლო დრომდე: გვარი, ტომი, ხალხი, ერი /ნაცია/, ხალხური თვითმმართველობის სახეები /საგვაროვნო, სასოფლო, სათემო, სატომო და სხვა/, ხალხური სამართალი, ადათობრივი სამართალი, დიდი ოჯახი, პატარა ოჯახი,

ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობანი, ქორწინება და მისი სახეები, ბავშვის აღზრდა და ა.შ.

სულიერი კულტურის ექსპოზიცია აერთიანებს ხალხურ დღეობათა კალენდარს, მეურნეობის დარგებისა და საზოგადოების განვითარების შესაბამისი საფეხურის წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს, რელიგიასა და მეცნიერებას, ხალხურ მედიცინას, მუსიკალურ ფოლკლორს, ხალხურ სახვით ხელოვნებას, თამაშობებს, სპორტს /ყაბახი, ლელო, ისინდი, ჯირითი/.

იძლევა რა აღნიშნულ თემატიკას, ავტორი იქვე დასძენს, რომ მას სისრულის პრეტენზია სრულიადაც არ აქვს. თითოეულ შემთხვევაში ძველი ყოფის ექსპოზიცია, გამოფენის თემატური სტრუქტურა და მისი შინაარსი ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს მუზეუმის სამეცნიერო, საფონდო და საექსპოზიციო შესაძლებლობათა შესაბამისად. თემატიკურ სტრუქტურაში შემავალი თვითოეული თემა ექსპოზიციაში ძირითადად ორიგინალი ექსპონატების საფუძველზე უნდა აისახოს სათანადო დამხმარე და საილუსტრაციო მასალების მოშველიებით. აღნიშნული დებულების თვალსაჩინოებისათვის მას აქვე მოაქვს რამდენიმე მაგალითი საქართველოს ერთიანი გამოფენის გეგმიდან /კონკრეტულად მემინდვრეობის თემატიკიდან/. მათი განხილვის შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ გეგმის შესაბამისად გამოფენაზეწარმოდგენილია მემინდვრეობის თემა ძირითადად ორიგინალი ექსპონატებით. ასევეა დამუშავებული მეურნეობის, ნივთიერი და სულიერი კულტურის სხვა საკითხებიც.

ამრიგად, ამ მცირე მოცულობის ნაშრომში გ. ჩაჩაშვილმა შესანიშნავად წარმოაჩინა ის დიდი შემეცნებითი ღირებულება და მნიშვნელობა, რომელიც გააჩნია ეთნოგრაფიულ მასალას მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიცია-გამოფენებისათვის. წარმოჩენილია ამ მასალის მოპოვების, მეცნიერული და კამერალური დამუშავების გზები

და საშუალებები, ის ადგილი, რომელიც უნდა დაიკავოს ამ მუზეუმების ისტორიულ განყოფილებათა გამოფენებში მხარის მოსახლეობის ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის ამსახველმა ექსპოზიციამ.

## სამუზეუმო კატალოგები

მუზეუმში მუშაობის პერიოდში გ. ჩაჩაშვილი ნაყოფიერად იღწვოდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ამსახველი ნივთიერი მასალის გამომზეურებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის მათი გაცნობისათვის. ზემოთქმულის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა მის მიერ გამოქვეყნებული არა ერთი კატალოგი. ეს კატალოგები მიძღვნილია აღნიშნული მუზეუმის ფონდებში შესული და დაცული ეროვნული ტანსაცმლისადმი, ქსოვილების საჩითავებისადმი, კერამიკული ნაწარმისადმი და ა.შ. 1962 წელს გამოვიდა მისი მონოგრაფიულად დამუშავებული „საქართველოს საჩითავების კატალოგი", 1964 წელს ლ. მოლოდინთან თანაავტორობით „ქართული ტანსაცმლის კატალოგი, I, ხევსურული:, 1964 წელს სხვა ეთნოგრაფებთან თანაავტორობით /ს. ბედუკაძე, ნ. რეხვიაშვილი, ლ. მოლოდინი, მ. ჩართოლანი;/ „ქართული ხალხური კერამიკის კატალოგი". შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ეს ნაშრომები საკმაოდ სოლიდური მოცულობისაა და დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნიათ.

„საქართველოს მუზეუმის საჩითავები" მის მიერ ინდივიდუალურადაა შესრულებული. იგი უნიკალური და ერთადერთი კატალოგია საჩითავების შესახებ, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ეს მონოგრაფია არა მარტო ქართულ ეთნოგრაფიულ

სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ კავკასიის ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ფასდაუდებელი ნაშრომია, რომელიც ორ ენოვანია /ქართული და რუსული/. ეს კი საშუალებას აძლევს ქართულის არმცოდნე სპეციალისტთა თუ დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს გაეცნოს საქართველოს მუზეუმში თავმოყრილი საჩითავების ფართო კოლექციას.

ცნობილია, რომ ქსოვილების დამზადება ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი მონაპოვარია. საქართველოში ქსოვილების მხატვრული გაფორმების ტექნიკა საუკუნეების მანძილზე მუშავდებოდა და იხვეწებოდა. ამის ნათელი დასტურია არა მხოლოდ საქართველოს სინამდვილეში ქსოვილების მხატვრული გაფორმების მრავალფეროვნება, არამედ არქეოლოგიურ განათხარ მასალებში ქსოვილთა ნაშთების დიდი სიუხვეც.

დაჩითული ანუ სახიანი ქსოვილის დამზადება საქართველოში როგორც ოჯახებში, ისე სპეციალურ სახელოსნოებში ხდებოდა გასული საუკუნის ჩათვლით. XIX საუკუნეში ასეთი სახელოსნოები არსებობდა თბილისში, გორში, თელავში, ახალციხეში, ახალქალაქში და სხვა ქალაქებში. საქართველოში ადრეული ხანიდანვე ქსოვილის მოჩითვა-ქსოვილზე სახეების გამოყვანა სპეციალური საჩითავი ყალიბების მეშვეობით ხდებოდა, რაც მეტად რთული და შრომატევადი საქმე იყო.

საჩითავით ქსოვილზე ჭრელი /სახე/ იმდენჯერ უნდა გადაეტანათ, ვიდრე მთელი ქსოვილის ზედაპირს სახეებით არ დაფარავდნენ. ამის გამო მუშაობის პროცესში საჩითავი მალე ცვდებოდა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ რა მასალისაგან და როგორი ხელოსანი ამზადებდა მას. საჩითავის დამუშავება-დამზადება მხოლოდ დახელოვნებულ-პროფესიონალ ხელოსანს შეეძლო.

აღიარებული ფაქტია, რომ ხის დამუშავების მაღალი ხელოვნება და მისი შესანიშნავი ნიმუშები საქართველოში

უძველესი დროიდანაა ცნობილი. ხალხში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ხისაგან დამზადებულ საყოფაცხოვრებო ავეჯს, ჯამ-ჭურჭელს და ნაგებობათა ძირითადი ელემენტების მოჩუქურთმებას. ამ ჩუქურთმებში გარკვეული თავისებურებით ასახვას ჰპოვებდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის თვითმყოფადი ნიშნები, მათ შორის უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობის გადმონაშთებიც.

ქართულ ხალხურ ფეიქრობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქსოვილების დამზადების საქმიანობა საქართველოში ისტორიულად საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ქართული მხატვრულად გაფორმებული ქსოვილების ტრადიციული ძირები და მათი სახეების ნაირგვარობა შორეული წარსულიდან მომდინარეობს. აღნიშნულის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ არსებობს ქსოვილის როგორც რთული - მაღალმხატვრული, ისე მარტივი მოჩითვის წესი.

გ. ჩაჩაშვილი იმის დასტურად, რომ საქართველოში ქსოვილების მოჩითვის მარტივი წესიც იყო შემონახული, იმოწმებს ეთნოგრაფ ს. ბედუკაძის მიერ 1951 წელს ბაზალეთში ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალას. „სამღებრო ქვების“ შესახებ, „ჭითი“-ს სახელწოდებით, რომელსაც ბამბის ქსოვილზე „ჭრელის“ გამოსაყვანად ხმარობდნენ. მისი მითითებით „ქსოვილში საჭითავ კენჭებს გამოკრავდნენ, ზედ ტყლაპებს /ქსოვილის ნაჭრებს/ შემოახვევდნენ, ძაფებს მოუჭერდნენ და საღებავში ჩაუშვებდნენ. მთელი ქსოვილი, მათ შორის ტყლაპმოჭერილი ადგილებიც, იღებებოდა, კენჭგამოკრული ნაწილები კი არა - სადად რჩებოდა. ასეთ სახიან ქსოვილებს იყენებდნენ ნაალისა და საბნის გამოსაკრავად და სხვა დანიშნულებისათვის“. [89]

აღნიშნული მარტივი წესით ქსოვილების მოჩითვა არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოსიც გავრცელებული ყოფილა ჩვენი საუკუნის შუაწლებამდეც კი. ამის საილუსტრაციოდ გ.ჩაჩაშვილს მოაქვს აკად. ივ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საჩითავი ყალიბები

ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ შორის დასავლეთ საქართველოშიც, შეკრებილი შინამრეწველობის მდიდარი მასალა. ამ მასალების მიხედვით, მაგალითად ლეჩხუმში, სცოდნიათ ქსოვილზე ჭრელის მიცემა, რომელიც შემდეგნაირად ხდებოდა. „ჭრელი მიეცემა თეთრ ლაინებს. ჭრელად შეღებავდნენ იმ ლურჯს, როცა უნდოდათ მას მისცემოდა სახე-ჭრელი. მეტად მარტივი წესით ზოლიანი სახის გამოყვანა, საღებავში ჩადებამდე ქსოვილს წვრილად დაახვევდნენ, სადაც ზოლის დატოვება უნდოდათ, იქ ძაფს მჭიდროდ დაახვევდნენ და შეღებავდნენ. შეღებვის შემდეგ საღებავიდან ამოღებულ ქსოვილს ძაფებს შეაჭრიდნენ, გაშლიდნენ და გასაშრობად გაფენდნენ. ღებვის პროცესში ქსოვილი, სადაც ძაფი ჰქონდა მჭიდროდ შემოხვეული, შეუღებავი - თეთრად რჩებოდა და ამგვარად იღებდნენ თეთრზოლიან ქსოვილს.[90] თეთრი ზოლის სიფართე - სივიწროვე პატრონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

ქართული წერილობითი წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ქსოვილების დაჩითვა /ქსოვილებზე სახეების გამოყვანა/ საკმაოდ ადრეული ხანიდან პროფესიული ხელობა ყოფილა, რომელსაც თავისი პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდებაც - „მჩითავი“ გააჩნდა. აღნიშნულის დასადასტურებელ ფაქტად გ. ჩაჩაშვილს 1785 წლით დათარიღებული თამარ ბატონიშვილის მოკითხვის წიგნი მიაჩნია, სადაც მოხსენიებულია მუხათელი მჩითავი.

XVIII საუკუნის ქართულ მთელ რიგ საბუთებში დასახელებულია ტერმინი მჩითავი. ერთ-ერთ დოკუმენტში მოხსენებული „სურათის ჩითის ახალუხი“ [91] გ. ჩაჩაშვილს აფიქრებინებს, რომ მის შინაარსში სახიანი ქსოვილი იგულისხმება. თავისი ვარაუდის შესამაგრებლად იგი იმოწმებს სულხან-საბა ორბელიანის მიერ მოცემულ განმარტებას „ჩითი-ჭრელი ნარმა და ლაინი“.[92] გარდა ამისა ანომასტიკურ მასალაშიც ეძებს შესაფერის შესატყვისობას,

პოულობს კიდეც და აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი გვარის სახელწოდება /მაგ. მჩითავიშვილი/ ამ ხელობის ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი.[93]

გ. ჩაჩაშვილი, როდესაც ქსოვილის დაჩითვის ისტორიაზე და მისი განვითარების მაღალ დონეზე საუბრობს, არ ივიწყებს ძველი ქართული წიგნების გაფორმების მაღალი ხელოვნების ტრადიციასაც. მისი მითითებით საინტერესო მასალა არის შემონახული დაჩითული ანუ სახიანი ქსოვილების სახით ძველი ქართული წიგნების ყდებზე, რომლებზეც სახიანი /დაჩითული/ ქსოვილებია სარჩულად გამოყენებული. იგი ასეთ წიგნებად ასახელებს XVIII საუკუნის ხოჯა ნასირ თუსელის სტროლაბის სასწავლებელ წიგნს; XVI საუკუნის სახარებას - ოთხთავს, რომლის ყდაზეც სარჩულად გამოკრულია დაჩითული მოხატული ბამბის ქსოვილი; XI- XII საუკუნეების აპოსტოლს ერთსახიანი მცენარეული ჭრელითა და დაჩითული ბამბის ქსოვილით. მართალია, ყდების სარჩულად გამოყენებული დაჩითული ქსოვილის დამზადების პერიოდის განსაზღვრა ჯერ-ჯერობით ძნელდება, მაგრამ იგი აღნიშნავს: მაინც საფიქრებელია, რომ ისინი XVIII საუკუნეზე ადრინდელია.

გ. ჩაჩაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული კატალოგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული საჩითავების შესახებ მეტად მდიდარი და უხვი მასალით არის წარმოდგენილი, რომელზედაც თვითონვე მიუთითებს შესავალში. იგი აქვე აღნიშნავს, თუ რა სახის საჩითავი საიდანაა შემოსული და რომელ ხალხს ეკუთვნის. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში საჩითავების ყალიბები წარმოდგენილია საქართველოში, აზერბაიჯანში, ვანსა და სომხეთში შეგროვებული ნიმუშებით. მუზეუმის საინვენტარო დავთრების ჩანაწერების მიხედვით, ეს კოლექციები ეთნოგრაფიის განყოფილებაში სხვადასხვა დროს არის შემოსული. ასე მაგალითად: ქართული

საჩითავების მდიდარი კოლექცია 1927 წელს არის შემოსული ქალაქ ახალციხიდან /საჩითავების კოლექცია - 60 ერთეული სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა/. აზერბაიჯანული კოლექცია მუზეუმის ფონდებში შესულია 1907 წელს შემახიიდან /სულ 11 ერთეული/. სომხური საჩითავების ორი კოლექციაა. საჩითავების ძველი კოლექცია /სულ 39 ერთეული/ 1926 წელს ეჩმიაძინიდან არის ჩამოტანილი, ხოლო 1916 წელს საჩითავთა საკმაოდ დიდი რაოდენობაა ვანიდან /36 ერთეული/ და არზრუმიდან /2 ერთეული/ შემოვიდა.[94] საერთო ჯამში სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრილია მთლიანად 112 ერთეული საჩითავი.

საჩითავების აღნიშნული რაოდენობიდან გ. ჩაჩაშვილს თავის კატალოგში წარმოდგენილი აქვს 61 საჩითავი ერთეულის აღწერილობა, პასპორტიზაცია /კოლექციის ნუმერაციის ჩვენებით/ და ფოტო-ასლი ან ჩანახატი - ანაბეჭდები /ჩანახატები შესრულებულია ცნობილი მხატვრის ნ. ბრაილაშვილის მიერ/. კატალოგში წარმოდგენილი 61 ერთეული საჩითავიდან 24 ახალციხიდან შემოსული ქართული საჩითავია, 5 ერთეული შემახიიდან შემოსული აზერბაიჯანული საჩითავია, დანარჩენები კი სომხური საჩითავია /16 ერთეული ეჩმიაძინიდან შემოსული, 15 ერთეული - ვანიდან და ერთი ერთეული - არზრუმიდან/. კატალოგში ყველა საჩითავის ჩანახატი თუ სურათი ტაბულების სახითაა წარმოდგენილი.

ტაბულებში წარმოდგენილი საჩითავების სურათებიდან ერთი შეხედვითაც კი აშკარად გამოირჩევა ქართული საბეჭდავ-საჩითავები, რომლებიც თავისი გამომსახველობითი სახეებითა და ჭრელების აღნაგობით საგრძნობლად განსხვავდება სომხურ-აზერბაიჯანული საჩითავებისაგან. მათში მკვეთრად იკვეთება ქართული თვითმყოფადობა და ორიგინალობა.

შეისწავლა რა გულდასმით ზემოთდასახელებული

ყველა რეგიონის საჩითავები გ. ჩაჩაშვილმა აღნიშნა, რომ „დანიშნულების მიხედვით ეს ყალიბები სხვადასხვა ხასიათისა იყო. საჩითავების ერთი რიგით ქსოვილის მთელ ზედაპირზე უშუალოდ დაჰქონდათ ერთი ან მრავალფეროვანი სახე. ასეთ საბეჭდავს ზედაპირზე საღებავს უსვამდნენ, ქსოვილზე დაადებდნენ და ხელით დაწნეხავდნენ. თუ ფერადი სახის მიღება სურდათ, ქსოვილის ერთსა და იმავე ადგილზე მისაღები რაოდენობის ჭრელის შესაბამისად სხვადასხვა საბეჭდით ჯერ ერთი ფერის საღებავს დაიტანდნენ, შემდეგ მეორეს, მესამეს და ა.შ. ვიდრე სასურველ გამოსახულებას არ მიიღებდნენ.[95] საჩითავების მეორე რიგი განკუთვნილი ყოფილა რეზერვად მუშაობისათვის. გ. ჩაჩაშვილი დაწვრილებით აღწერს სარეზერვო საჩითავებზე გამლღვალ სანთელს ან სხვა დამფარავ ნივთიერებას წაუსვამდნენ და იმავე წესით /როგორც ძირითადი დანიშნულების საბეჭდავს/ ქსოვილზე ხელით დაიტანდნენ. სხვა დამფარავი ნივთიერება თუ სანთელი ფარავდა ქსოვილის ჭრელს, ხოლო ქსოვილის ფონი დაუფარავი რჩებოდა. ამ წესით შემზადებულ ქსოვილს სასურველი ფერის საღებავებში ღებავდნენ, რის შედეგადაც ქსოვილის ფონი იღებებოდა, ხოლო სანთლით დაფარული ჭრელი შეუღებავი რჩებოდა. ქსოვილიდან სანთლის მოცილების შემდეგ მას ჭრელი მიეცემოდა სასურველ ფონზე.

გ.ჩაჩაშვილის აღწერიდან ჩანს, რომ სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდებში დაცული ქართული საჩითავების დიდი უმრავლესობა ცალპირია. ყველა ისინი განკუთვნილია უშუალოდ ქსოვილზე ერთი ან ორი ჭრელის - სახის დასახატავად. აღნიშნული საჩითავებიდან გამონაკლისია მხოლოდ ერთი წყვილი, რომლითაც ორფეროვანი სახე გამოჰყავდათ.

ეხება რა საჩითავების დამზადების მაღალ დონეს და ოსტატის დიდ პროფესიონალიზმს, იგი აღნიშნავს, რომ საჩითავების უმრავლესობაზე ჩუქურთმა პლასტიკური

რელიეფითაა შესრულებული. საჩითავზე ჭრელის კვეთისას დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ გამოსაყვანი სახე დინამიკურობასა და ჰარმონიულობაში ყოფილიყო წარმოდგენილი. ოსტატის მაღალ პროფესიონალიზმსა და გამოცდილებაზე დამოკიდებული იყო თუ რამდენად ხაზგასმით წარმოჩნდებოდა კონტურის სიმკვეთრე ფონის თავისუფალი არის მეშვეობით.

გ. ჩაჩაშვილის მითითებით ქართული საჩითავების ჭრელი /სახე/ ძირითადად ცხოველური და მცენარეული გამოსახულებისაა. მართალია, გვხვდება გეომეტრიული გამოსახულებანიც, მაგრამ არა ისეთი სიხშირით, როგორც ცხოველური და მცენარეული. აღნიშნული სახეებიდან ნაწილი რელიეფურია, ნაწილი კი სტილიზებური /მეტწილად ყვავილები/. მცენარეულ სახეებში ჭარბობს კომპოზიციური ჭრელი, რომელიც სიბრტყეზე ჰარმონიულადაა წარმოდგენილი გაშლილი სახით. იგი ყურადღებას ამახვილებს ამგვარი ჭრელის ძირითად სახეებზე. მისი დაკვირვებით ამგვარი ჭრელების ძირითად სახეებს წარმოადგენს ყვავილის დახრილი ტოტი, შეფოთლილი შტო, გაშლილი ყვავილი, კოკორი, სხვადასხვა ფორმისა და მოყვანილობის ფოთლები, წვრილი ყვავილები და ზოგჯერ მცენარეული ნაყოფიც. ასევე მრავალფეროვანი და ნაირსახოვანია საჩითავებზე წარმოდგენილი გეომეტრიული ჭრელიც, რომელიც შეიცავს სწორსა და კლაკნილ ხაზებს, წრეხაზებს, წერტილებს, ჯვრებს, კუბოკრულ /უჯრებიან/ სახეებს, თაღოვან და კუწუბიან ზოლებს.

აზერბაიჯანულ საჩითავებთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ მათ ზედაპირზე ყალამქარზე დასატანი სახეებია გამოყვანილი. ყველა მათგანი ჩაჭრის წესითაა შესრულებული. ძირითადად წარმოდგენილია მანების ჭრელი. განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ ცნობილი ვარდისა და ბულბულის მოტივი /კოლექციის ნომერი № 79-09/2/.

გ. ჩაჩაშვილს მხედველობიდან არ გამორჩენია სომხეთიდან წარმოდგენილი საჩითავების სპეციფიკა და ვრცლად მიმოიხილავს მათ. მისი შეხედულებით, სომხური საჩითავების თავისებურება და ორიგინალობა ნათლად იკვეთება განსაკუთრებით ვანიდან და ეჩმიაძინიდან წარმოდგენილ კოლექციებში /გ. ჩაჩაშვილის აზრით ამ კოლექციათა ერთი ნაწილი სპარსული წარმოშობისა უნდა იყოს/. იგი ეჩმიაძინისეულ კოლექციებში განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს მანებისნაირ გამოსახულებიან საჩითავებს. ერთ-ერთ მათგანზე მისი დამამზადებლის ვინაობა და დამზადების თარიღია ამოკვეთილი. მანების გარდა ამ საჩითავზე მცენარეული და ფრინველის /ოფოფი/ გამოსახულებანიც გვხდება.

რაც შეეხება ვანიდან წარმოდგენილ საჩითავებს, გ. ჩაჩაშვილი მათი შესწავლისას მიდის იმ შეხედულებამდე, რომ ისინი ძირითადად ფერადი საღებავების სატვიფრად უნდა ყოფილიყვნენ განკუთვნილი. ამ საჩითავებისათვის დამახასიათებელია განივ მწკრივში გარკვეული თანამიმდევრობით განლაგებული სტილიზებული წვრილი ყვავილები და მრავალნაირი გეომეტრიული ჭრელი. ამავე დროს საჩითავების შესაფერადებელი ძირითადი ჭრელი გამოკვეთილია რელიეფურად, ხოლო მეორე საბეჭდავებისა /ქსოვილთა ფონისა/ ჩაჭრის წესით. [96]

მკვლევარი არა მხოლოდ საჩითავების დანიშნულებასა და ფორმა-შინაარსის ახსნას ცდილობს, არამედ მისი ყურადღების არეშია ამ საჩითავთა ვინაობა და ეროვნული კუთვნილებაც. ასე მაგალითად, იკვლევს რა ქართული საჩითავების /ახალციხიდან შემოსული კოლექცია/ დამამზადებელთა ვინაობას, ცდილობს მათ დასადგენად არქეოლოგიური და სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროები მოიშველოს. იგი გულახდილად აღიარებს, რომ „პირდაპირი ცნობა თუ ვის მიერაა დამზადებული ახალციხური საჩითავები ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ ამ

კოლექციებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ახალციხური საჩითავი ყალიბების დამუშავების ტექნიკა და ჩუქურთმის ზოგიერთი მოტივი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ლაზურთან. ახალციხურ საჩითავებზე, ისევე როგორც ლაზურ ორნამენტში სიბრტყეზე წარმოდგენილია მცენარეული ან ცხოველური გამოსახულების პლასტიკური რელიეფი ან ამოღარული ჭრელი, რომლის გაშლილი ფონის თავისუფალი არე ჰარმონიულადაა შერწყმული ჩუქურთმის ელემენტებთან. ასეთივე სიახლოვე ჩანს მცენარეული და ცხოველური ჩუქურთმის ზოგიერთ მოტივშიც". მაგალითისათვის, იგი ასახელებს ერთ-ერთ ახალციხურ საჩითავს /კოლექცია № 16-27/166/, რომელზედაც გამოსახულია წყვილი ანტიპოდური ფრინველი /მტრედი/, რომლებსაც თავები ერთმანეთისთვის აქვთ მიდებული. „ეს გამოსახულება /მიუხედავად იმისა, რომ ზედ საკუთრივ ხე ან მისი შემცვლელი ნაყოფიერების სიმბოლო არ არის გამოკვეთილი/ თავისი საწყისით უნდა უკავშირდებოდეს ქართველი ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის ამსახველი სიცოცხლის ხის მოტივს, რომელიც შესანიშნავი ნიმუშებითაა წარმოდგენილი სწორედ ლაზურ ორნამენტში. ფრინველთა ანალოგიური გამოსახულებანი, რომლებიც ასევე ნაყოფიერების იდეასთანაა დაკავშირებული, მრავლად გვხვდება ეთნოგრაფიული ხასიათის სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებზე". აანალიზებს რა აღნიშნულ გამოსახულებებს მიდის იმ დასკვნამდე, რომ ახალციხური საჩითავების გამოსახულებათა „სიახლოვე ლაზურ ორნამენტთან შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ისინი ლაზი ხელოსნების მიერაა დამზადებული."[97] ლაზთა ხითხუროებში მაღალოსტატობასთან დაკავშირებით კი იქვე აღნიშნავს, რომ „ლაზი ოსტატები ხის დამუშავებაში მაღალპროფესიონალური იყვნენ და რა გასაკვირია, რომ საჩითავების დამზადებაშიც ისინი ყოფილიყვნენ წამყვანნი. იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ-დასავლეთ

საქართველოს მთელი რიგი რეგიონებიდან XIX საუკუნის 70-იან წლებში თურქეთში სპეციალურად გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ბზის ხე /წელიწადში 10-20 ათას ფუთამდე/, საჩითავი ყალიბების დასამზადებლად,[98] მაშინ გ. ჩაჩაშვილის ეს შეხედულება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდებში დაცული მრავალრიცხოვანი კოლექციების დაწვრილებით შესწავლისა და მათ შესახებ არსებული წერილობითი მონაცემების ვრცლად მიმოხილვის შემდეგ, გ. ჩაჩაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართული საჩითავები, ისევე, როგორც სომხური და აზერბაიჯანული საჩითავები და მათთან დაკავშირებული სხვა მონაცემები მოწმობენ, რომ ქსოვილთა დაჩითვის ძველი ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული და ნაირფეროვნად წარმოდგენილი ამიერკავკასიაში. ამასთან ერთად მდიდარი ნაქარგობის გვერდით მრავალსაუკუნოვანი ქართული [99] და სომხური[100] დაჩითვის მაღალ ხელოვნებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მუზეუმში დაცული და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ის სახიანი ქსოვილები, რომლებიც საშუალო საუკუნეების ქართული და სომხური ხელნაწერი წიგნების ყდებზე გამოკრულ დაჩითულ ქსოვილებთან ერთად ასახავენ ხელოსნური წარმოების ამ დარგის თვითმყოფად ხასიათსა და მხატვრულ გემოვნებას წარსულში. [101]

„ქ ა რ თ უ ლ ი  კ ე რ ა მ ი კ ი ს  კ ა ტ ა ლ ო გ ი", რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე თანაავტორთან ერთად აქვს გამოცემული, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მასში ქართული კერამიკული ნაწარმის უნიკალური ნიმუშებია შეტანილი.

საერთოდ, ქართული კერამიკა მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი ხალხის ყოფაში და მან დღემდე შემოინახა ის თავისებურება, რომელიც ისტორიული განვითარების ხანგრძლივ პროცესში შემუშავდა. ქართული კერამიკის საგანძურში წარმოდგენილია ისტორიულად

ჩამოყალიბებული ისეთი მყარი ტიპები, რომლებმაც გასაოცრად გაუძლო დროის ცვალებადობას. მისი შესწავლა გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ძველ ქართულ კერამიკასთან უმჭიდროეს კავშირს. ამასთან ერთად, მას მოეპოვება ფართო პარალელები, რომლებითაც ისინი უკავშირდებიან ჩრდილო კავკასიის და წინააზიის ანალოგიურ მონაცემებს. ავტორები საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს განიხილავენ /თონე, სადღვებელი და სხვ./ და აღნიშნავენ თუ რა დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ხალხური კერამიკის სამუზეუმო ფონდის პუბლიკაცია ქართული კერამიკის ისტორიის შესწავლის საქმეს. საქართველოში ინტენსიურად წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვილი უმდიდრესი კერამიკული მასალა, ბევრ შემთხვევაში შეიძლება ეთნოგრაფიული მონაცემებით აიხსნას, რაშიც გარკვეულ წვლილს ეს წიგნიც შეიტანს.[102]

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული კერამიკის ფონდს თითქმის ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ ფონდში დაცულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან /ქართლი, კახეთი, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, რაჭა, ლეჩხუმი და ა.შ./ დაგროვილი კოლექციები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან ქართული ხალხური კერამიკის ზოგად სურათზე.

ყველაზე ადრეული კოლექციები რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან არსებული კავკასიური მუზეუმის ფონდშია შესული. ავტორები აქვე აღნიშნავენ იმ კოლექციონერებს, ვისი წყალობითაც აღნიშნული ფონდი საკმაოდ შეივსო /ესენია: გ. რადე, ევ. ვეიდენბაური, თ. სახოკია და სხვა/. საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების ფონში, ქართული კერამიკის ის ნიმუშებია შესული, რომლებიც წარმოდგენილი იყო 1889 წელს თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე,[103] პარიზის 1900 წლის გამოფენისათვის შერჩეული ქართული თიხის ჭურჭელი და 1904 წელს სენტ ლუის მსოფლიო

გამოფენისათვის განკუთვნილი ქართული კერამიკა. რევოლუციის შემდგომ პერიოდში ეს კოლექციები უფრო შეივსო უშუალოდ სპეციალისტების მიერ /გ. ჩიტაია, ლ. ბოჭორიშვილი, ნ. რეხვიაშვილი, ფ. გარდაფხაძე, ს. ბედუკაძე და სხვა/, უშუალოდ ველზე მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული ექსპედიციებისა და მეცნიერული მივლინების დროს. 1938 წელს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდს შეემატა ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან გადაცემული ქარტული მხატვრული კერამიკის ნიმუშები, ხოლო 1951 წელს ყოფილი ანტირელიგიური მუზეუმის კერამიკული ნიმუშების კოლექციები. ეს კოლექციები კარგად ასახავენ ქართული მეთუნეობის თავისებურებებს კერამიკული წარმოების ცალკეულ ცენტრში /თბილისი, ნინოწმინდა, მცხეთა, თელავი, გორი, მეჯვრისხევი, ცხავატი, შრომა, ხარაგაული და ა.შ./ ავტორთა აზრით, მათ შორის გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა კახური კოლექცია, კარძოდ ნინოწმინდური მოჭიქული და თელავური წითელი ჭურჭელი.

ჭურჭლის დამზადებისა და შემკულობის ხასიათის მიხედვით კატალოგში წარმოდგენილი მასალა დაჯგუფებულია ოთხ ნაწილად - ოთხ თავად: 1. წითელი ჭურჭელი. 2. მოწერნაქებული ჭურჭელი. 3. მოჭიქული ჭურჭელი და 4. ზეთის საღებავებით მოხატული ჭურჭელი. თითოეულ თავში ავტორებს შინაგანი წყობა მოცემული აქვთ ქრონოლოგიურად ისე, როგორც ეს არის მუზეუმის ძირითად საკატალოგო დავთარში მიღებული ნუმერაციით. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში შესულ და საინვენტარო დავთარში გატარებულ თითოეულ ნივთს აქვს თავისი ნომერი - შიფრი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება /მაგალითად, კოლექცია N1-34/ /ამ შემთხვევაში პირველი ნიშანი - /1/ აღნიშნავს კოლექციის რიგით ნომერს, მეორე ნიშანი - /34/ ნივთის შემოსვლის წელს, ხოლო მესამე

- /9/ ნივთის რიგით ნომერს კოლექციაში. ლიტერი - XIX საუკუნეში შემოსულ კოლექციას აღნიშნავს.

ავტორთა კოლექტივმა ცალკეული ჭურჭლის აღწერილობისათვის ასეთი თანმიმდევრობა შეიმუშავა: 1/ საკატალოგო ნომერი, 2/ სახელწოდება, ჭურჭლის აღნაგობა /პირი, ყელი, ყური, მხარი, მუცელი, ძირი და მათი ნაირსახეობანი/.

ჭურჭლის აღწერის შემდეგ მოცემული აქვთ მისი შემკულობის ნიშნების ჩამოთვლა, რომლისთვისაც გამოყენებულია ხალხური ტერმინები: ქობა, ზურგი, კოპალი, ღილი, ამოღარული ან ამობურცული ზოლი, ნაკორტნი, ნაკეჭნი, ნაჩხვლეტი, ნავარცხნი და ა.შ. წერნაქით ან ზეთის საღებავით შესრულებულ ორნამენტის აღმნიშვნელად ხმარობენ ჭრელსა და მოჭრელებას. რთული დეკორატიული სახეების აღსანიშნავად კი ტერმინ მოხატულობას იყენებენ.

აქვე აქვთ მოცემული ჭრელის სახეობები. ესენია: გრეხილი, კლაკნილი, დაკბილული, კამაროვანი, კუწუბიანი, თევზიფხური, ჯვარი, რვიანი, წრეში ჩასმული რვიანი, ქათმის ფეხა, ფოთლები, ყვავილები და ა.შ. კატალოგში წარმოდგენილია რელიეფური თუ მრგვალი ქანდაკების გამოსახულებიანი ჭურჭელიც. ფრინველის, ცხოველის ან ადამიანის სახის გამოსახულებიანი ჭურჭელი ძირითადად ხელით ნაძერწია, არის ყალიბსა და დარჯაკშიც გაკეთებული, მაგრამ ნაკლებად.

ჭურჭლის აღწერილობას ახლავს განაზომები სანტიმეტრებში: სიმაღლე, პირის დიამეტრი, მუცლის დიამეტრი და ძირის დიამეტრი. მოცემულია ჭურჭლის შეძენის პირობები, ადგილი და ჭურჭელი თუ დაზიანებულია.

კატალოგში დაწვრილებითა და დიდი სიზუსტითაა აღწერილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული 640 კერამიკული ჭურჭელი, რომლის გარკვეული ნაწილი ტაბულების სახით არის წარმოდგენილი /სულ 74 ტაბულა/.

კერამიკული წარმოების შესახებ არსებული წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების დახმარებით ავტორებმა დაადგინეს ის ძირითადი ცენტრები, რომლებიც წარმოადგენდნენ სამუზეუმო ფონდში თავმოყრილი კერამიკული ნაწარმის ძირითად მიმწოდებელს. შემდეგ კი ამის მიხედვით დაამუშავეს მხატვრულად შესრულებული სურათები თუ ფოტო-ტაბულები, რომელიც ნაშრომს თან ერთვის.

მხატვრული ტაბულების დიდი ნაწილი შესრულებულია ეთნოგრაფ-მხატვარ ნინო ბრაილაშვილის, ხოლო მცირე ნაწილი კი მხატვრების ნ. ჩერნიშკოვისა და ვ. კანდელაკის მიერ.

თუ რამდენად რთული იყო აღნიშნული კატალოგის მომზადება-შედგენა, ამის შესახებ თვითონ ავტორები მიუთითებენ. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ის სიძნელეები, რაც კატალოგების შედგენას თან სდევს საერთოდ, მოვიტანთ ქართული კერამიკის კატალოგის შემდგენელთა აზრს ცოტა ვრცლად. როგორც ისინი აღნიშნავენ „ავტორთა კოლექტივმა შეისწავლა საინვენტარო ჩანაწერები და ყველა სხვა მასალა, რაც ამ ფონდთან დაკავშირებით განყოფილების არქივშია დაცული. აღმოჩნდა, რომ ეს საინვენტარო ჩანაწერები კატალოგის მიზნებისათვის არ იყო საკმარისი. საჭირო გახდა აგრეთვე დამატებითი საველე მასალების მოპოვება და ზოგი საკითხის შესწავლაც, რაც განხორციელდა კიდეც.“ ავტორთა კოლექტივმა შეიმუშავა კერამიკის ამა თუ იმ ტიპისა და სახის საკატალოგო აღწერილობის ნიმუშები, დააზუსტა ხალხური ტერმინოლოგია, ჭურჭლის ზოგიერთი სახის დამზადების ხალხური წესები და შეადგინა ქართული კერამიკის 500-ზე მეტი ნიმუშის საკატალოგო აღწერილობა ორიგინალების მიხედვით. მიუხედავად ასეთი სამუშაოების ჩატარებისა ავტორები ზოგჯერ იძულებულები იყვნენ აღწერილობისას ზოგადი ნიმუშების აღნიშვნით დაკმაყოფილებულიყვნენ და კუთხური სახელწოდებაც გამოყენებინათ. [104]

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ თვალნათლივ გვეჩვენებინა, თუ რა დიდი სიძნელეები სდევს თან სამუზეუმო ნივთიერი ფონდების კატალოგების შედგენას და ფართო საზოგადოებისათვის მათ გაცნობას.

მუზეუმის ფონდებში თიხის ქართული ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანია. კატალოგში ჭურჭელი კლასიფიცირებულია დამუშავების ტექნიკის მიხედვით წითელი, მოწერნაქუბული, მოჭიქული და ზეთის საღებავით მოხატული ჭურჭელი. ამ თანამიმდევრობით არის მასალა წარმოდგენილი თავებისდა მიხედვით. ავტორები აქვე მოკლედ იძლევიან თითოეულის დამზადების ტექნოლოგიას, რომელსაც მოკლედ გადმოვცემთ ჩვენც.

წითელი ჭურჭლისა და აგურ-კრამიტის გამოსაწვავი ქურები ტიპოლოგიურად ერთ პრინციპზეა აგებული. გამოწვის შედეგად მიღებული ფერი განსხვავებულია. სხვადასხვა კუთხეში გვაქვს წითლად, მუქწითლად, მოთეთროდ, თეთრად, მოყვითალოდ და რუხად გამომწვარი ჭურჭელი.

მოწერნაქებული ჭურჭელი იგივე წითელი ჭურჭელია, მაგრამ საგანგებოდ მოხატულ-მოჭრელებული ფერადი საღებავი მიწით ე.წ. წერნაქით /წერნაგი, წერნაქო/. ჭურჭლის მოხატვის ეს ხელოვნება, როგორც ჩანს საქართველოში მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ემყარება. იმერეთში მეჭურჭლე, მაგალითად, წითელ ჭურჭელს შავი ქვითაც ხატავდა და წერნაქითაც. სახატავი ქვის ეს ჯიში ყველგან არ მოიპოვება. შიგნით კახეთის მეჭურჭლენი გარეკახეთში მიდიან, ცხავატელნი კასპის მიდამოებში ჩამოდიან და წერნაქის გამომყენებელი სხვა კუთხის ოსტატებიც შორეულ მგზავრობას არ ერიდებიან. ძველ საქართველოში მას სახლის ნაწილების მოსახატავად იყენებდნენ. იმერეთის ზოგიერთ რაიონში მით ზანდუკებსაც კი აჭრელებდნენ.[105] წერნაქიანი ჭურჭელი ზოგჯერ მთლიანად წერნაქგადასმულია, ზოგჯერ კი მხოლოდ ორნამენტული სახეებია მოხატული.

მოჭიქული ჭურჭლის წარმოებასაც მეტად საინტერესო და ღრმა ტრადიციები უჩანს საქართველოში. ამ დარგისათვის დამახასიათებელი იყო უმეტესად წვრილი ჭურჭლის კეთება. მოჭიქული ჭურჭელი განსხვავებულია წითელი ჭურჭლისაგან არა მარტო მოჭიქვის ხელოვნებით, არამედ სახეთა სხვადასხვაობითა და გამოწვის ტექნიკით.

ავტორთა შეხედულებით, მუზეუმის ეთნოგრაფიულ ფონდში დაცულ ზეთის საღებავით მოხატულ ჭურჭელს საქართველოში ძველი ტრადიცია არ უჩანს. იგი მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულისათვის ჩნდება, მაგრამ მას საკმაოდ ფართო გავრცელება მიუღია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კერამიკულ ცენტრში. ამავე დროს საკმაო თავისებურებაც ჩანს. ასე მაგალითად, გურული და თელავური ნახელავი მეტად ჭრელდებოდა. ოქროსა და ვერცხლის ვარაყთან ერთად ნახმარია წითელი, მწვანე, შავი, ლურჯი, ყვითელი, თეთრი და ყავისფერი საღებავები. იმერეთში კი ლურჯად, იშვიათად წითლად შეღებილი და ვარაყით ზომიერად მოხატული მშვიდი ფერები ჩანს. [106]

ქ ა რ თ უ ლ ი  კ ო ს ტ უ მ ი ს  კ ა ტ ა ლ ო გ ი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილების ფონდში დაცულ კავკასიური და აღმოსავლეთის ხალხთა ტანსაცმლის უნიკალურ კოლექციებს დღესაც დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნია. მათ შორისაა იმ ხალხთა კოსტუმების ზოგიერთი ისეთი ელემენტი, რომელიც ამჟამად გამქრალია სრულად ყოფიდან, ცალკეული კი სახეშეცვლილი ფორმითაა შემონახული. ამ კოლექციებში თავმოყრილია ქართული კოსტუმის თითქმის ყველა ნაირსახეობა /ქართლური, კახური, ინგილოური, მოხეური, ფშაური, ხევსურული, თუშური, მესხური, გურული, აჭარული, იმერული, მეგრული, სვანური/. აქვეა წარმოდგენილი სომხების, აზერბაიჯანელების, ადიღეელების, ოსების, დაღესტნელების, ქურთების, ასირიების, ირანელების, თურქების, აბისინიელებისა და სხვა ხალხთა ჩაცმულობის

კოლექციებიც.

ქართველ ეთნოგრაფებთან ერთად პროფ. გ. ჩაჩაშვილი გულდასმით იკვლევდა მატერიალური კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ელემეტს. სამუზეუმო მუშაობისას მისი მიზანი იყო შეედგინა აღნიშნულ ტანსაცმელთა სისტემატიზირებული კატალოგები. მან ეთნოგრაფ ლ. მოლოდინთან ერთად ქართული ეროვნული ტანსაცმლის კატალოგის შედგენით დაიწყო ეს საქმე. „ქართული კოსტუმის კატალოგი, I ხევსურული" გამოვიდა 1964 წელს.

კატალოგის შესავალში ვრცლად არის მიმოხილული ქართული ეროვნული ტანსაცმლის შესწავლის ისტორია.[107] ავტორების მითითებით „საქართველოს ცალკეულ კუთხეებში შემონახულ კოსტუმებს შორის მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა ქართველ მთიელთა ჩაცმულობა. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ხევსურული, ფშაური, მოხეური, თუშური, სვანური და სხვა კოსტუმი. [108]

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ქართული კულტურის ზოგიერთი გულშემატკივარი აღნიშნავდა, რომ ძველი ქართული ტანსაცმელი თანდათანობით გამოდის ყოფიდან და თუ მას თავისი მკვლევარი არ გამოუჩნდა ის სამუდამოდ დაეკარგება შთამომავლობასო. ნაწილობრივ ეს მართლაც ასე მოხდა. ქართული კოსტუმის ზოგი ელემენტი ისე გაქრა ყოფიდან, რომ მას არც მკვლევარის ხელი შეხებია და არც მუზეუმში მიუღია თავშესაფარი. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ზოგიერთ ქართველ მთიელთა ჩაცმულობის კომპლექტები, რომლებიც მუზეუმში ცალკე მესვეურთა წყალობით აღმოჩნდნენ.

კატალოგის შედგენისას მკვლევარები შეეცადნენ თავდაპირველად გამოემზეურებინათ იმ კუთხის ტანსაცმლის კომპლექტი, რომელიც შედარებით სრული სახით იყო მუზეუმში შესული. ასეთად მათ მიიჩნიეს ხევსურული კოსტუმი. მათი მითითებით „საქართველოს მუზეუმის

კოსტუმის ფონდში ხევსურული ტალავარი მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი; ეს შემთხვევით როდია. ქართული ტანსაცმლის მრავალსახეობაში ხევსურული კოსტუმი ყურადღებას იპყრობს პირველყოვლისა თავისებური თარგითა და მხატვრული შემკულობით. ამ მხრივ ის უნიკალურია კავკასიის ხალხთა ჩაცმულობაში და ქართული ტანსაცმლის განვითარების უძველესი საფეხურის ამსახველ ნიშანდობლივ მონაცემებს შეიცავს. [109]

ტანსაცმლის აღწერისას ავტორები ყურადღებას ამახვილებენ კოსტუმის შემადგენელი ელემენტების სტრუქტურაზე, დამზადების ტექნიკასა და ფუნქციაზე. შეიძლება ითქვას, კატალოგში მოცემული ყველა ხევსურული ტალავრის აღწერილობა ამ პრინციპითაა გაკეთებული.

კატალოგში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ხევსური ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის, თავსაბურავისა და ფეხსამოსის შემადგენელი ელემენტების აღწერილობა, მუზეუმში მათი შემოსულობის მიხედვით. გ. ჩაჩაშვილის აზრით მასალის ასეთი მიწოდება „საშუალებას მისცემს მკითხველს გათვალისწინებული იქნეს ის ევოლუცია, რაც ხევსურული ტალავრის ცალკე ელემენტებმა განიცადეს მთელი საუკუნის განმავლობაში." [110]

დედაკაცის ტალავარში შედიოდა: სადიაცო, ქოქოლო, ფაფანაგი, ტყავი, სარტყელი, მანდილი, სათაურა, ბაჭიჭი, თათები, წვივსაკრავი, ქალამანი. კატალოგში აღწერილი და დახასიათებულია თითოეული ეს შემადგენელი ელემენტი. აქედან 20 ეგზემპლარი სადიაცო, 3 - ზედატანი, 1 - ქვედატანი, 2 - წინსაფარი, 7 - ფაფანაგი, 13 - ქოქოლო, 3 - ქათიბი, 6 - ტყავი, 15 - პაჭიჭი, 15 - წვივსაკრავი, 14 - თათი, 21 - ხელთათმანი, 21 - სათაურა, 22 - მანდილი.

მამაკაცის ტალავარს შეადგენდა: პერანგი, შალვარი ანუ ნიფხავი, ჩოხა /სამხედრო ჩოხა/, ტყავი ანუ საბეწვგარეთო, საფუხარი, ქუდი /ნაბდისა და ტყავის/, წვივსაკრავი, წინდა და ჭღანი. კატალოგში აღწერილი აქვთ მამაკაცის 27 პერანგი,

5 შალვარი, 12 ჩოხა, 3 ევლემი /ჟილეტი/, 25 პაჭიჭი, 22 წინდა, 14 წვივსაკრავი, 32 ქუდი და 3 ხელსახოცი.

თუ როგორი დაწვრილლებითა და თანამიმდევრობით არის აღწერილი ხევსურული ტალავარის ზემოთ დასახელებული თითოეული ელემენტი უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, უცვლელად მოვიტანთ ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ „სადიაცოს“ აღწერილობას.

„სადიაცო“ ქალის გრძელი კაბა ტოლისა, ლურჯი, უბე ფარაგიანი, უბე-კალთიანი, მაღალსაყელოიანი, გრძელი სახელოებით; შედგება: ფარაგის, საწინათოს - წინა კალთის, საზურგულის, - უკანა კალთის, ორი აზღოტის, საყელოსა, სახელოებისა და ქოქომონისაგან. სადიაცო შეკერილია ორად მოკეცილი, ცალგანი, მხრებში აუჭრელი, მთლიანი ქსოვილის ნაჭრისაგან. ორივე კალთა თანაბარია და სწორი. უბე-კალთა წითელი და მწვანე ოთხკუთხი ტოლის თიკვებისაგან შედგება და უბე ფარაგზეა წაკერებული. სახელოები მხართან სწორად არის მიდგმული და ბოლოებისაკენ მოვიწროებულია. კალთებს გვერდებზე იღლიის ძირითადად თითო ირიბი ნაჭერი - აზღოტი აქვს ჩადგმული. საკინძი საყელოს მარცხნივაა ჩაჭრილი, სათავე კუთხურადაა ამოჭრილი; საკინძი იკვრება ფარაგის კანჭზე და საკისურზე დაკერებული ღილით და შატაით. კალთის ბოლოს შემოკერებულია ფერადი ქოქობოებისაგან შედგენილი უკან მონაოჭებული /დაჩითული/ ქოქომონი.

სადიაცო, განსაკუთრებით ფარაგი, უხვადაა ნაქარგი და შემკული. საყელოს, საკინძის, სახელოს წვერისა და ქოქომონის ნაწიბურზე ფერადი დაწნული შალის ძაფით ზონარი „კუთხანი“ ან შილიფანია შემოკერებული. ნაქარგობა შესრულებულია ფერადი შალის ძაფით შიბის დაკერვის წესით. ფარაგის სამწყვეტლო და ჭრელა სამკუთხედის, ხოლო მის მარცხნივ - ზიკი მოგრძო ოთხკუთხედის ფორმაზეა ნაქარგი. ორნამენტის სახეა: შიბის კვერა, ხატნი, ჭრელა. საკინძის მარცხენაზე ფერადი შალის ზოლებია



ხევსურული ტანსაცმლის გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვლებული, რომელიც უკან საყელოს ზურგში საკისურსაც გაჰყვება.

კალთაზე და ქოქომონზე ზოლიანი ტილოს სიმრგვალეა ჩადგმული. უკანა კალთის - საზურგულოს ბოლოზე ნაჩაფნის გასწვრივ ფერადი ოთხკუთხა შალის ხუთი განემსილი ნაჭრისაგან შედგენილი ბოლოსაკერებაა შემოკერებული. ფარაგზე ვერცხლის სამკაულია დამაგრებული". [111]

ასევე დაწვრილებითაა აღწერილი და დახასიათებული ტანსაცმლის 338 ერთეული, რაც, რა თქმა უნდა, ავტორთა ხანგრძლივ და დაუღალავ შრომას საჭიროებდა.

კატალოგი უხვადაა ილუსტრირებული ხევსურული ტალავრის /ქალისა და მამაკაცის/, შავთეთრი თუ ფერადი სურათებით /70-ზე მეტი/, რომელიც 27 ტაბულაზეა მოთავსებული.

კატალოგში ქართულ აღწერილობას თან ერთვის საკმაოდ ვრცელი რეზუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე, რაც ამ მონოგრაფიას ქართულის არმცოდნე მკითხველისათვისაც ხელმისაწვდომს ხდის.

დაბოლოს:

ცნობილ ეთნოგრაფს, პროფესორ გერცელ ჩაჩაშვილს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ეთნოგრაფიის განვითარებაში. მან ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ჩატარებული სისტემური მუშაობით და ყურადსაღები გამოკვლევებით პასუხი გასცა საქართველოს ეთნოგრაფიის არა ერთ მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხს და ამით ხელი შეუწყო დარგის განვითარებას და საგნის პოპულარიზაციას.

პროფ. გ. ჩაჩაშვილის შემოქმედება ვრცლად ეხება ეთნოგრაფიის ტრადიციული კარდინალური საკითხების: სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობების და სულიერი კულტურის საკვანძო პრობლემებს. მის გამოკვლევებში კულტურის ისტორიის არა

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა აღძრული და გაშუქებული ახალ ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით და გადაჭრილი კულტურულ-გენეტიკური, კულტურულ-ისტორიული, სოციალ-ეკონომიკური პრობლემების ზოგად და თეორიულ ასპექტში.

თავის სამეცნიერო მემკვიდრეობით მან გზა გაუკვალა რიგ ახალ სამეცნიერო-პრობლემურ მიმართულებებს ქართულ ეთნოგრაფიაში და წარმოაჩინა ქართული ხალხური ემპირიული კულტურის მაღალი დონე. სისტემური კვლევით, ახალ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, შედარებითი მეთოდის გამოყენებით გამოავლინა საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის ეთნოკულტურული კავშირები და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით საქართველოს, კავკასიისა და წინა აზიის ცალკეული ელემენტების პარალელები.

სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ქართული ხალხური ფეიქრობის გენეზისის და განვითარების საკითხების კვლევაში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან მოცემულ გარემოში წარმოებისა და შრომითი საქმიანობის თავისებურებებს, სამეურნეო-საწარმოო, მატერიალური, სოციალური, სულიერი კულტურის ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროებს, გამოვლენილია როგორც ზოგად ქართული ისე რეგიონალური სპეციფიკა, და დაგენილია, ფეიქრობის ადგილი და როლი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის სფეროში, მისი უწყვეტი და მიმდევობითი განვითარება.

ეთნოგრაფიული კვლევით დადგენილია საფეიქრო ნედლეულის მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სპეციფიკური თავისებურებანი, კოლხური საბოჭკოე სელის და მთური საზეთე სელის თავისებურებანი, კანაფის საფეიქრო გამოყენება, იმერული და თუშური ცხვრის მატყლის სპეციფიკური თვისებები და ტექსტილურ დამუშავებასთან

დაკავშირებული შრომის ძირითადი პროცესები /მატყლის დამუშავება - დახარისხება, რეცხვა, წეწვა, პენტვა, ჩეჩვა, ძაფის რთვა, ძახვა, ღებვა, ქსელვა, ქსოვა და სხვ/. მატყლის სართავს-საქსოვი თვისებების შესაბამისად ტოლის, საჩოხე შალების, მძიმე დეკორატიული ქსოვილების /ჯეჯიმი, ფარდაგი, ხალიჩა, სახურჯინე და ა.შ./. წარმოების ტექნიკა და სპეციალიზაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მისი ლოკალური თავისებურებები.

სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევით დადგენილია ქართული კულტურის ელემენტები ხალხური საფეიქრო ტექნოლოგიის თითქმის ყველა სფეროში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საფეიქრო საოჯახო წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დარგია, რომელშიც ნათლად ჩანს ქართველი ხალხის შინაგანი საწარმოო-კულტურული ურთიერთობანი და მიღწევები, რომელიც არა მარტო რეგიონალური თავისებურებებით ხასიათდებიან, არამედ საერთო ქართული ნიშნებითაც.

გამოვლენილია სელისა და კანაფის ტექსტილური დამუშავების ფაქტები, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია დამოწმებული /სელი-სუბტროპიკული რაიონების მთიან ნაწილში, კანაფი-მაღალმთიან სვანეთში/ ეთნოგრაფიული კვლევით შესწავლილ იქნა სელის დამუშავების იარაღები. სისტემურმა კვლევამ გამოავლინა იმ რთულ ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სელის საფეიქრო წარმოების კულტურა, რომელსაც ანტიკური ხანის ბერძნული საისტორიო მწერლობა სელის წარმოების მაღალი კულტურით განთქმულ ეგვიპტურ წესებთან აახლოებდა.

საფეიქრო საქმესთან დაკავშირებული შრომის პროცესების, განსაკუთრებით შრომის იარაღებისა და ხელსაწყოების შესწავლამ, წარმოაჩინა ახლო წარსულამდე შემონახული ძველი საფეიქრო ტექნიკა-შრომის პროცესების

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული შრომის იარაღები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად დიფერენცირებული ა/საპენტ-საჩეჩები და საწეწ-საძენძი/ დუქარდი, საპენტავი, ცალპირი საჩეჩელი, ძვლის ხმალა/, ბ/სართავ-საძახები/ თითისტარი, კვირისტავი, სახრელი ტარი, ჯარა და სხვ/. გ/საქსელავები/სოლები, დორა, საქსვალა და სხვ/ დ/საქსოვები, ვერტიკალური დაზგები და მათი ატრიბუტები ყდები/აკაზმები/ ე/საქსოვი ფირფიტები და ქსოვილთა პირისგასაკეთებელი-ს ათელავები-საბეგველები, სამღებრო ხელსაწყოები, საჩითავები, სატკეცავები და სხვ.

დადგენილია ქართველი ხალხის შრომის იარაღების ერთ-ერთი უძველესი სახეობის-საქსოვი დაზგების ორი ძირითადი ტიპი: ბეჭსაშევრიანი /ვერტიკალური/ და დგიმ-სავარცხლიანი /ჰორიზონტალური/. ეთნოგრაფიული მასალის და შესადარებელი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ქართულ-კავკასიური საქსოვი დაზგების უძველესი ტიპი-დგიმ-სავარცხლიანი დაზგა თავისი საწყისი ფორმებით ძველი აღმოსავლეთის კულტურულ მონაპოვართა წრეს უკავშირდება.

ქართული ხალხური საძახ-სართავი იარაღების შესწავლამ გამოავლინა საფეიქრო წარმოების ორი შესანიშნავი ტექნიკური მონაპოვარი: სახრელზე მბრუნავი ქართული თითისტარი, რომელიც ზედმიწევნით შეწყობილია ქართული ცხვრის მატყლის სართავ თვისებებთან და მეორე, საძახავი, ტარი და ბორბლიანი ჯარა, უშუალოდ ეხმაურება საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის საფეიქრო წარმოების კულტურას.

ეთნოგრაფიული ძიებანი საინტერესო მასალას იძლევა ფეიქრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის სფეროში, სადაც კარგად ჩანს ქალის დაწინაურებული როლი და ამ მოვლენის ტრადიციულობა. გამოვლენილია მატყლის

ჩეჩვისა და ნართის დამზადების პროცესში შრომამიგებითი კოლექტიური ფორმები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მიხედვით, მდიდარი ტერმინოლოგია, რომელიც დარგის სიძველესა და ტრადიციების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს, ღებვის ტექნიკა და სპეციფიკა, სახიანი ქსოვილების დამზადების თავისებურებანი, მხატვრული კომპოზიცია, ფერთა სპექტრის თავისებურებანი.

ეთნოკულტურულმა შედარებითმა კვლევამ გამოავლინა ფეიქრობის დარგის ეთნიკური სპეციფიკა და ის საერთოც, რომელიც კავკასიის ხალხების საწარმოო კულტურას ერთმანეთთან აახლოებდა. კულტურის საზიარო ელემენტების არსებობა შეპირობებული იყო არა მარტო კავკასიის გეოგრაფიული გარემოს და სამეურნეო პროფილების მსგავსებით, არამედ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიული სიახლოვით.

კომპლექსური კვლევა ასევე მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს ხალხური რწმენა-წარმოდგენების სფეროში. ავტორისეული კვლევით ფეიქრობასთან დაკავშირებული დუალისტური რწმენა-წარმოდგენები მფარველი ღვთაებისა და ბოროტი ძალების შესახებ, წარმოების ამ დარგის ევოლუციის ორ საფეხურს შეესაბამება.

გ. ჩაჩაშვილის გამოკვლევებში საბოლოოდაა დაძლეული XIX ს. II ნახევრის და XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბებული მცდარი შეხედულება აგრარული ცივილიზაციის მონაპოვრებში კავკასიელი მათ შორის ქართველი ხალხის პასიური წვლილის შესახებ, რომლის მიხედვით მათ კულტურულ ღირებულებათა არა შემქმნელების, არამედ მექანიკური გადამცემის როლი ეკისრებათ. სპეციალური კვლევით, გ. ჩაჩაშვილმა თვალნათლივ გამოავლინა აღნიშნული მეცნიერების უსუსურობა და ხაზგასმით მიუთითა ამ მონაპოვართა შემოქმედებით, ორიგინალურ ფესვებზე, რომლის მიხედვითაც მათ სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი აგრარული ცივილიზაციის ზოგადსაკაცობრიო

საგანძურში.

სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ნიადაგს უმაგრებს დასკვნას, რომ საფეიქრო საოჯახო წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი და ადგილობრივი ღრმა ფესვების მქონე საწარმოო დარგია, რომელშიც ნათლად ამოიკითხება ქართველი ხალხის შინაგანი საწარმოო-კულტურული ურთიერთობანი, არა მარტო რეგიონალურ-ლოკალური, არამედ საერთო ქართული დამახასიათებელი ნიშნებით.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობანი და საქართველოს მთისა და ბარის უწყვეტი კულტურულ-სამეურნეო წვლილი ქართული ფეიქრობის განვითარების საქმეში. უკუგდებულია შეხედულება მთის ისტორიული კარჩაკეტილობისა და კულტურული და სოციალური ჩამორჩენილობის შესახებ.

ქართული მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის, ჩაცმულობის კვლევისას გ. ჩაჩაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ტანსაცმლის მრავალფეროვნება, სხვაობის მიუხედავად, შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მას შემადგენელ ელემენტებს ერთმანეთთან აახლოებენ და მათ ზოგად ქართულ ხასიათს ანიჭებენ. XIX ს. II ნახევრის ქართული ტრადიციული კოსტუმის ძირითადი ელემენტების შესწავლა ნათლად ავლენს იმ ფაქტს, რომ ქართული ხალხური ჩაცმულობა თავისებური-თვითმყოფადი ხასიათისაა და მის უწყვეტ განვითარებაზე მიუთითებს. ამავე დროს ირკვევა, რომ ქართული ჩაცმულობის ძირითადი ტიპი საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა შინაგანი განვითარების კანონზომიერებით, ხოლო თავისი საწყისი ფორმით იგი ძველი კოლხურ-იბერიული გარემოდან მომდინარეა და, ამ გზით, მცირე აზიის ძველ-კოლხურ ხალხთა სამოსელს უკავშირდება.

ქართველი ხალხის სოციალურ ურთიერთობათა საკითხების კვლევისას, კერძოდ, მთის პირობებში ძველი ხალხური მმართველობის სისტემას /ხევსურული საფეხნო/, განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობის დამახასიათბელ თავისებურებად მიიჩნევს.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სამუზეუმო ექსპონატებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საგამოფენო ექსპოზიციის მოწყობაში, არამედ ქვეყნის ისტორიული წარსულის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის თვითმყოფადობის წარმოჩენისათვის. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა პროფ.გ. ჩაჩაშვილი, როდესაც სამუზეუმო საქმიანობასა და საგამოფენო ექსპოზიციების მოწყობას ეხებოდა თავის მონოგრაფიებსა თუ სტატიებში. იგი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ეთნოგრაფიული ექსპოზიცია - ეს არის გარკვეულ თემატიკაზე მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული და დამუშავებული სამუზეუმო მასალის თავისებური პუბლიკაცია თვალსაჩინოების გამოყენებით. გ. ჩაჩაშვილმა თავის მონოგრაფიებში - „ეთნოგრაფიული მასალა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში" და „საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა" შესანიშნავად წარმოაჩინა მუზეუმებში დაუნჯებული ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული დამუშავებისა და საგამოფენო ექსპოზიციაში მისი ჩართვის აუცილებლობა.

პროფ. გ. ჩაჩაშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვნის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში დაცული სამეურნეო ყოფისა და ნივთიერი მასალის გამომზეურებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის მისი გაცნობის საქმეში. მის მიერ გამოქვეყნებული კატალოგები /ინდივიდუალურად თუ თანაავტორებთან ერთად/, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ეთნოგრაფიისთვის და სამაგიდო წიგნია მუზეუმის თანამშრომლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოკლებანი

ენიმკის მოამბე - სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

შ.მ. - საქართველოს შინამრეწველობის ისტორიის მასალები

მსე - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.

სმმ - საქართველოს მუზეუმის მოამბე.

АКАК – Акты, собранные Кавказской археологической комиссией.

КСИИМК – Краткие сообщения Института истории материальной культуры.

Зап КОРГО – Записи Кавказского отдела императорского русского географического общества.

ЭКОРГО – Записки Кавказского отдела русского географического общества.

К.В. – Кавказский вестник

К.К. – Кавказский календарь.

МИЭБГКЗК – Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края.

С.Э. – Советская Этнография.

СКОСХ – Сборник Кавказских обществ сельского хозяйства. Кустарная промышленность на Кавказе.

СМИЭБГКЗК – Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края.

СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

ЦГВИА – Центральный государственный Военно-исторический архив СССР.

# შენიშვნები

1. გამოყენებულია ლიტერატურა: გ.ჩაჩაშვილი, პირადი საქმე, თსუ კადრების განყოფილება, საქმე №1646, ვ.შამილაძე, აკად. გ.ჩიტაიას მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე, კრ. აია, თსუ გამომცემლობა, 1991, ალ. რობაქიძე, Пути развития грузинской советской этнографии; გ.ჩიტაია, საქართველოს ეთნოგრაფია; ქსე; მ.გეგეშიძე, გიორგი ჩიტაია, მეცნიერება, 1980; თ.ცაგარეიშვილი, გიორგი ჩიტაია, მეცნიერება, 1993; ვ.ითონიშვილი, ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარება ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. კრ. ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები, მეცნიერება, 1988.

2. ებრაელთა ისტორიულ–ეთნოგრაფიულ მუზეუმში მონაწილეობს მუზეუმის სამეცნიერო, საექსპედიციო და საექსპოზიციო სამუშაოებში. 1938 წ. შეასრულა თემა: „ამულეტები და თალისმანები“, მონაწილეობდა რაჭის /ნ.რეხვიაშვილთან ერთად/ და ახალციხის /ბააზოვთან ერთად/ ექსპედიციებში. 1945–1946 წწ. შეასრულა მონოგრაფია თემაზე: „ქართული ლიტერატურის კლასიკოსები ქართველ ებრაელთა შესახებ“ სამი თაბახი; 1946 წ. „–დაბადება, ქორწილი, დაკრძალვა ქართველ ებრაელებში“. /მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ დ.ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიალ–ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს ბ–ნ შალვა წიწუაშვილს/.

3. გ.ჩაჩაშვილი, ავსტრალიისა და ოკეანიის ხალხები. სალექციო კურსი, 6 თაბახი, მისივე, სსრკ ხალხები, 4 თაბახი.

4. მ.კოსვენი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971, გვ. 5.

5. კ.კოზლოვა, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია და ეთნოგრაფიის საფუძვლები /მეთოდური მითითებანი/,

თსუ გამომცემლობა, 1968.

6. ცნობა მოწოდებულია თსუ ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორის თ.ცაგარეიშვილის მიერ.

7. გ.ჩაჩაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ–ეთნოგრაფთა საველე–საწარმოო მუშაობის გამოცდილებიდან, ხელნაწერი, ინახება გ.ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიის კაბინეტში.

8. თსუ გაზეთი, 1964, № 9, 19, 11.

9. გ.ჩაჩაშვილი, პირადი საქმე, გვ. 20–21

გ.ჩაჩაშვილის სტატიები ქართულ ენციკლოპედიაში: აზერბაიჯანელები, ამერიკელები, ავსტრალიელები, აცტეკები, ქართული ტანსაცმელი, ბეჭი, დაჩითვა, თითისტარი, მდადე, მამამძუძეობა და ა.შ.

10. გ.ჩიტაია, სვანური საკურცხილი, სმმ, ტ.II, თბ., 1925; მისივე, ქართული ეთნოლოგია, /1917–1926/. მიმომხილველი, ტ.I, 1926, თ.ცაგარეიშვილი, გ.ჩიტაია 100, თბ., 1993

11. გ. ჩიტაია, ქართლის 1948 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1949.

12. თ. ცაგარეიშვილი, გ. ჩიტაია 100, გვ.10

13. გ.ჩაჩაშვილი, ორნამენტი სელის ქსოვილზე, ცოდნა, თბ., 1964; მისივე ქართული ხალხური საქსოვი დაზგები; მსე, თბ., ტ. 18–ბ, 1954; მისივე, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1957, ტ.19–ბ; მისივე, ქართული დაჩითული ქსოვილები, საბჭოთა ხელოვნება, 1960, 10, მისივე, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, /ტიპოლოგია, ევოლუცია/, ძეგლის მეგობარი, 1970, 4; მისივე, კავკასიის ხალხთა ეროვნული კოსტიუმი, საბჭოთა ხელოვნება, 1960, 5; მისივე, ქართულ–ადიღეური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში, მსე, ტ.12–13, 1963, მისივე, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ.19–ბ, 1957; მისივე, სელის ტექსტილური დამუშავება კავკასიის ხალხებში, საკავშირო ეთნოგრაფიული სესიის მასალები, თბ, 1969, მისივე, ქართული ხალხური საქსოვი ტექნიკა, საკავშირო ეთნოგრაფიული სესიის მასალები, თბ., 1970.

14. გ. ჩაჩაშვილი, ხალხურ ფეიქრობასთან დაკავშირებული უძველესი რელიგიური წარმოდგენები საქართველოში, მსე, 16-17, თბ., 1972, მისივე, ქართული ხალხური ფეიქრობის ისტორიიდან, საქართველოს მუზეუმის XI სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1955, მისივე, ხალხური ფეიქრობა საქართველოში/ ოჯახური წარმოების კულტურა/ თბ., 1971, სადოქტორო დისერტაცია.

15. გ.ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან საქართველოში, მსე, თბ., 1955, მისივე, ხევსურული საფეხნო, ძეგლის მეგობარი, 1966, 7; მისივე, ხალხური მმართველობის ისტორიიდან, ხევსურული საფეხნო, თბ., 1949, საკანდიდატო დისერტაცია.

16. ვ.ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, ენიმკის მოამბე, თბ., 1941, ტ. II, გ. ჩიტაია, თიანეთის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, 1941, ტ. I, მისივე/მ. გეგეშიძის თანაავტორობით/, ივრის ხეობის და სამგორის წარსულიდან, თბ., 1949, გ.ჯალაბაძე, ხვნა და თესვა წარსულში სამგორში, სოციალისტური სოფელი, 1952, 8.

17. გ. ჩაჩაშვილი /გ.ჩიტაიას თანაავტორობით/ ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია, თსუ, შრომები, 1977, 2; მისივე, ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან /მიხეილ თუმანიშვილი/ სმმ 1963, ტ. XVI-გ; მისივე, ქართული თხილამურები. „მეცნიერება და ტექნიკა", 1950, 9; მისივე, ძველი ქართული ტანსაცმელი, საბავშვო ენციკლოპედია, თბ., 1976, ტ. 8, მისივე, ჩვენი სამშობლოო საქართველოა, სამშობლოო, 1970, 1; მისივე, ერთი სვანური გადმოცემა ლამარიაზე, თბ., 1971.

18. იხ. მისი რეცენზიები: ვ.ბარდაველიძის სადოქტორო

დისერტაციაზე: „Древнейшие верования и обрядовое графическое искусство грузинских племен“, გამოქვეყნებული მსე, ტ. XI, ალ. რობაქიძის სადოქტორო დისეტაციაზე: „მეფუტკრეობის წარმოშობა, მისი ადგილი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში.“

საკანდიდატო დისერტაციებზე: ნ. თოფურიას „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“, ვ. შამილაძის „მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში“, თ. მამალაძის „შრომის სიმღერები კახეთში“, ნ. ჩოფიკაშვილის „ქართული კოსტიუმი“, მ. ბექაიას, „ძველი და ახალი საოჯახო ყოფა საქართველოში“ /აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით/, გ. ელიავას „აღმოსავლეთ სამეგრელოს სამეურნეო ყოფა XIX ს“, ო.გვილავას „ირანელ თურქმენთა საზოგადოებრივი წყობა და სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობანი XIX – XX სს“; დ. იობაძის „მიცვალებულის კულტი აღმ. საქართველოს მთიანეთში“; მ. ზანდუკელის „ქსნის ხეობის კერამიკა“, ნ. მინდაძის „აღმ. საქართველოს მთიელთა ხალხური მედიცინა“, თ. ცაგარეიშვილის „მესაქონლეობა ქვემო ქართლში“ /ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით/, ს. ჭანტურიშვილის „ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან“, გ. ჩიქოვანის „ოსთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან. ნიხასი“; ც.ყარაულაშვილის „ქსოვის ხალხური წესები კახეთში“. დასკვნები საკანდიდატო დისერტაციებზე: ნ. მაჩაბლის „ქართველი ხალხის საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან /მზითვის ინსტიტუტი/“, ლ. ბერიაშვილის „მემინდვრეობა მესხეთში“; ა. დავითაძის „ხის დამუშავებისა და გამოყენების ხალხური წესები აჭარაში“; ლ. ფრუიძის „მევენახეობა - მეღვინეობა აჭარაში“, მ. ქანთარიას „მემინდვრეობა ყაბარდოში“; ლ. მოლოდინის „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან“, კ. კახიანის „გლეხის კარ-მიდამო იმერეთში“; ც. ბეზარაშვილის „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“. მასვე

ეკუთვნის რეცენზიები ავტორთა კოლექტივის ნაშრომებზე: „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილხელოსნობის ისტორიისათვის“, ტ. I, „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი /მასალები/“. დასკვნები: ზ. კუტალეიშვილის, ა. ნაზაროვის, ლ. ჩიბიროვის, ა. აბდულაევის, გ. ბეიბულაევას და სხვათა დისერტაციებზე.

19. იხ. მისი პერსონალია: პროფ. გ.ჩიტაია, საბჭ. ეთნოგრაფია, 1961, 6; მისივე, პროფ. ვ.ბარდაველიძე, საბჭ. ეთნოგრაფია, 1971, 2.

20. საქართველოში ოჯახური წარმოებისა და ხელოსნობის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი საყურადღებო გამოკვლევაა ცნობილი, სადაც საფეიქრო წარმოება ისტორიულ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა განხილული. რაც შეეხება საფეიქრო წარმოების კულტურას, ყველაზე უკეთ ეთნოგრაფიულ ასპექტში ვლინდება, რომელიც აქამდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა, თუმცა ამ თემაზე არა ერთ მკვლევარს გაუმახვილებია ყურადღება./ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ, 1930, მისივე, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1962, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, თბ., 1939, გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა, ი. ციციშვილის წიგნზე „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“, თბ., 1964, ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ მე-18 ს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 6, თბ., 1937; ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, შ. მესხია, Города и городской строй феодальной Грузии, ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ.

გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1955, ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის, ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1952, ნ. კილაძე, პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბ., 1956, ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, ი. გრძელიშვილი , განათხარი ქსოვილების ნაშთები საქართველოში, თბ., 1956, პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX – XX სს. ტ. 5. თბ., 1962, მისივე, შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები ტ. 6, თბ. 1950; ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ., 1966; მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანამდე, თბ., 1968, ქ. ისაკაძე, საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ., 1970. და ა.შ.

კავკასიისმცოდნეობის ძველ პუბლიკაციებში თითქმის არ მოიპოვება არცერთი სპეციალური მონოგრაფია, რომელიც ამ თემას ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განიხილავდეს. იხ. А.С. Пиралов. Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, СПб, 1913; О. В. Маргграф. Очерки кустарных промыслов Северного Кавказа с описанием техники производства. Москва, 1882; К.К. Шавров. Очерк шелководства в Закавказье СМИЭБГКЗК, т. IX, Тифлис, 1888

21. გ.ჩაჩაშვილი, ხალხური ფეიქრობა საქართველოში / საოჯახო წარმოების კულტურა/, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1970 წ. /დაცვა შედგა 1971 წ. 28 მაისს/.

22. АКАК; ЗКОРГО; КК; СКОСХ; ИКК; МИЭБГКЗК; ОИКПР; СМОМНК; ССКТ.

23. გ.ჩაჩაშვილი, კვირისტავები, თბ. 1970, ქ.ისაკაძე, საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ. 1970 ც.ყარაულაშვილი,

ქსოვის ხალხური წესები კახეთში, თბ., 1985.

24. გ.ჩაჩაშვილი, ხალხური ფეიქრობა საქართველოში, გვ. 4

25. გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30

26. გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41

27. პ.გუგუშვილი, შინამრეწველობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გვ. 15

28. ნ.კეცხოველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55

29. ნ.კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ. 1957, გვ. 7–8

30. გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 435–436

31. გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 316

32 გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 241–246

33 В.С. Темурджян, Ковроделие в Армении, Автореферат кандидатской диссертации, Ереван, 1954.

34 გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259–261

35 გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 443

36 გ.ჩაჩაშვილი, ოჯახურ საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ საქართველოში, მსე, 16-17.

37 ვ.ბარდაველიძე, სვანური საგალობელი ბარბალ-დოლაში, ენიმკის მოამბე, ტ. 5-6, თბ., 1940, გვ. 555.

38 იხ. გ.ჩაჩაშვილის ნაშრომი „ხალხური ფეიქრობა საქართველოში", მარკო პოლო, Путешествие, Ленинград, 1940.

39. Н.А. Кун, Легенды и мифы древней Греции, М. 1955

40. ც.ბეზარაშვილი, გ.ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988, გვ. 3

41. გ.ჩიტაია, წინასიტყვაობა გ. ციციშვილს წიგნისა „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის", გვ. 5

42. გ.ჩაჩაშვილი, Народные истоки грузинского костюма середины XIX века, Тб. 1964. გვ. 7.

43. გ.ჩაჩაშვილი, Народные истоки ... გვ. 7.

44. გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 335

45. აღნიშნულ პრობლემას მან არა ერთი სტატია უძღვნა. ამ პრობლემას ეძღვნება მისი საკანდიდატო დისერტაციაც „შატილის საფეხნო", რომელიც დაიცვა 1948 წელს. მართალია მონოგრაფია მთლიანად არ გამოქვეყნებულა წიგნის სახით, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილები დაიბეჭდა სამეცნიერო ორგანოებში /მსე, ენიმკის მოამბე, მუზეუმის მოამბე, და სხვ./.

გ. ჩაჩაშვილის მიერ შესწავლილ ამ პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ხევსურეთის, კერძოდ, შატილის საფეხნოს მაგალითზე, ხალხური მმართველობის ისტორიის შესწავლის საქმეში.

46. გ.ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში, /შატილის საფეხნო/, მსე, XV, თბ., 1955, გვ. 237

47. Ковалевский, Сванское селение, как исторический источник, СЕ, 19В6б № 3 – 4.

48. М. Лежава, Г. Джандиери, Архитектура горных районов, М. 1940. გვ. 10.

49. В. Гурко-Кряжин, Хевсуры, М. 1928. გვ. 16

50. გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.240

51. იქვე.

52. Демидов Г. в ущельях первобытной Грузии /Хевсурети/ М. Л. 1930. გვ. 76.

53. გ. ჩაჩაშვილი, შატილის საფეხნო. ხელნაწერი, ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1948, გვ. 20

54. ყინვარის დამზადების შესახებ დაწვრილებით იხ. გ. ჩაჩაშვილის საკანდიდატო დისერტაცია „შატილის საფეხნო", გვ. 30-31.

55. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ., 1935, გვ. 69.

56. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნაწ. გვ. 38

57. ხარავანი - უწველი მსხვილფეხა საქონელი /იხ. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნ. გვ. 64

58. მ. ბალიაური, მესაქონლეობის წესები ხევსურეთში. ხელნაწერი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი № 2345

59. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნ., გვ. 71

60. „ოსური ნიხასი" მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს გ. ჩიქოვანს /იხ. მისი „ოსთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან - ნიხასი. ხელნაწ. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1973/.

61. იქვე, გვ. 129

62. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნაწ., გვ. 131

63. „სოფელი - ტერიტორიული თემია, რომელიც გვაროვნული საზოგადოებიდან კლასობრივზე გარდამავალ ხანაში ჩნდება" /იხ. ს. ჯანაშიას, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937, გვ. 141.

64. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნაწ., გვ. 138

65. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნაწ. გვ. 170

66. იქვე, გვ. 173

67. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ხელნაწ. გვ. 140

68. გ. ჯალაბაძე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, თბ., 1978,მ. გეგეშიძე, გ, ჩიტაია, თბ., 1980, თ. ცაგარეიშვილი, გ. ჩიტაია, - 100, თბ., 1993

69. გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948, „მიმოხილველი", ტ. I, 1949, მისივე Принципы и метод полевой этнографической работы, СЭ, 4, 1957.

70. გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფია, გვ. 12

71. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, მეგზური, შედგენილი გ. ჩაჩაშვილის მიერ, თბ., 1958

72. ქართლის ცხოვრება, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1907, გვ. 677

73. ი. ჯავჯავაძე, თხზ. ტ. IV, თბ., 1955

74. Г. Читаия, Принципы и методы полевой этнографической работы, გვ. 15

75. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, გვ. 9

76. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება მისი ერთი მცირე მოცულობის ნაშრომი: „ეთნოგრაფიული მასალა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში", რომელიც გამოქვეყნდა 1956 წ.

77. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38

78. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38

79. იქვე, გვ. 38

80. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

81. იქვე, გვ. 41

82. იქვე, გვ. 42

83. გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1948, მიმომხილველი, ტ., I, თბ., 1949, მისივე, Принципы и методы полевой этнографической работы, с э, 4, 1957

84. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46 – 49

85. გ. ჩიტაია, გ. ჩაჩაშვილი, საქართველოს ერთიანი ეთნოგრ. გამოფენა, თბ., 1955 წ.

86. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67-68

87. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

88. გ. ჩაჩაშვილი, საქართველოს საჩითავების კატალოგი, თბ., 1964, გვ. 9

89. იქვე, გვ. 10

90. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, თბ.,1953, გვ. 222

91. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა

92. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11

93. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.5

94. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.6

95. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.7

96. იქვე, გვ. 8

97. Р. Эристов, Путевые записки о Мегрелии Кавказская старина, 1878, № В. стр. 68

98. გ. ჩიტაია, ქართული დაჩითული ორნამენტი, თბ., 1959

99. Армянская избойка. М. 1953.

100. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12

101. ს. ბედუკაძე, ნ. რეხვიაშვილი, ლ. მოლოდინი, მ. ჩართოლანი, გ. ჩაჩაშვილი, ქართული კერამიკის კატალოგი, თბ., 1964, გვ. 6

102. 1889 წლის თბილისის სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის ფონდში, რომელიც სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდს გადაეცა 1934 წელს.

103. გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 13

104. იქვე, გვ. 10

105. იქვე, გვ. 10-11

106. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, III – IV, თბ., გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა ი. ციციშვილის წიგნისა. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954, ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, თბ., 1939; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა. ანალები, თბ., 1947, და ა.შ.

107. ლ. მოლოდინი, გ. ჩაჩაშვილი, ქართული კოსტუმის კატალოგი, I, თბ., 1964, გვ. 11

108. იქვე, გვ. 12

109. იქვე, გვ. 14

110. გ. ჩაჩაშვილი, ლ. მოლოდინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36.

# ბიბლიოგრაფია

აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბილისი, 1948.

აბესაძე ნ., სელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, მეცნიერება, 1986.

ანდღულაძე ნ., თხორ /"ქსელი"/ ტერმინის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წ.5. თბილისი, 1950.

აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ო., ხოშტარია ნ., საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.

ბარდაველიძე ვ. ივრის ფშავლებში, თბილისი, 1996.

ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ., ქართული ხალხური ორნამენტი, ხევსურული, თბ., 1939

ს. ბედუკაძე, ნ. რეხვიაშვილი, ლ. მოლოდინი, მ. ჩართოლანი, გ. ჩააშვილი, ქართული კერამიკის კატალოგი, თბ., 1964.

ბერძენიშვილი ნ., სამღებროთა შესახებ მე-18 ს. საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 6, თბ., 1937

ბრაილაშვილი ნ., დაჩითული ქსოვილების ალბომი, თბილისი, 1964.

გეგეშიძე მ., გიორგი ჩიტაია, თბ., 1980

გრძელიშვილი თ. განათხარი ქსოვილების ნაშთები საქართველოში., თბ. 1956

ისაკაძე ქ., საფეიქრო საქმე საქართველოში., თბ., 1970.

მაკალათია ს., ხევსურეთი, ტფ. 1935.

მოლოდინი ლ., ღებვის ხალხური წესები თუშეთში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964.

სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1953.

ცაგარეიშვილი თ. გიორგი ჩიტაია 100, თბ., 1993.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაჩაშვილი გ., საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიის გამოფენის მეგზური, თბ., 1958.

ჩაჩაშვილი გ., ორნამენტი სელის ქსოვილზე, ალბომი ტექსტით, თბ., 1964.

ჩაჩაშვილი გ., საქართველოს მუზეუმის საჩითავები, თბ., 1962.

ჩაჩაშვილი გ., ქართულ-ადიღეური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში, მსე, ტ. XII – XIII, თბ, 1963.

ჩაჩაშვილი გ.,ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ., მე-18-ბ, თბ., 1954.

ჩაჩაშვილი გ., ხალხური მმართველობის ისტორიიდან საქართველოში, „ხევსურული საფეხნო“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1948.

ჩაჩაშვილი გ., ხალხური ფეიქრობა საქართველოში, / ოჯახური წარმოების კულტურა/ ხელნაწერი, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხისმოსაპოვებლად/ თბ., 1971.

ჩაჩაშვილი გ., ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან / მიხეილ თუმანიშვილი/ სმმ, მე-17-გ, 1953.

ჩაჩაშვილი გ., ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I. სელი, სმმ, ტ. 19 - ბ., 1937.

ჩაჩაშვილი გ., ქართული დაჩითული ქსოვილები, საბჭოთა ხელოვნება, № 10, 1960.

ჩაჩაშვილი გ., ხალხურ ფეიქრობასთან დაკავშირებული უძველესი რელიგიური წარმოდგენები საქართველოში, მსე № 16 – 17, თბ., 1972.

ჩაჩაშვილი გ., ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, ძეგლის მეგობარი, № 41, 1976.

ჩაჩაშვილი გ., ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია /ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია/ თსუ შრომები, თბ., 1977.

ჩიქოვანი გ. ოსთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან

6·
ა2/13.73

- ნიხასი, ხელნაწერი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1973.

ჩიტაია გ., ეთნოგრაფიული პარალელები, ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმელი, ენიმკის მოამბე, ტ. I., 1940.

ჩიტაია გ. შრომები, ტ. I, 1997.

ჩიტაია გ., ქართული ეთნოლოგია, /1917-26/, მიმომხილველი, ტ. I, თბ. 1926.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960.

ჯალაბაძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდის გზამკვლევი, თბ., 1978.

ყარაულაშვილი ც., ქსოვის ხალხური წესები კახეთში თბ., 1985.

Авдиев Н.А. Ковровое искусство Советского Азербайджана. Автореферат канд. диссерт. Тб.1964.

Куфтин Б.А. Археологические раскопки в Триалети, т. I., I Тб., 1941.

Максимова М. Техника текстильной промышленности – Элинистическая техника М.Л. 1949.

Очерки общей этнографии. Азиатская часть СССР, М., 1960.

Чачашвили Г.А. Народные истоки грузинского костюма середины XIX века, Тб. 1964.

Читаия Г.С. Принципы и метод полевой этнографической работы СЭ №4, М., 1957.

Читаия Г.С. Этнографические исследования в Грузинской ССР. СЭ № 4, М., 1948.



ნაირა დავარაშვილი - გერმანისტი, ებრაული ენის პედაგოგი და პოპულარიზატორი, მთარგმნელი, პუბლიცისტი. დ.ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თანამედროვე ებრაული პოეზიის წრის დამაარსებელი, „ჯოინთის“ ეგიდით მოქმედი ფონდის - „ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრი კავკასიის ქვეყნების ებრაული თემებისათვის“ - დირექტორი, გაზეთ „26 საუკუნე-ჟამი ერთობისა“ თანარედაქტორი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ებრაელ ქალთა მსოფლიო ორგანიზაცია „ემუნას“ თბილისის ფილიალის კოორდინატორი, კლუბ “26 საუკუნის“ ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი,

F 107.171
3